ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა ,,ფილოლოგია“

ზეინაბ კონცელიძე

ტყუილის ლინგვო-პრაგმატიკული თავისებურებები განათლების დისკურსში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოც. პროფესორი ნათია ქათამაძე

ბათუმი

2025

შინაარსი

შესავალი ----------4

თავი I. საგანმანათლებლო დისკურსის რაობა და მისი კვლევა ენათმეცნიერებაში ----------10

1.1. ცნების ,,დისკურსი“ რაობისათვის - ზოგადი მიმოხილვა ----------11

1.2. დისკურსის ძირითადი ტიპები და მათი მახასიათებელი თვისებები ----------17

1.3. საგანმანათლებლო დისკურსი როგორც ინსტიტუციური დისკურსის ერთ-ერთი სახე. საგანმანათლებლო დისკურსის ქვეტიპები ----------22

თავი II. ტყუილი, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი და მისი გამოხატვის ლინგვისტური საშუალებები

2.1. ტყუილი, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი. ტყუილის ფსიქლოლოგია--------28

2.2. ტერმინის ,,ტყუილი“ გაგებისათვის. ტყუილის თქმის ძირითადი მოტივები და მატყუარის ამოცნობის ხერხები ----------32

2.3. ტყუილის ფორმები ----------41

2.4. ტყუილი როგორც პრაგმალინგვისტური კვლევის ობიექტი ----------51

2.5. ტყუილის ენა. ტყუილის გამოხატვის ლინგვისტური საშუალებები----------54

2.6. ტყუილის აკუსტიკურ-პროსოდიკური მახასიათებლები----------59

თავი III. ტყუილი საგანმანათლებლო სივრცეში ----------65

3.1. მასწავლებლის მიერ ნათქვამი ტყუილის სპეციფიკა და მისი ლინგვო-პრაგმატიკული თავისებურებები ----------70

3.1.1. მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა მისამართით ნათქვამი ტყუილი ----------71

3.1.2. მასწავლებლის მიერ მშობელთა მისამართით ნათქვამი ტყუილი ----------76

3.1.3. მასწავლებლის მიერ კოლეგების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მისამართით ნათქვამი ტყუილი ----------78

3.2. მოსწავლის მიერ ნათქვამი ტყუილის სპეციფიკა და მისი ლინგვო-პრაგმატიკული თავისებურებები ----------79

3.2.1 მოსწავლის მიერ მასწავლებლის მიმართ ნათქვამი ტყუილი ----------79

3.2.2. მოსწავლის მიერ თანატოლების მიმართ ნათქვამი ტყუილი ----------84

3.2.3. მოსწავლის მიერ მშობლის მიმართ ნათქვამი ტყუილი ----------86

3.3. მშობლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ ნათქვამი ტყუილის სპეციფიკა და მისი ლინგვო-პრაგმატიკული თავისებურებები ----------88

3.4. პლაგიატის საკითხი სასწავლო პროცესში ----------91

3.5. ფანტაზია, როგორც ტყუილის ერთ-ერთი სახე და მისი გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები სასწავლო პროცესში ----------97

3.6. ტყუილის თქმის სიხშირის კვლევა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ------102

დასკვნა ----------111

გამოყენებული ლიტერატურის სია ----------116

დანართი ----------122

შესავალი

ტყუილის ფენომენის კვლევით ოდითგანვე იყვნენ მკვლევრები დაინტერესებულნი, ძირითადად ლოგიკოსები და ფილოსოფოსები (არისტოტელე, პლატონი, წმინდა ავგუსტინე, თომა აქვინელი, იმანუელ კანტი).

ფილოსოფოსები ტყუილს შეისწავლიდნენ მორალის კუთხით და მას ამორალურ ქმედებად მიიჩნევდნენ. არისტოტელე (1976:186) მიუთითებდა, რომ ტყუილი და სიმართლე საგანს არ ახასიათებდა, რომ ტყუილი ადამიანის ფიქრებში იყო და მისი აზროვნების შედეგს წარმოადგენდა.

პლატონი (1971:1:107) ჩამოთვლიდა იმ პროფესიებს, რომელთაც ყველაზე მეტად ესაჭიროებოდათ ტყუილის გამოყენება. იგი უპირველეს ყოვლისა ასახელებდა პოლიტიკოსებს, რომელთაც ტყუილის გამოყენება უწევდათ როგორც მათ არაკეთილსმსურველებთან, ისე თავიანთ მოქალაქეებთან. ასევე მიუთითებდა მოსამართლეებზე და ექიმებზე, რომელთაც ჰქონდათ ტყუილის თქმის უფლება მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე.

წმინდა ავგუსტინე იყო პირველი, რომელმაც ტყუილი ფილოსოფიური და თეოლოგიური განხილვის საგანი გახადა. მან ასევე დაინახა ტყუილის ლინგვისტური ასპექტიც: წმინდა ავგუსტინეს თანახმად, ადამიანებს ენა მიეცა არა იმისთვის, რომ ერთმანეთი მოატყუონ, არამედ იმისთვის, რომ საკუთარი ნააზრევი გააცნონ ერთმანეთს. ამდენად, ის, ვინც ენას ტყუილის სათქმელად იყენებს, ცოდვას სჩადის. წმინდა ავგუსტინე ერთმანეთისგან განარჩევდა სამი სახის ტყუილს: ვერაგი, გარემოებებით განპირობებული და ხუმრობით თქმული ტყუილი.

თომა აქვინელი და ბონავენტურა ავითარებენ წმინდა ავგუსტინეს იდეას, ამბობენ რა, რომ ენის მოვალეობა არ არის სიცრუეს ემსახუროს; ენის მოვალეობაა აზრები წარმოაჩინოს და არა დამალოს.

ი. კანტიც ტყუილის ფენომენს გმობდა და მიაჩნდა, რომ ტყუილი ამორალურია და ადამიანიმაქსიმალურად უნდა ეცადოს მის თავიდან არიდებას. ი. კანტის (1994:8:257) თანახმად: ტყუილი გვაკარგვინებს რწმენას იმ ადამიანთა მიმართ, ვინ მას ამბობს. ამდენად, სიმართლის თქმა, მაშინაც კი, როცა მან შეიძლება ცუდი შედეგი გამოიღოს, თითოეული ადამიანის მოვალეობაა.

დღეს ტყუილის ფენომენს სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინა შეისწავლის და კვლევებიც მეტწილად ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებს. ტყუილს, როგორც ფსიქოლოგიურ ფენომენს, მისი გამოვლინების სხვადასხვა სახეებს, მოტივებს, ცხადია შეისწავლის ფსიქოლოგია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ფსიქოლოგები ბოლო დრომდე არ აქცევდნენ აღნიშნულ ფენომენს სათანადო ყურადღებას. ზ. ფროიდს ტყუილის ფენომენზე არაფერი დაუწერია და ,,ფსიქოლოგიის ენციკლობედიაშიც“ ტყუილის ფენომენს მხოლოდ ორიოდე აბზაცი აქვს დათმობილი. ტყუილის ფენომენის შესწავლით დაინტერესებას დღეს უკვე იჩენენ არა მარტო ფსიქოლოგები, არამედ სოციოლოგები, ფილოსოფოსები, პოლიტოლოგები, იურისტები, კრიმინალისტები, პედაგოგები, ლინგვისტები.

მიუხედავად იმისა, რომ ტყუილი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს კომუნიკაციის დროს, სამწუხაროდ ლინგვისტური კვლევები ამ კუთხით მცირეა. ლინგვისტური თვალსაზრისით შესაძლებელია ტყუილის ფენომენის შესწავლა ფსიქოლინგვისტური, სოციოლინგვისტური, პრაგმალინგვისტური, ლინგვოკულტუროლოგიური თუ კოგნიტოლოგიური კუთხით. ამასთან ტყუილის ლინგვისტური კვლევა შესაძლებელია სხვადასხვა ენობრივ დონეზე (ფონეტიკური, მორფოლოგიური, ლექსიკური).

ლინგვისტები, რომლებიც ტყუილის ლინგვისტური თეორიის შემუშავებაზე მუშაობდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართული ტყუილის ფენომენის ლინგვისტურ კვლევაში გახლდათ: ჰ. ვაგნერი (1920), ჰ. ფრისკი (1936), დ. ფრანკი (1973), ე. ეგსი (1976), ვ. აბრაამი (1976,1979), პ. არონი (1927), ს. ბოკი (1980), კ. ციმერმანი (1982), ხ. ვაინრიხი (1987), ს. დონინგჰაუსი (1999), უ. ეკო (1985, 2002), რ. დრაივერი (1985), ს. დიეტცი (2002), რ. ფიშერი (2003) და სხვანი.

თანამედროვე ლინგვისტიკაში, ყველაფერი რაც ტყუილის ლინგვისტური კუთხით შესწავლას ეძღვნება, იწოდება «лингвистика лжи» (ტყუილის ლინგვისტიკად). იგი განვითარებას იწყებს მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს.

დღეს ლინგვისტებს აინტერესებთ როგორ ვლინდება ტყუილი ვერბალურად, რა ფუნქცია (ფატიკური, ემოციური, მეტალინგვისტური, პოეტური, რეფერენციული და ა.შ.) აკისრია მას კომუნიკაციის პროცესში, არის თუ არა ტყუილი ეროვნულ-კულტურული ფენომენი, რომელი სქესის და ასაკის ადამიანები იტყუებიან ხშირად, რა მექანიზმებით შეიძლება ცრუ ინფორმაციის შენიღბვა და სხვა. საკვლევ საკითხთა თემატიკა მეტად ვრცელია და მათ კვლევას ათწლეულები დასჭირდება. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომიც ამ სახის კვლევათა რიცხვს მიეკუთვნება.

ჩვენი სადოქტორო ნაშრომის სათაურია **„ტყუილის ლინგო-პრაგმატიკული თავისებურებები განათლების დისკურსში“** და **მისი მიზანია** დავაკვირდეთ რამდენად ხშირია ტყუილის გამოყენება სასწავლო პროცესში (გაკვეთილზე, საკლასო ოთახსა და მის გარეთ), ვინ იტყუება მეტად მოსწავლე თუ მასწავლებელი, რა სახის ტყუილს და რა მიზნით აქვს ადგილი, როგორია ტყუილის ვერბალური გაფორმება, რა ზეგავლენას ახდენს იგი კომუნიკაციის პროცესზე და ზოგადად ურთიერთობებზე.

უკეთ რომ ვთქვათ, ჩვენი მიზნები შემდეგია:

1) კვლევის საწყის ეტაპზე გავეცნოთ თეორიულ მასალას ზოგადად დისკურსის, კონკრეტულად კი საგანმანათლებლო დისკურსის შესახებ;

2) გავეცნოთ ტყუილის ფსიქოლოგიას, შევისწავლოთ ცნობილი ფსიქოლოგების კვლევები და მოვახდინოთ თეორიული მასალის კომპილაცია ისეთ საბაზისო საკითხებზე, როგორიცაა: ტყუილის არსი, ტყუილის თქმის მოტივები, ტყუილის დადებითი/უარყოფითი ბუნება, ტყუილის გენდერული სპეციფიკა, ტყუილის ამოცნობის ხერხები და სხვა;

3) გავეცნოთ რა ლექსიკური თუ პროსოდიკული საშუალებებით ხასიათდება ტყუილის ენა;

4) მოვახდინოთ ემპირიული მასალის შეკრება-დახარისხება და მისი ლინგვისტური ანალიზი;

5) დავაკვირდეთ რა და რა სახის ტყუილს აქვს ადგილი ქართულ და ინგლისურენოვან საგანმანათლებლო დისკურსში და არის თუ არა ის კულტურულად დეტერმინირებული;

6) ჩავატაროთ გამოკითხვა; გამოვკითხოთ პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები და მათი პასუხებიდან გამომდინარე განვსაზღვროთ, რამდენად ხშირად იტყუებიან ისინი და რას ემსახურება მათი ტყუილი.

ნაშრომი აქტუალურია, იმდენად, რამდენადაც ლინგვისტური კვლევები ტყუილის ფენომენის შესწავლის მიზნით საკმაოდ მცირეა როგორც უცხოურ, ისე ქართულ საენათმეცნიერო წყაროებში.

ნაშრომის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს ტყუილის ფენომენის ლინგვისტურ შეპირისპირებით კვლევას ორ არამონათესავე ენაში - ქართულსა და ინგლისურში. გარდა ამისა ნაშრომი ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს და ერთნაირად საინტერესოა როგორც ლინგვისტებისთვის, ისე ფსიქოლოგებისთვის, ფილოსოფოსებისთვის, განათლების სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია: დაკვირვების, რაოდენობრივი ანალიზის, აღწერილობითი, შედარება-შეპირისპირებითი მეთოდები.

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს უცხოელი და ქართველი მკვლევრების (ი. მინდაძის, ზ. მხეიძის, მ. ხოსიტაშვილის, ლანჩავას, გ. ამაღლობელის, დ. თორის, პ. ეგრეს, ბ. უილიამსის, ტ. ლევინის,ვ. ტალვარის, ლ. ტოვმასიანის, ჯ. ბრიკმანის, ჩ. ფორდის, დ. მარკოვიჩის, ს. იანჩევას, ო. ლიკოვას და სხვათა) დიდი თუ პატარა ზომის სამეცნიერო ნაშრომები.

რაც შეეხება **კვლევის პრაქტიკულ მხარეს,** მისი საფუძველია საგანმანათლებლო დისკურსში შემჩნეული ქართული და ინგლისურენოვანი ტყუილის მაგალითები. ერთი მხრივ გამოყენებულია ქალაქ ბათუმში ანდრია პირველწოდებულის სასულიერო გიმნაზიის საგაკვეთილო პროცესში მოსმენილი ტყუილის მაგალითები ქართულ ენაზე, მეორე მხრივ კი გამოყენებულია ინგლისურენოვანი ტყუილის

მაგალითები, რომლის შეკრებაში დაგვეხმარა უცხოლი პედაგოგები, ნოტინგემის თავისუფალი სკოლის მასწავლებლები - ჯო სიმპსონი და ანა მიტჩელი. დაკვირვების ობიექტს ორივე კულტურაში წარმოადგენდა მეხუთე და მეექვსე კლასელი მოსწავლეები და მათი მასწავლებლები.

სულ ემპირიული მასალა მოიცავს 50 ინგლისურენოვან და 60 ქართულ ტყუილის მაგალითს.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ იგი შეიცავს საინტერესო დასკვნებს ტყუილის ფენომენის ვერბალურად გამოხატვის კუთხით. ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება კი იმაშია, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება ფსიქოლინგვისტიკის, დისკურსის ანალიზის, პრაგმატიკის ლექცია-სემინარებზე. ნაშრომი ასევე დააინტერესებს ფსიქოლოგებს, ფილოსოფოსებს, პედაგოგებს, ნებისმიერი პროფესიის და ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს, რომლებიც საკმაოდ ხშირად მიმართავენ ტყუილს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ნაშრომის სტრუქტურა შეესაბამება მის მიზნებსა და ამოცანებს. ნაშრომი შედგება: შესავლის, სამი თავის, 13 პარაგრაფის, დასკვნითი ნაწილის, გამოყენებული ლიტერატურის სიის და დანართისაგან.

შესავალში საუბარია ნაშრომის სიახლესა და აქტუალობაზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე, კვლევის დროს გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე, ნაშრომის თეორიულ თუ პრაქტიკულ ღირებულებაზე, საკვლევ ობიექტზე, ნაშრომის სტრუქტურაზე.

ნაშრომის პირველი თავი სახელწოდებით **,,საგანმანათლებლო დისკურსის რაობა და მისი კვლევა ენათმეცნიერებაში“** სამ პარაგრაფს მოიცავს და მიზნად ისახავს თეორიული მასალის გაცნობას დისკურსის რაობის, მისი ძირითადი სახეების, საგანმანათლებლო დისკურსისა და მისი ქვეტიპების (პედაგოგიური, დიდაქტიკური, საკლასო/საუდიტორიო და სხვა) თავისებურებების, მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების შესახებ.

ნაშრომის მეორე თავის **„ტყუილი, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი და მისი გამოხატვის ლინგვისტური საშუალებები“** მიზანია ტყუილის, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენის, მისი მოტივების, ძირითადი ფორმების და ლინგვისტური გამოხატულების შესახებ თეორიული მასალების შეკრება და გაანალიზება.

მეორე თავი შედგება შვიდი პარაგრაფისგან. პარაგრაფები ლოგიკურად არის ერთმანეთთან კავშირში, მათგან სამი პარაგრაფი ტყუილის არსს, მის სახეებს და ზოგადად ტყუილის ფსიქოლოგიურ ასპექტებს აქვს დათმობილი, ხოლო მომდევნო ოთხი პარაგრაფი ტყუილის პრაგმალინგვისტურ ბუნებას, მის ლინგვისტურ თუ პარალინგვისტურ თავისებურებებს წარმოაჩენს.

ნაშრომის მესამე ნაწილი ემპირიული მასალის კლასიფიკაციას და მის ლინგვო-პრაგმატიკულ ანალიზს მოიცავს.

დასკვნაში წარმოდგენილია კვლევის თეორიული განზოგადებები.

თავი I. საგანმანათლებლო დისკურსის რაობა და მისი კვლევა ენათმეცნიერებაში

გამომდინარე იქედან, რომ ჩვენი სადოქტორო ნაშრომის ემპირიული მასალა საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემჩნეულ ტყუილის მაგალითებს უნდა დავაფუძნოთ, აუცილებელია ღრმა ცოდნა გვქონდეს საგანმანათლებლო დისკურსის, მისი სხვადასხვა სახის და თავისებურებების შესახებ. შესაბამისად აღნიშნულ თავში ჩვენი მიზანია გავეცნოთ თეორიულ მასალას დისკურსის რაობის, მისი ძირითადი სახეების, საგანმანათლებლო დისკურსისა და მისი ქვეტიპების (პედაგოგიური, დიდაქტიკური, საკლასო/სააუდიტორიო და სხვა) თავისებურებების, მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების შესახებ.

სკოლა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო სოციალურ-კულტურული ინსტიტუტია, რომელიც ბავშვს სოციალიზაციაში ეხმარება. სკოლა წარმოადგენს სოციალურ-კულტურული და საგანმანათლებლო ტრადიციების ფორმირების წყაროს. როგორც ნებისმიერ ინსტიტუციას, სკოლას თავისი მიზანი და სპეციფიკური დისკურსი გააჩნია. საგანმანათლებლო-პედაგოგიური დისკურსის განხორციელება შესაძლებელია თითქმის ყველგან, სადაც ცოდნის გადაცემას და აღზრდას ემსახურებიან. საგანმანათლებლო-პედაგოგიური დისკურის რეალიზებას ახდენენ პედაგოგები, ადმინისტრაცია, მოსწავლეები და მათი მშობლები. სასკოლო საგანმანათლებლო დისკურსის მიზანია მოსწავლის, როგორც ენობრივი სუბიექტის ჩამოყალიბება, მისი კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება და მისთვის სამეტყველო მოდელების სწავლება. აღნიშნული დისკურსის რეალიზება სხვადასხვა ფორმით არის შესაძლებელი: ტექსტის, ცალკეული გამონათქვამის, დიალოგის, მონოლოგის, დებატების, დისკუსიის, რეპლიკის და სხვა სახით, როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით.

1.1. ცნების ,,დისკურსი“ რაობისათვის - ზოგადი მიმოხილვა

,,დისკურსი” ერთ-ერთ მთავარ ცნებას წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკაში. დისკურსი მრავალმხრივი ფენომენია, რის გამოც იგი იპყრობს ლინგვისტიკის სხვადასხვა დარგებში მოღვაწე მკვლევრების ყურადღებას. დისკურსი რთული კომუნიკაციური ფენომენია, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას კომუნიკანტების, სოციალური კონტექსტის, ტექსტის შექმნის და გაგების პროცესის შესახებ.

თანამედროვე ეტაპზე დისკურსული კვლევები ყველაზე მეტი პროდუქტიულობით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ფილოლოგების ინტერესი აღნიშნული ფენომენის მიმართ უდიდესია, მაინც ჭირს ცნების ,,დისკურსი” ინტერპრეტაცია.

წლების განმავლობაში აღნიშნულმა ცნებამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. მოხდა მისი გადააზრება. დღეს სიტყვა „დისკურსი“, ზეპირი და წერითი კომუნიკაციის პროცესებს აღნიშნავს. მან დაკარგა თავისი პირვანდელი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, რომელიც „სირბილს, მოძრაობას, კურსიდან გადახვევას“ ნიშნავდა. (ბელოზოროვა, 2002: 10)

თუ ტერმინის გამოყენების ისტორიას გავადევნებთ თვალს, სრული სურათი შეგვექმნება მისი გამოყენების ევოლუციის შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენ ნაშრომში დისკურსის კატეგორიასთან მიმართებაში გარკვეული პოზიცია დავაფიქსიროთ.

ტერმინის „დისკურსი“ ლინგვისტური მნიშვნელობით გამოყენებისას ხდება მისი მეტყველების, ტექსტის და დიალოგის ცნებებთან დაკავშირება.

პირველი ნაშრომი, რომელშიც დისკურსი ტექსტის სინონიმად გვხდება ეკუთვნის ამერიკელ ენათმეცნიერს ზ. ჰარისს (1952). ზ.ჰარისის აზრით ,,დისკურსი არის ფრაზების მარტივი შეერთება, უწყვეტი თხრობა“ (Хэррис, 1965:50)

ე. ბენვენისტმა ერთ-ერთმა პირველმა მიანიჭა ტერმინოლოგიური მნიშვნელობა ,,დისკურსს". ე. ბენვენისტი დისკურსს ახასიათებდა როგორც მეტყველების გარკვეულ ტიპს *,,მოლაპარაკის მიერ მითვისებულ მეტყველებას"* (ზეპირი ურთიერთობის

სხვადასხვა ჟანრი, დღიურები, პირადი წერილები, მოგონებები და მისთ., რომლებიც სუბიექტურობის უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდებიან).

უ. მაასის თანახმად, დისკურსი არის სოციალური და ისტორიული ფაქტორებით განსაზღვრული საზოგადოებრივი პრაქტიკის შესაბამისი ენობრივი ფორმულა და *მეტყველებაში არსებული ტექსტების ერთობლიობა,* რომლებიც გაერთიანებულია საერთო სიტუაციური თემებით და განსაზღვრულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით. იგი მოიცავს კონკრეტულ საკომუნიკაციო პირობებს, ურთიერთობის არხებს, კომუნიკანტების სოციალურ დახასიათებას, ურთიერთობის არავერბალურ საშუალებებს. (Шлёпкина, 2011)

ვან დეიკის მიხედვით, დისკურსი არის *კომუნიკაციური მოვლენა,* რომლის კომუნიკაციური პროცესი მიმდინარეობს განსაზღვრული დროისა და სივრცის კონტექსტში, მოსაუბრესა და მსმენელს შორის. ეს კომუნიკაცია შეიძლება იყოს ზეპირი, წერილობითი, ვერბალური და არავერბალური. ტიპური მაგალითებია: მეგობრული საუბარი, საუბარი ექიმსა და პაციენტს შორის, გაზეთის კითხვა.

დისკურსის თეორიის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა მეცნიერმა მ. ფუკომ. **მ. ფუკოსთან** დისკურსი ერთგვარი „სინტაქსური“ ობიექტია, „ენობრივი ფორმაა“, რომელიც გვევლინება, როგორც პირველადი მოვლენა, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს არასინტაქსური მოვლენების ცხოვრებას. მისთვის დისკურსი პირველადია კომუნიკაციის სხვა გამოხატულების ფორმებთან შედარებით. ის კითხვის ქვეშ აყენებს ისეთი ობიექტების პირველობას, როგორებიცაა „ავტორი“, „ტექსტი“ და „ნაწარმოები“ (ფუკო, 1996: 7 – 47). მ. ფუკო დისკურსს განიხილავს როგორც დამოუკიდებელ მოვლენას, რომელსაც სამყაროს აბსოლუტური ინტერპრეტაციისაკენ მოძრაობის პრეტენზია გააჩნია. სხვა სიტყვებით რომ განვიხილოთ, მ. ფუკო დისკურსს ერთგვარ კონსტრუქციასთან აკავშირებს, რომელიც ენობრივი სტრუქტურებისაგან შედგება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ადამიანის არსებობის სიღრმისეულ არსში ჩაწვდომა.

მოცემულ განმარტებაში კარგად ჩანს ენობრივი მოვლენისადმი ფუნქციური მიდგომა. თუმცა, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ყველაზე ღრმად ამ საკითხზე საუბარი **რ. იაკობსონმა** შეძლო. მან დისკურსის საკმაოდ სრულყოფილი დეფინიცია მოგვცა. ის

თვლის, რომ დისკურსი წარმოადგენს ენობრივ მოვლენას, რომელშიც ადრესანტი უგზავნის შეტყობინებას ადრესატს, რომელთანაც ფიზიკური არხის მეშვეობით მასთან საერთო კონტექსტში ეფლობა, ხოლო ადრესატი, რომელიც ადრესანტთან ერთად იყოფს საერთო კოდს, ახდენს ინფორმაციის დეკოდირებას (გაშიფვრას) (იაკობსონი, 1963:197). დისკურსის ასეთი გაგება სრულიად შეესაბამება ლინგვისტიკაში ფუნქციონალურ მიდგომას.

რ. ბარტი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც ენის გამოყენება და დისკურსის ქმედება იდეოლოგიასთან დააკავშირა. ეს ის ღირებულებებია, რომლებითაც ადამიანები ცხოვრობენ, რისიც ადამიანებს სწამთ და რითაც ადამიანები ხელმძღვანელობენ (ბარტი, 1994: 23).

რ. ბარტის გარდა დისკურსის იდეოლოგიასთან კავშირს ითვალისწინებდა მეცნიერი **ჯ. ფისკი.** მკვლევარი დისკურსს განსაზღვრავდა, როგორც რეპრეზენტაციის სოციალურ სისტემას, რომელიც სპეციალურად მოცემულ თემაზე მნიშვნელობათა წარმოქმნისა და გაცვლისათვისაა ორგანიზებული. ის აღნიშნავდა, რომ დისკურსი მსჯელობის საგანია, რასაც ერთვის სოციალური სიტუაცია და იდეოლოგია. დისკურსი შეთანხმებულად იქმნება ადამიანთა სხვა ჯგუფისათვის (ან ადამიანისათვის) და ყოველთვის იდეოლოგიურად შეფერილია. ისინი, ვინც ქმნიან და იცავენ დისკურსის მნიშვნელობას, ყველაფერს აკეთებენ, რომ ამ მნიშვნელობის „ნატურალიზება“ მოახდინონ, მიანიჭონ მას საღი აზრი. დისკურსის გამავრცელებელია მასობრივი საინფორმაციო საშუალებები. სწორედ, ისინი ახდენენ მის ლეგიტიმაციას. ამიტომაა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტია ან პროფესიული ჯგუფი ცდილობს თავისი მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ჰქონდეს, რომლებიც მისი დისკურსის ლეგიტიმაციას და ბუნებრიობას უზრუნველყოფენ (ფისკი, 1991:215).

რუკია ჰასენი სამეცნიერო სტატიაში ‘Discourse as Medium of Knowledge: Transmission of Knowledge by Transmission of Discourse People Live’ (დისკურსი როგორც ცოდნის გადაცემის საშუალება) ტერმინის ,,დისკურსი” ამგვარ განმარტებას იძლევა: A discourse is a language or system of representation that has developed socially in order to make and circulate a coherent set of meanings about an important topic area (დისკურსი არის ენა ან ნიშანთა სისტემა, რომლის საშუალებითაც მნიშვნელოვან თემაზე არსებული

კოჰერენტული აზრის გადაცემა ხდება). ცოტა უფრო ქვევით, მკვლევარი ამბობს: Discourse is a conversation or text; collection of texts or conversations (დისკურსი არის საუბარი ან ტექსტი, ტექსტთა ან საუბრების ერთობლიობა).

ქართველი მკვლევარი **ნ. თევდორაძე** ნაშრომში ,,ტექსტის ლინგვისტიკა" წერს ტერმინის ,,დისკურსი" გამოყენების სამ სხვადასხვა ფორმაზე: ,,დისკურსი" არის გამონათქვამთა კომპლექსი, პროცესი და რეზულტატი კომუნიკაციური აქტისა ..... ხოლო თავად ტექსტი არის დისკურსის პროდუქტი" (თევდორაძე, 2010:57). აქ ავტორი ეყრდნობა **ნ.არუთინოვას** განმარტებას, რომ დისკურსი არის შეკავშირებული/კოჰერენტული ტექსტი განპირობებული ექსტრალინგვისტური, პრაგმატული, სოციო-კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორებით. ტექსტი აღიქმება როგორც მოვლენა, მეტყველება კი არის მიზანმიმართული სოციალური ქმედება. (Арутюнова,1990:136).

ნ. არუთუნოვას აზრით, დისკურსი არის ცხოვრებაში ჩაძირული მეტყველება („Дискурс это речь, погружённая в жизнь"). (Арутюнова, 1990:137). ანუ, დისკურსი წარმოადგენს მეტყველებას, რომელიც ცხოვრებისეული ყველა ნიუანსით ხასიათდება.

ა. კუდლიაევა დისკურსში გულისხმობს არა მეტყველებას, არამედ *მეტყველების შედეგს და სამეტყველო კომუნიკაციაზე მოქმედ სოციოკულტურულ და სიტუაციური ფაქტორების ერთობლიობას.* მ. შლიოპკინა დისკურსის თეორიის ლინგვისტური კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ასკვნის: „დისკურსი ენა-მეტყველების ერთეულია, რომელიც ტექსტზე გავლით ახასიათებს ენობრივ ერთეულს. დისკურსის პროცესიალური თავისებურებები განსაზღვრულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით" (Шлёпкина, 2011).

ლინგვისტური თვალსაზრისით, დისკურსი თავის თავში მოიცავს ტექსტს, როგორც მეტყველებისა და იმ კონტექსტის ვერბალიზებულ შედეგს, რომელშიც იგი ფუნქციონირებს - იქნება ეს სიტუაციური, თუ კულტურული. როგორც ე. შეიგალი აღნიშნავს, ენა, როგორც აბსტრაქტულ ნიშანთა სისტემა, რეალურად არსებობს დისკურსის / დისკურსების სახით, ურთიერთობა ყოველთვის აღწევს ადამიანური ქმედებების გარკვეულ სფეროში, გარკვეულ სოციალურ სივრცეში (Шейгал, 2004: 15) .

ამიტომაცაა, რომ მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ დისკურსის სახვადასხვა ტიპზე - სამეცნიერო, მასმედიის, სამედიცინო, იურისპრუდენციის და სხვა.

ვ.დემიანკოვი ითვალიწინებს დასავლეთ ევროპის მეცნიერთა გამოცდილებას და ტერმინის ,,დისკურსი" ასეთ დეფინიციას გვთავაზობს: ,,დისკურსი - ტექსტის თავისუფალი ფრაგმენტია, რომელიც ერთზე მეტი წინადადებისაგან ან წინადადების დამოუკიდებელი ნაწილებისგან შედგება. დისკურსის საწყისი სტრუქტურა ელემენტარული პროპოზიციების თანმიმდევრობაა, რომლებიც ერთმანეთთან კონიუნქციისა და დიზიუნქციის ლოგიკური ურთიერთობებითაა დაკავშირებული. დისკურსის ელემენტებია: გადმოცემული მოვლენები, მისი მონაწილეები, კონტექსტი, ანუ გარემოებები, რომლებიც თან ახლავს მოვლენებს, ფონი, რომლებიც ხსნის მოვლენებს, მოვლენებში მონაწილე პირთა შეფასება, ინფორმაცია, რომელიც დისკურსს მოვლენებთან აკავშირებს (Demiankov, 1978:81).

ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი **თ. გამყრელიძე** ტექსტს და დისკურსს აიგივებს. ის წერს: „ტექსტი ანუ დისკურსი - ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტი - ლექსიკურ-გრამატიკულ მთლიანობასთან ერთად არსებითად სემანტიკური მთლიანობაც არის. ტექსტი ანუ დისკურსი ის ენობრივი ერთეულია, რომელსაც საზოგადოდ საკომუნიკაციო ფუნქცია აქვს, რომლის საშუალებითაც ფაქტობრივად ხორციელდება კომუნიკაციის პროცესი" (გამყრელიძე, 2003 : 434).

ვ.ბოგდანოვი თვლის, რომ მეტყველება და ტექსტი ეს არის დისკურსის ორი არათანაბარი მნიშვნელობის მქონე ასპექტი და აღნიშნავს, რომ ყველა ტიპის მეტყველების ტექსტად გადაყვანა არ შეიძლება და არც ყველა ტექსტის რეპროდუცირება არ შეიძლება მეტყველების მეშვეობით. ამიტომ დისკურსი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ტექსტი და მეტყველება, ანუ ყველაფერი ის, რისი წარმოთქმა და ჩაწერა შეიძლება. ტექსტი ვიწრო გაგებით აღიქმება, როგორც ენობრივი მასალა (ბოგდანოვი, 1990: 3).

თუკი ვ. ბოგდანოვის მოსაზრებას მივყვებით, ტერმინები დისკურსი, ტექსტი და მეტყველება შეიძლება განვიხილოთ არა როგორც ოპოზიციური, არამედ მოკავშირე

ცნებები, სადაც ტექსტი და მეტყველება იქნება სახეობის გამომხატველი ცნებები მათ საერთო ტერმინ დისკურსთან მიმართებაში (ბოგდანოვი, 1990: 5–6).

ე. კუბრიაკოვა და ო. ალექსანდროვა თვლიან, რომ დისკურსის და ტექსტის დეფინიციების განსხვავებების მიუხედევად, ისინი არ მოდიან ერთმანეთთან წინააღმდეგობაში, ანუ არ ითვლებიან ურთიერთგამრიცხავ ცნებებად. კოგნიტური და ლინგვისტური თვალსაზრისით, დისკურსისა და ტექსტის ცნებებს შორის არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი: ტექსტი დისკურსში იბადება და მის პირმშოს წარმოადგენს (Кубрякова, 2001:72-81). ვიდოვსონიც იგივეს ამბობს: „დისკურსი არის ტექსტი სიტუაციის დამატებით“, ხოლო ტექსტი არის დისკურსი სიტუაციის გამოკლებით“ (ვიდოვსონი, 1973: 205–207).

როგორც ვხედავთ ტერმინის ,,დისკურსი“ მიდგომა ორგვარია: 1) დისკურსი მიჩნეულია ტექსტად, რომელიც შედგება ენის კომუნიკაციური ერთეულებისაგან, წინადადებებისგან, რომლებიც სემანტიკურ კავშირშია ერთმანეთთან; 2) დისკურსი მიჩნეულია როგორც მეტყველება;

ჩვენი მიზანი არ არის დისკურსის რაობის დადგენა. ჩვენი მიზანი გახლავთ დისკურსის ტიპებიდან ერთ-ერთი მათგანის, საგანმანათლებლო დისკურსის დახასიათება, ამდენად მომდევნი ქვეთავში საუბარი გვექნება დისკურსის ტიპებზე.

1.2. დისკურსის ძირითადი ტიპები და მათი მახასიათებელი თვისებები

არაერთი მკვლევარი შეეცადა დისკურსის ტიპების კლასიფიკაციას. მათ შორის: ვ.ვ. კრასნიხი, ახ. ბელოვა, ა.მ. პრიხოდკო, ვ.ი. კარასიკი და სხვები.

ყველაზე ხშირად მკვლევრები დისკურსის ორ სახეზე: ზეპირსა და წერილობითზე საუბრობენ. **ზეპირი დისკურსი** ვერბალიზებულია. ის იგივეა რაც მეტყველება. ზეპირი დისკურსის სახეებია: საჯარო ლექცია, ქადაგება, სიმპოზიუმი, საკლასო დისკურსი, ექიმსა და პაციენტს შორის საუბარი, სატელეფონო საუბარი და სხვა. ზეპირი დისკურსი შეიძლება განხორციელდეს პირისპირ და დისტანციურად. **წერილობითი დისკურსი** ფურცელზე არსებობს და გრაფიკული გამოხატულება გააჩნია.

ვ.ვ. კრასნიხი ერთმანეთისგან განასხვავებს **ეროვნულ დისკურსებს** (რუსული, ინგლისური, გერმანული და სხვა) (Красных, 2001:200).

ახ. ბელოვა კლასიფიკაციის გაკეთებისას ითვალისწინებს დისკურსის ფუნქციონირების სფეროს და კომუნიკაციის ბუნებას (Бєлова,2002:12).

ა.მ. პრიხოდკო დისკურსებს ყოფს კომუნიკაციის მოდუსის, საკომუნიკაციო გარემოს (ყოველდღიური, სოციალურ-კულტურული, პროფესიული, კულტურულ-ისტორიული) და კომუნიკაციის სტილის (ოფიციალურად საქმიანი, სასაუბრო, სამეცნიერო, მხატვრული, ეპისტოლარული, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები) მიხედვით (Приходько,2008:40-43).

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დისკურსი იქმნება ურთიერთობის კონკრეტულ სიტუაციაში, სადაც ინტერაქტანტებს გარკვეული სოციალური როლები გააჩნიათ, ვ.ი. კარასიკი გამოყოფს დისკურსის ორ ძირითად ტიპს: **პერსონალური/ ინდივიდუალური** (პიროვნებაზე ორიენტირებული) და **ინსტიტუციონალური** (სტატუსზე ორიენტირებული). **პერსონალურ დისკურსში** მონაწილეები კარგად იცნობენ ერთმანეთს, მთქმელი მოქმედებს, როგორც ენობრივი სუბიექტი, ხოლო **ინსტიტუციონალურ დისკურსში** სოციალური ჯგუფების ან ინსტიტუტების წარმომადგენლების მეტყველების ურთიერთკავშირია ერთმანეთთან, იმ ადამიანებთან, რომლებიც აცნობიერებენ თავიანთ სტატუს-როლის შესაძლებლობებს (Карасик, 2007:280). სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველ შემთხვევაში მოსაუბრე

გვევლინება, როგორც პიროვნება, მთელი თავისი შინაგანი ბუნებით. მეორე შემთხვევაში - როგორც გარკვეული სოციალური ინსტიტუტის წარმომადგენელი.

გ. ამაღლობელის სადოქტორო დისერტაციაში ,,პოლიტიკური დისკურსი, როგორც ენობრივი თამაშის ნაირსახეობა" დისკურსების ტიპოლოგია ასეთია:

1. ინსტიტუციონალური დისკურსი, რომელიც მოიცავს შემდგომ სახეობებს: პედაგოგიური, სამედიცინო, მეცნიერული, პოლიტიკური, რელიგიური;

2. ყოფითი დისკურსი - ყოველდღიური აქტივობის ფარგლებში წარმოქმნილი. (ამაღლობელი, 2023: 16-17)

ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელ ტიპოლოგიას ვიზიარებთ და ქვევით ორივე სახის დისკურსს ვრცლად დავახასიათებთ.

ვან დეიკის მიხედვით, ინსტიტუციური დისკურსი იმ სახის კომუნიკაციაა, რომელსაც სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებში ვხვდებით (Dijk, 2008:139).

ე. შეიგალთან ინსტიტუციური დისკურსი განმარტებულია როგორც „საჯარო დაწესებულებებში განხორციელებული დისკურსი, რომელშიც კომუნიკაცია მათი ორგანიზაციის განუყოფელი ნაწილია" (Шейгал, 2004:43). ლ. ბეილინსონის აზრით, ინსტიტუციური დისკურსი სამართლიანად მიეკუთვნება ურთიერთობის განსაკუთრებულ ტიპს, რომლის კონსტიტუციურობა საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სოციალური დაკვეთის შესრულებაში მდგომარეობს და გამოხატულია როლების გადანაწილებაში, კომუნიკაციის და ქცევის ნორმების სისტემატიზაციაში (ხალვაში, 2020:15).

ვ. კარასიკი ინსტიტუციურ დისკურსს შემდეგნაირად განმარტავს: ,,ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების საუბარი ტიპურ სამეტყველო სიტუაციაში" (Карасик, 2000:151). მკვლევრის თანახმად, ეს არის „სპეციალიზებული კლიშირებული ტიპის კომუნიკაცია ადამიანებს შორის, რომლებიც შესაძლოა არ იცნობდნენ ერთმანეთს პირადად, მაგრამ უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს ამ საზოგადოების რეგულაციების შესაბამისად" (Карасик,, 2002:292). ამასთანავე, ინსტიტუციური დისკურსი არის ჩარჩოში ჩასმული სტატუს-როლური კომუნიკაცია, სადაც თითოეულ მონაწილეს აქვს საკუთარი სტატუსი და როლი. ადამიანი შედის კონკრეტულ

დისკურსულ სივრცეში არა მხოლოდ გარკვეულ სოციალურ როლში (მათ შორის ან გულისხმობს სოციალური ინსტიტუტის ტიპს), არამედ გარკვეული მიზნებით. ანუ, ინსტიტუციური დისკურსი ხასიათდება ორი ნიშნით - მიზნით და ინტერაქტანტებით, იგი მოცემული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების ურთიერთობის შედეგია.

ზოგიერთი მკვლევარი ინსტიტუციურ დისკურსს განიხილავს, როგორც ტიპური კომუნიკაციური მოვლენების ერთობლიობას, რომელსაც აქვს ინსტრუქციული ბუნება და ხდება გარკვეული სპეციალური და დროებითი მითითების ერთობლიობაში. მას აქვს წინასწარ განსაზღვრული საუბრის თემა, ენობრივი მახასიათებლები და ემორჩილება ქცევის გარკვეულ ნორმებს.

ინსტიტუციური დისკურსის ტიპოლოგიისას ყურადღება ექცევა კომუნიკაციის მიზნებსა და მონაწილეებს, იგივე კომუნიკანტებს (Карасик, 2000:15). მაგალითად, პოლიტიკური დისკურსის მიზანია ძალაუფლების მოპოვება და შენარჩუნება, ბიზნეს დისკურსი გულისხმობს ორმხრივად მომგებიანი საქმიანი ურთიერთობების დამყარებას ორგანიზაციებს შორის და ა.შ. ინსტიტუციური დისკურსის ძირითადი მონაწილეები არიან კონკრეტული დაწესებულების წარმომადგენლები.

ტრადიციულად, განასხვავებენ **ინსტიტუციური დისკურსის ოთხ მახასიათებელს:** 1) კონსტიტუციურობას (კონსტიტუციურობის ნიშანი მოიცავს და აერთიანებს მონაწილეებს, პირობებს, ორგანიზაციას, კომუნიკაციის ხერხებს და მეთოდებს, ანუ ადამიანებს თავის როლურ-სტატუსურ და სიტუაციურ-კომუნიკაციურ ამპლუაში, ურთიერთობის სფეროს და გარემოს, მოტივს, მიზანს, სტრატეგიას, არხს, რეჟიმს, ტონალობას, სტილს, ჟანრს, და ბოლოს კომუნიკაციის ნიშანს (ტექსტი/არავერბალური ნიშნები);

2) ინსტიტუციურობას (ინსტიტუციურობა აფიქსირებს მოსაუბრისა და მსმენელის როლურ თავისებურებებს, ტიპურ ქრონოტიპებს, სიმბოლურ მოქმედებებს, ტრაფარეტულ ჟანრებსა და სამეტყველო კლიშეებს);

3) ურთიერთობის ტრაფარეტულობას (ურთიერთობის ტრაფარეტულობა განასხვავებს ინსტიტუციურ დისკურსს პერსონალურისაგან. ეს არის თავისებურად შენიღბული კომუნიკაცია, რომელიც მის ტიპში მჟღავნდება, ანუ საზოგადოებრივი ინსტიტუტის ტიპში, რომელიც კოლექტიურ ენობრივ მეხსიერებაში აღნიშნულია განსაკუთრებული სახელით, განზოგადებულია ამ ინსტიტუტის საკვანძო კონცეპტში

(პოლიტიკური დისკურსი - ძალაუფლება, პედაგოგიური - სწავლება, რელიგიური - რწმენა, იურიდიული - კანონი, სამედიცინო - ჯანმრთელობა და სხვ.);

4) ნეიტრალურობას (ინსტიტუციური დისკურსის ნეიტრალური ნიშნები მოიცავს საერთო დისკურსულ თავისებურებებს, ნებისმიერი ურთიერთობისთვის საერთოს. ეს შეიძლება იყოს პიროვნულზე ორიენტირებული ნიშნები, აგრეთვე სხვა ტიპის დისკურსის თავისებურებები, რომლებიც მჟღავნდებიან „სხვის ტერიტორიაზე“, ეგრეთ წოდებული ტრანსპორტირებული ნიშნები (ქადაგება - პოლიტიკურ დისკურსში, რეკლამები - სამედიცინო დისკურსში, მეცნიერული დისკურსი - განათლებაში) (Карасик, 2000:15).

კონკრეტული ინსტიტუციური დისკურსის აღწერისას საყურადღებოა ისეთი კომპონენტების განხილვა, როგორებიცაა: მონაწილეები, ქრონოტიპი, მიზანი, ღირებულებები (მათ შორის კონცეპტი), სტრატეგიები, თემატიკა, ნაირსახეობა და ჟანრი, პრეცედენტული ტექსტები, დისკურსული ფორმულები (Карасик, 2000:8).

თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს **ინსტიტუციური დისკურსის შემდეგი ტიპები: პოლიტიკური, დიპლომატიური, ადმინისტრაციული, იურიდიული, სამხედრო, განათლების, პედაგოგიური, რელიგიური, სამედიცინო, საქმიანი, სარეკლამო, სპორტული** და ა.შ. ნებისმიერ ინსტიტუციურ დისკურსს გააჩნია საკუთარი ქვეენა (სპეციალური ლექსიკა, ფრაზეოლოგია) (Шмелева, 1997:368).

რაც შეეხება **ყოფით დისკურსს,** მას ინგლისურენოვან სამეცნიერო წყაროებში შემდეგი სახელებით ვხვდებით: **everyday / common /colloquial**. ვ. კარასიკი ყოფით დისკურსს განმარტავს სოციოლინგვისტური პრიზმიდან და მას პიროვნებაზე ორიენტირებულად, ანუ პერსონალურად მიიჩნევს.

კ. ჰაბიბოვას სტატიაში ,,ყოფითი დისკურსის სპეციფიკა“ ყოფითი დისკურსის დასახასიათებლად მოყავს ი. სილანტიევის მოსაზრებები. ი. სილანტიევი თვლის, რომ ყოფითი დისკურსი უნივერსალური ბუნებისაა. მას შესწევს უნარი გააერთიანოს სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ყოფითი დისკურსის თემატურ სტრუქტურაზე: “like a sponge, attracts thematically oriented discourses, supports and simultaneously dissolves them in his body. It is everyday discourse that checks thematic discourses for survival, assesses their significance and builds their

hierarchy" (Habibova, 2020:336). ციტატის თანახმად, ყოფითი დისკურსის თემატური სტრუქტურა განუსაზღვრელია. იმავე სტატიაში მკვლევარს მოყავს მ. მაკაროვის ნააზრევიც, რომელიც თვლის, რომ ყოფითი დისკურსი მინიმალური დონის ფორმალურობით ხასიათდება.

ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საფუძვლიანად შევისწავლოთ საგანმანათლებლო დისკურსი, როგორც ინსტიტუციური დისკურსის ერთ–ერთ საინტერესო ტიპი, მაგრამ ამავდროულად არანაკლები ყურადღება უნდა დაეთმოს ყოფით დისკურსაც, რადგანაც ტყუილი ორივე დისკურსის ნაწილია და ტყუილს, როგორც ყოფითი დისკურსის განუყოფელ ნაწილს შესაძლოა ადგილი ქონდეს ნებისმიერ ინსტიტუციაში (საავადმყოფოში, სასამართლოში, სასწავლო დაწესებულებაში, სავაჭრო ორგანიზაციაში თუ სხვა).

1.3. საგანმანათლებლო დისკურსი როგორც ინსტიტუციური დისკურსის ერთ-ერთი სახე. საგანმანათლებლო დისკურსის ქვეტიპები

ინსტიტუციური დისკურსის ერთ-ერთ ტიპს წარმოადგენს საგანმანათლებლო დისკურსი. ტერმინი ,,საგანმანათლებლო დისკურსი" 2000 წლებიდან გამოჩნდა სამეცნიერო, აკადემიურ წყაროებში. საგანმანათლებლო დისკურსს საკუთარი მიზნები გააჩნია. იგი უკავშირდება ადამიანის აქტივობის სპეციფიკურ სფეროს - ცოდნის მიღებას და გაცემას. საგანმანათლებლო დისკურსს ახასიათებს სამეცნიერო ხასიათი, სიზუსტე, კოჰერენტულობა, ენობრივი სიწმინდე, გამომსახველობა, ინფორმატულობა.

დღითიდღე იზრდება ინტერესი საგანმანათლებლო დისკურსის მიმართ. მის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ლ. ვიგოდსკის, ჯ. ჯის, ჯ. ბრუნერს და სხვებს. საგანმანათლებლო დისკურსს მულტიდისციპლინური ბუნება აქვს და მისი შესწავლა შესაძლებელია ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ფილოსოფიური და ლინგვისტური კუთხიდან.

საგანმანათლებლო დისკურსს ქმნის სხვადასხვა სახის საუბრები, დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა განათლების თემაზე. მასში მონაწილეობას ღებულობს განათლების სფეროში მოღვაწენი, მკვლევრები, პედაგოგები, მოსწავლეები და ყველა ის ადამიანი, ვინც განათლების თემაზე არსებულ დიალოგსა თუ დებატებში ღებულობს მონაწილეობას. (Zhaksybayeva 2023:27)

საგანმანათლებლო დისკურსის შესწავლის მიმართ ინტერესის მატებას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს, რომელზედაც ლინგვისტი და განათლების დარგის მკვლევარი კ. ჰეილანდი მიუთითებს. იგი თვლის, რომ განათლების დისკურსში მონაწილეობის მიღება ეხმარება განათლების სფეროში მოღვაწეთ პროფესიულ განვითარებაში. კერძოდ იმაში, რომ მარტივად ფლობდეს ინფორმაციას სწავლების თანამედროვე მეთოდების და პრაქტიკების, უახლესი საგანმანათლებლო თეორიებისა და კვლევების შედეგების შესახებ. ეს ცოდნა თავისთავად ზრდის განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანის პროფესიულ კომპეტენციას.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო დისკურსს შესწევს უნარი ხელი შეუწყოს ცოდნის გაცვლა-გამოცვლას. იგი წარმოადგენს ცოდნის გაზიარების და გაცვლის პლატფორმას, რომლის საშუალებითაც ვრცელდება სწავლების საუკეთესო მეთოდები, პრაქტიკები და საგანმანათლებლო სფეროში განხორციელებული კვლევების შედეგები. ამგვარად, საგანმანათლებლო დისკურსს შესწვეს უნარი გააფართოვოს ინდივიდის თვალსაწიერი. (Zhaksybayeva 2023:28)

საგანმანათლებლო დისკურსი არ არის მხოლოდ პლატფორმა, რომელიც საგანმანათლებლო საკითხს განიხილავს ან ანალიზს უკეთებს, იგი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პრაქტიკის ევოლუციას.

სამეცნიერო ლიტერატურაში საგანმანათლებლო დისკურსის სინონიმად გვხვდება ტერმინი **საგანმანათლებლო-პედაგოგიური დისკურსი.** ზოგიერთი მკვლევარი მათ სინონიმურ ტერმინებად მოიხსენიებს, ზოგიერთი კი ხედავს მათ შორის არსებულ განსხვავებას.

ნ.ს. ოსტრაჟკოვა საგანმანათლებლო-პედაგოგიურ დისკურსად თვლის მკვლევრებს, პრაქტიკოს მასწავლებელებს, მოსწავლეებს თუ სტუდენტებს შორის პროფესიულ კომუნიკაციას (როგორც ზეპირს, ისე წერილობითს, როგორც პირდაპირს, ისე სპეციალიზებული ლიტერატურის შუამავლობით). (Остражкова, 2004:218)

ავტორი განასხვავებს საგანმანათლებლო-პედაგოგიური დისკურსის რამდენიმე სახეს: **დიდაქტიკური** (რაც კლასში სწავლის პროცესში მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ზეპირი კომუნიკაციის ფორმაა), **აკადემიური** (იგულისხმება წერილობითი კომუნიკაციის ფორმები - სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები და სასწავლო საშუალებები პედაგოგიკასა და მეთოდოლოგიაზე, მონოგრაფიები და ა.შ., აგრეთვე კომუნიკაციის ზეპირი ფორმები - ლექციები პედაგოგიკაზე ან სწავლების მეთოდებზე), **ჟურნალისტური** (პუბლიკაციები პერიოდულ გამოცემებში, სადაც განხილულია სწავლების სფეროში არსებული ყოველდღიური პრობლემები: სწავლის პირობები, მასწავლებლების ხელფასი და ა.შ.), **სოციალიზაციის მიზნით წარმოებული დისკურსი** (პედაგოგიური დისკურსის ერთ-ერთი სახე, სადაც მოსწავლეები და პედაგოგები ან მშობლები არიან ჩართული) და **სპეციალური პედაგოგიური დისკურსი** (ასახავს პედაგოგიურ მეცნიერებებში მიღწევებს). (Остражкова 2004:218)

საგანმანათლებლო-პედაგოგიურ დისკურსზე საუბრისას თ.ნ.ცინკერმანი ყურადღებას ამახვილებას მათ განსხვავებულ ბუნებაზე (პირველის მიზანია - განათლების გაცემა, მეორესი კი აღზრდა).

მკვლევარი თვლის, რომ საგანმანათლებლო დისკურსი ფუნქციური თვალსაზრისით განსხვავდება პედაგოგიური დისკურსიდან. საგანმანათლებლო დისკურსის მიზანია ცოდნის გადაცემა, სამყაროს მეცნიერული სურათის ფორმირებაში ინდივიდის დახმარება, ინდივიდისთვის პროფესიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ხელშეწყობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საგანმანათლებლო დისკურსის ფუნქცია ინფორმაციის გადაცემაა. რაც შეეხება პედაგოგიურ დისკურსს, მისი მიზანია ინდივიდზე მოახდინოს ფსიქო-ემოციური ზემოქმედება, ასწავლოს მას ქცევის ნორმები და დაეხმაროს ეთნოკულტურული და სოციალური ქცევის მოდელების ჩამოყალიბებაში. თ. ცინკერმანი მიიჩნევს, რომ თუკი გვსურს საგანმანათლებლო და პედაგოგიურ დისკურსებს შორის განსხვავებები დავინახოთ, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი პარამეტრები: დისკურსის სოციალური ორიენტაცია, დისკურსის მიზანი, ფუნქცია, დისკურსის მონაწილეები, ქრონოტოპი (Цинкерман 2014:29).

მკვლევარი ასევე მიუთითებს საგანმანათლებლო დისკურსის წევრების (მასწავლებელი-მოსწავლე) სტატუსზეც, რომ მასწავლებელი (დისკურსის ,,შემოქმედი“) და მოსწავლე (მომხმარებელი) არათანაბარ პირობებშია. საგანმანათლებლო დისკურსში მასწავლებელს აქვს დომინანტური ფუნქცია, რადგან ის ახდენს დისკურსის ინიცირებას, არჩევს საუბრის თემას და ტონს. მასწავლებელი გვევლინება ეტალონად, რომელმაც ბევრი რამ იცის, შესწევს უნარი ცოდნა გადასცეს, შეამოწმოს და შეასწოროს. მოსწავლეს აქვს დაქვემდებარებული ფუნქცია, რადგან ის იღებს ცოდნას. (Цинкерман 2014:32)

ვ. კარასიკი მიუთითებს პედაგოგიური დისკურსის ქრონოტოპზე: 1) სასწავლო პროცესისთვის მინიჭებული პერიოდი (გაკვეთილი სკოლაში, ლექცია უნივერსიტეტში) და 2) ადგილი, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს (საკლასო ოთახი, აუდიტორია, სკოლა და ა.შ) (Карасик 2002 :477)

რუსი მკვლევარი ი. ბოგუცკოი თვლის, რომ საგანმანათლებლო დისკურსის დიფერენციაცია უნდა მოხდეს შემდეგნაირად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რომელი ასაკის ადამიანები და სად ახორციელებენ საგანმანათლებლო დისკურსს. ამგვარად საგანმანათლებლო დისკურსი მკვლევრის აზრით შემდეგ ქვეტიპებად იყოფა: სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების დისკურსი, სასკოლო დისკურსი, საუნივერსიტეტო/ სააუდიტორიო დისკურსი და უწყვეტი განათლების დისკურსი. (Богуцкая, 2010:89)

ჟაკსიბაევა მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო დისკურსის ქვეტიპებია: პედაგოგიური, დიდაქტიკური და საკლასო/სააუდიტორიო დისკურსები. ჩვენ სწორედ ეს უკანასკნელი კლასიფიკაცია მიგვაჩნია ყველაზე სრულყოფილად.

საგანმანათლებლო დისკურსის ერთ-ერთი ქვეტიპია **პედაგოგიური დისკურსი.** მაშინ როცა საგანმანათლებლო დისკურსი ფართეა და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საუბრები საგანმანათლებლო პოლიტიკაზე, საგანმანათლებლო სისტემაზე, საგანმანათლებლო ინსტიტუციებზე, საგანმანათლებლო პროგრამებზე, პედაგოგიური დისკურსი ვიწროა და ფოკუსირებას ახდენს სწავლა-სწავლების პრაქტიკულ ასპექტებზე. იგი თავის თავში აერთიანებს მასწავლებელ-მოსწავლეს შორის ინტერაქციას, სწავლების სტრატეგიებს და მეთოდებს. (Zhaksybayeva 2023:28)

ტერმინი ,,პედაგოგიური დისკურსი'' ეკუთვნის ბერნშტეინს (1990). ბერშტეინის პედაგოგიური დისკურის თეორია მოიცავს პედაგოგიურ აქტივობას სრულიად, მის სოციალურ ურთიერთობებს და საკლასო დისკურსის ანალიზის სფეროსაც.

საგანმანათლებლო დისკურსის კიდევ ერთი ტიპია **დიდაქტიკური დისკურსი,** რომელიც გულისხმობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამრიგებლური, მორალისტური ინფორმაციის გაცვლას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსი მკვლევრები ნ. ოსტრაჟკოვა, ტ. ბალაბანოვა დიდაქტიკურ დისკურსს პედაგოგიური დისკურსის ქვეტიპად მოიაზრებენ. (Балабанова, 2018)

საკლასო დისკურსად იწოდება ყველა ის დიალოგი, რომელიც საკლასო ოთახში ხორციელდება ან საკლასო თემას ეხება. ის იგივეა რაც საკლასო ინტერაქცია მასწავლებელსა და მოსწავლეს, მასწავლებლებს ან მოსწავლეებს შორის. საკლასო დისკურსი შეიძლება იყოს ზეპირი და წერილობითი. იგი მოიცავს დისკურსის

როგორც ლინგვისტურ, ისე არალინგვისტურ ელემენტებს. პირველი გულისხმობს იმ ენობრივ საშუალებებს, რომელთაც მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ. მეორე მათგანი კი გულისხმობს პარალინგვისტურ მახასიათებლებს: ჟესტებს, პროსოდიას, სიჩუმეს.

საკლასო დისკურსის მონაწილეები მასწავლებელი და მოსწავლე არიან. მათთვის დამახასაითებელი განსხვავებული სოციალური ფონის მიუხედავად, ისინი ერთობლივად ქმნიან საბოლოო ამოცანის მისაღწევად აუცილებელ კონტექსტს. საკლასო დისკურსი მიმართულია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთქმედების გზების იდენტიფიცირებისაკენ სწავლის პროცესის არსის შესაცნობად. საკლასო დისკურსის მთავარი მიზანია მასწავლებლის საუბრის, მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთქმედების და სასწავლო შესაძლებლობლებს შორის საერთო საფუძველების მოძიება. (ბანძელაძე, 2014)

ერთ-ერთ ინგლისურენოვან ინტერნეტ სტატიაში დასახელებულია საკლასო დისკურსის სახეები: ინსტრუქციის მიცემა, ახსნა-განმარტება, აზრის გამოთქმა, დათანხმება-არდათანხმება, კამათი, ინტერპრეტირება. იმავე ინტერნეტ სტატიაში საკლასო დისკურსის კიდევ რამდენიმე სახის კლასიფიკაციას ვხვდებით, ესენია:

1) მასწავლებელ-მოსწავლის დისკურსი, რომელიც გულისხმობს ინტერაქციას მასწავლებლსა და მოსწავლეებს შორის;

2) მოსწავლე-მოსწავლეს შორის დისკურსი, რომელიც მოიცავს ინტერაქციას მოსწავლეებს შორის;

3) მთელი კლასის დისკურსი, რომელშიც იგულისხმება საკლასო დისკუსიები, დებატები;

4) კითხვა-პასუხზე დამყარებული დისკურსი;

5) ავთენტური დისკურსი, რომელიც კავშირშია არა საგაკვეთილო პროცესთან, არამედ მოიცავს ყოველდღიური ხასიათის საუბარს კლასის მიღმა;

6) ზეპირი დისკურსი (საუბარი, ინტერვიუ, როლური თამაშები, დებატები, პრეზენტაციები);

7) წერილობითი დისკურსი (ესეები, წერილები, მოხსენება, ტექსტის მოკლე შინაარსი და სხვა);

8) საკლასო მენეჯმენტის ამსახველი დისკურსი, რომელიც გულისხმობს მასწავლებლის ინსტრუქციებს, დირექტივებს/მითითებებს სასაწავლო პროცესის დროს;

9) არავერბალური დისკურსი, რომელიც ხორციელდება ჟესტებით სახის გამომეტყველებით, სხეულის ენის საშუალებით [1].

მეორე ინგლისურენოვან ინტერნეტ სტატიაში კი საკლასო დისკურსის შემდეგი სახეებია ჩამოთვლილი:

1) ჩუმი დისკურსი (Silent), როცა პედაგოგი გამუდმებით ლაპარაკობს და დროდადრო აძლევს მოსწავლეს საშუალებას ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;

2) კონტროლირებული (Controlled), როცა პედაგოგი უსმენს თუ როგორ საუბრობენ მოსწავლეები და დროდადრო ერევა საგაკვეთილო პროცესში;

3) აქტიური (Active), როცა მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ დისკუსიაში [2] .

თეორიული მასალის გაცნობის შედეგად შეგვიძლია მივიდეთ შემდეგ დასკვნამდე, რომ საგანმანათლებლო დისკურსი ინსტუტიციური დისკურსის სახეა, რომელიც არაერთგვაროვანია და ქვეტიპებისგან შედგება. ქვეტიპებიც თავისთავად უფრო პატარა ქვეტიპებად იყოფა. თითოეული ქვეტიპი, იქნება ეს დიდაქტიკური, პედაგოგიური, საკლასო-სააუდიტორიო თუ სხვა მსგავსი მახასიათებლებლებით ხასიათდება, თუმცა საკუთარი სპეციფიკური ნიშნებიც გააჩნიათ.

---

[1] What is Discourse in Education? Classroom Discourse Definition (eslactivity.org)

[2] Discourse - CLASSROOM DISCOURSE, COGNITIVE PERSPECTIVE - Students, Teacher, Questions, and Comprehension - StateUniversity.com

თავი II. ტყუილი, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი და მისი გამოხატვის ლინგვისტური საშუალებები

2. 1. ტყუილი, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი. ტყუილის ფსიქოლოგია.

გვსურს ტყუილზე, როგორც რთულ ფსიქოლოგიურ ფენომენზე საუბარი, ქართველი მკვლევრის ივა მინდაძის ციტატით დავიწყოთ, რომელიც ნათლად ასახავს ტყუილის, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენის მნიშვნელობას. წიგნის ,,ტყუილის ანატომია" შესავალში იგი წერს:

,,კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში ადამიანი ყოველთვის და ყველგან იტყუებოდა. თითოეული მათგანი არაერთხელ მოუტყუებიათ და თითოეულს არაერთხელ გვითქვამს ტყუილი. ვატყუებთ მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, ნაცნობებსა და თანამშრომლებს, მტრებსა და მოშურნეებს; და ცხადია, ისინიც გამუდმებით გვატყუებენ. ზოგი ტყუილი კეთილი ზრახვებით არის ნაკარნახები, ზოგი – ზრდილობით, ზოგიც – ანგარებით. ტყუილი შეჭრილია საზოგადოებრივი ურთიერთობების ყოველ შრეში, საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის ადამიანის თანმდევი ფენომენია" (მინდაძე,2023:5).

უფრო მეტიც, შეიძლება ისიც ითქვას, რომ ტყუილი ადამიანს გაჩენის დღიდან, უფრო სწორად, პირველი ცოდვის ჩადენის დღიდან დაებედა. მაცდურმა ევა მოატყუა, ევამ-ადამი, მერე ორივემ ერთად თუ ცალ-ცალკე უფლის მოტყუებაც სცადა.... მას შემდეგ ასე მოვდივართ ტყუილ-ტყუილით (ლანჩავა, 2021:1).

ქრისტიანული მორალით, ტყუილი ძირს უთხრის ადამიანებს შორის ნდობის შენარჩუნებას, ანგრევს ღირებულებებს და თუკი ადამიანი განზრახ ამახინჯებს რეალობას და ცდილობს მისგან სარგებლის მიღებას, ქრისტიანობაში ეს ცოდვად ითვლება.

საზოგადოება გმობს ტყუილს და მას ნეგატიურ ფენომენად მიიჩნევს, ზიზღით უყურებენ მატყუარებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ტყუილის მიმართ ადამიანების დამოკიდებულება უარყოფითია, ტყუილი ადამიანის ბუნებაა. არ არსებობს ადამიანი, ვისაც არასოდეს მოუტყუებია ცხოვრებაში ან თავად არ გამხდარა ტყუილის მსხვერპლი.

ტყუილის მიმართ საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას წარმოაჩენს ფრაზეოლოგიზმები, რომელშიც ნათლად ჩანს ტყუილის მახასიათებელი ნიშნები და საზოგადოების დამოკიდებულება აღნიშნული ფენომენის მიმართ.

ქართველების და ბრიტანელების ზოგადი მიმართება ტყუილის მიმართ იდენტურია, რაც შემდეგი ფრაზეოლოგიზმებით დასტურდება:

	ქართული	ბრიტანული	ტყუილის თვისება
1	ტყუილს ტყუილი მოსდევს	On lie makes another A lie begets a lie	ჩვევად გადაქცევა
2	ტყუილმა მიჩვევა იცისო	He that tells a lie must invent twenty more to maintain	ჩვევად გადაქცევა
3	ტყუილს ნუ ამბობ, შეგარცხვენსო		სამარცხვინო, დასაგმობი ქმედება
4	ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო	A lie has no feet	ტყუილი ადვილად გამჟღავნდება
5	ტყუილს კუდი ყველგან გარეთ რჩება		ტყუილი ადვილად გამჟღავნდება
6	ისეთი ტყუილი უნდა თქვა, ფეხები ჰქონდეს, დადგომაც შეეძლოს და გაქცევაცაო		ტყუილი ადვილად გამჟღავნდება
7	ვინც ბევრს ყბედობს, ის ბევრს ტყუის	Great talkers are great liars	ტყუილი ბევრს ლაპარაკში ვლინდება
8		He who lies once is never believed again	მატყუარას არავინ ენდობა

სქემა ნათლად ასახავს, რაოდენ ნეგატიურია საზოგადოების დამოკიდებულება ტყუილის მიმართ. თუმცა ტყუილს, ნეგატიური ბუნების გარდა, დადებითი მახასიათებლებიც გააჩნია, რომელზედაც ცოტა ქვევით გვექნება საუბარი.

არის შემთხვევები, როცა ტყუილის თქმა არათუ მისაღები, არამედ აუცილებელია. მაგალითად თუკი სახელმწიფო მოღვაწეები ტყუილს მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან ქვეყანაში წესრიგის შესანარჩუნებლად მიმართავენ. სიმართლის განზრახ დამახინჯების უფლება აქვთ ექიმებს. იჩენენ რა ჰუმანურობას, ექიმები ცდილობენ დამალონ სიმართლე და სულიერი ტკივილი არ მიაყენონ პაციენტს. გამოდის, ტყუილის თქმა ვისიმეს სასიკეთოდ ან გადასარჩენად - მისაღებია.

ეთიკის ნორმების მიხედვით, სიმართლის თქმა ადამიანის ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა, თუმცა არსებობს ცხოვრებისეული სიტუაციები, სადაც ტყუილი გაცილებით დადებითი შინაარსის მატარებელია და მის გამოყენებას უფრო მეტი გამბედაობა სჭირდება, ვიდრე პირდაპირობას. მაგალითად: ავადმყოფის მონახულებისას, მნახველი უმრავლეს შემთხვევაში იტყუება როცა ამბობს: *„რა კარგად გამოიყურები", „არაფერი გეტყობა ავადმყოფობის", „მალე ჩიტივით იქნები"* და ა.შ. მაშინ როცა, შესაძლოა, ავადმყოფობის დიაგნოზი სულაც არაა იმედის მომცემი. ხშირად, მსგავსი ფრაზების არარეალობაში თავად ავადმყოფიც დარწმუნებულია, მაგრამ, მნახველი უბრალოდ ვალდებულია მიმართოს დადებითი კონოტაციის ტყუილს. ამ დროს, ხელშესახები ხდება სიტყვის ძალა, ადამიანის მიერ ნათქვამმა სიტყვამ შესაძლოა გაცილებით მეტი გააკეთოს, ვიდრე მედიკამენტმა და მკურნალობამ (Матюхина, 2011).

ლინგვისტი დენიელ დორი თვლის, რომ რომ არა ტყუილის თქმის ხელოვნება, კომუნიკაცია ვერ იქნებოდა ისეთი, როგორიც ის დღესაა. მკვლევრის მოსაზრებით, ,,სიცრუემ დიდი როლი ითამაშა მეტყველებისა და ზოგადად ადამიანთა შორის კომუნიკაციის განვითარებაში: მისი დახმარებით ენა უფრო კომპლექსური გახდა, სიტყვებისა და ქმედებების მიღმა უფრო რთული მოტივები ჩამოყალიბდა. სიცრუის გარეშე უფრო ღარიბი ფანტაზია გვექნებოდა, ნაკლებად კრიტიკულები და ემოციურად კონტროლირებადები ვიქნებოდით. სავარაუდოდ, ჩვენი კულტურა მითების, ლეგენდების, სიმბოლოებისაგან დაცლილი და შესაბამისად, ძალზე მწირი იქნებოდა". როგორც ციტატიდან ჩანს, ტყუილს საკმაოდ დადებით მოვლენად აღიქვამს მეცნიერი და მას სასარგებლოდაც კი მიიჩნევს, რადგანაც ტყუილის თქმის დროს ჩვენი კოგნიტური შესაძლებლობები იხვეწება, ფანტაზია ვარჯიშდება, ემოციურად მრავალფეროვან გამოცდილებას ვიძენთ.

ტყუილი უნივერსალური ფენომენია. არ აქვს მნიშვნელობა რომელ სოციალურ ფენას, რომელ სქესს, ასაკობრივ ჯგუფს ან კულტურას მივეკუთვნებით, ყველანი ვიტყუებით. საზოგადოება ვერ იარსებებს ტყუილის გარეშე, რადგანაც ტყუილი ადამიანის ბუნებაა. ამასთან, ტყუილი საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური ფენომენია, რომელსაც უარყოფითთან ერთად ბევრი დადებითი გააჩნია და რაც მთავარია, ეს ის ფენომენია, რომელსაც ადამიანები ყველაზე ხშირად მივმართავთ კომუნიკაციის დროს გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად.

2.2. ტერმინის „ტყუილი“ გაგებისათვის. ტყუილის თქმის ძირითადი მოტივები და მატყუარის ამოცნობის ხერხები

მოცემულ პარაგრაფში გვსურს ვისაუბროთ ტყუილის არსზე, ტყუილის თქმის ძირითად მოტივებზე, ტყუილის გენდერულ სპეციფიკაზე და მატყუარის ამოცნობის ხერხებზე. თავდაპირველად გავეცნოთ თუ როგორ განმარტავენ სიტყვას „ტყუილი“ ცნობილი მკვლევრები, როგორია მისი საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია.

პ. ეგრესა და ბ. იკარდის სამეცნიერო სტატიაში “Lying and vagueness” („ტყუილი და ორაზროვნება”) სიტყვა „ტყუილი“ შემდეგნაირად არის ახსნილი: „a delicate utterance of a false sentence, generally with the aim of misleading the hearer into thinking that the sentence is true” („გარკვეული მიზნით წარმოთქმული წინადადება, რომლის მიზანი მსმენელის შეცდომაში შეყვანა და მცდარი აზრის ჭეშმარიტებაში დაჯერებაა - თარგმანი ზ. კ.). (Egre, 2018:2) [3].

ინტერნეტ სტატიაში „პოლ ეკმანი და სიცრუის ფსიქოლოგია“ ვკითხულობთ: „ტყუილი ქმედებაა, რომლის მეშვეობითაც ერთ ადამიანს მეორე ადამიანი შეცდომაში შეყავს და ამას აკეთებს შეგნებულად, გაფრთხილების გარეშე, მსხვერპლი კი სიმართლის გარკვევას არ ითხოვს“ . [4].

ფილოსოფოსი გ. ამაღლობელი თავის სადისერტაციო ნაშრომში „პოლიტიკური დისკურსი, როგორც ენობრივი თამაშის ნაირსახეობა“ ვრცლად საუბრობს ტყუილის ფენომენზე და მას შემდეგნაირად განმარტავს: „ტყუილი - ნებისმიერი მტკიცება (A), რომელიც არის შეგნებულად მცდარი (B) და წარმოითქმება მოტყუების (C) მიზნით“.

- ტყუილი არის გარკვეული მტკიცება
- ტყუილი არის შეგნებული სიმცდარე
- მისი დანიშნულებაა შეცდომაში შეყვანა

[3] https://hal.science/hal-03917657v1/file/egre_icard_lying_vagueness_2018.pdf

[4] What is Discourse in Education? Classroom Discourse Definition (eslactivity.org)

შეცდომაში შეყვანის განზრახვა წარმოადგენს ტყუილისთვის აუცილებელ ელემენტს. მცდარი დებულება შეცდომაში შეყვანის განზრახვის გარეშე არ არის ტყუილი (ცდომილება, წამოცდომა). (ამაღლობელი,2022: 76)

საინტერესოდ გვეჩვენება ცნობილი ლინგვისტის ა. ვეჟბიცკას მიერ განმარტებული სიტყვა ,,ტყუილი", რადგანაც იგი ფორმულის სახით არის წარმოდგენილი:

X lied to Y

X said something to Y

X knew it was not true

X said it because X wanted Y to think it was true

http://urn.kb.se/resolve?urn=urn:nbn:se:umu:diva-212870

ასევე საინტერესოა მკვლევრის ბ. უილიამსის მიდგომა აღნიშნული ტერმინის მიმართ: "Lying is an assertion, the content of which the speaker believes to be false, which is made with the intention to deceive the hearer with respect to that content." (Williams, 2002:96). როგორც დეფინიციიდან ჩანს, ტყუილი არის ვისიმეს ძალით, გამიზნულად შეყვანა შეცდომაში. ტყუილის, როგორც ქმედების საილუსტრაციოდ გამოგვადგება ასეთი მაგალითი: ვიღაც გვეკითხება ,,რა გაზეთს კითხულობ?" და ჩვენ ვპასუხობთ ,,ვაშინგტონ პოსტს". სინამდვილეში კი ეს გაზეთი არასდროს წაგვიკითხავს. გამოდის, შეგნებულად ვიტყუებით, ვაკეთებთ ცრუ განცხადებას, კარგად ვიცით, რომ ჩვენს მიერ გაკეთებული განცხადების შინაარსი არასწორია, მაგრამ მაინც ვცრუობთ, რათა შეცდომაში შევიყვანოთ შეკითხვის ავტორი.

განვიხილოთ ტყუილის მეორე მაგალითიც. ადამიანმა მაღაზიიდან მოიპარა კამფეტი და როცა პოლიციამ ბრალი დასდო ქურდობაში, მან იცრუა და თქვა, რომ მას არაფერი მოუპარავს. ანუ, მან შეგნებულად დამალა სიმართლე. მაგრამ თუკი იმავე ადამიანმა მაღაზიიდან კამფეტი წამოიღო რადგან ეგონა, რომ მას უფასოდ არიგედნენ, ეს უკვე აღარ იქნება ტყუილის მაგალითი.

ტყუილი არის ქმედება, რომლის დროსაც ხდება გრაისის პირველი მაქსიმის, კერძოდ ხარისხის მაქსიმის “Try to make your contribution one that is true ” დარღვევა (Meibauer, 2018: 358).

დაისმის კითხვა, **რა მიზეზები, რა მოტივი ამოძრავებს ადამიანებს, როცა იტყუებიან?**

ქართველი ფსიქოლოგი ზ. მხეიძე ამ კითხვაზე ასე პასუხობს: ,,ადამიანი იტყუება იმიტომ, რომ მოერგოს სიტუაციას. ე.ი. ტყუილი წარმოადგენს ადაპტაციის საშუალებას მოცემულ გარემოში. მაგალითად, სამსახურში თუ გეტყვიან, რომ არასაპატიო მიზეზით 5 წუთის დაგვიანების შემთხვევაში სამსახურიდან გაგაგდებენ, დარწმუნებული იყავით, რომ თანამშრომლებლების 80% ტყუილს იტყვის. რატომ? იმიტომ რომ, მე შევქმენი გარემო, სადაც მას სჭირდება ადაპტირება გადარჩენისთვის. მე ვიღაც ვაიძულე, რომ ტყუილი ეთქვა! ოჯახშიც ასე ხდება. მაგალითად, როცა მამა მკაცრია და შვილს უკრძალავს სადღაც სიარულს, ის უკვე აიძულებს ბავშვს, რომ თქვას ტყუილი სადმე წასასვლელად“. (მხეიძე, 2022:13-14)

ცოტა უფრო ქვევით, ზ. მხეიძე მიუთითებს, რომ არის შემთხვევები, როცა ადამიანი იმისთვის იტყუება, რომ ,,შეინარჩუნოს სტატუს-კვო“. რაც ნიშნავს: ვიტყუები იმიტომ, რომ თქვენ არ შეცვალოთ ჩემ მიმართ დამოკიდებულება უფრო უარყოფითად, ვიდრე მანამდე გქონდათ. მეორე მიზეზი ტყუილის თქმისა ისაა, რომ მსურს გავზარდო ჩემი სტატუსი. ანუ: ვიგონებ ისტორიებს იმ მიზნით, რომ თქვენზე მეტი შთაბეჭდილება მოვახდინო. (მხეიძე, 2022:15)

უცხოელი მკვლევარი ტ. ლევინი ტყუილის თქმის უფრო მეტ მიზეზს ასახელებს და ამბობს,რომ ადამიანები სხვადასხვა მიზეზით შეიძლება ცრუობდნენ:

1) თავის დასაცავად ან პირადი დანაშაულის დასაფარად;

2) საკუთარი თავის დასაწინაურებლად;

3) თვითშეფასების ასამაღლებლად;

4) სხვების გასამხიარულებლად;

5) სხვა ადამიანებზე ზემოქმედების მოსახდენად;

6) სოციალური როლების შესრულებისას, რათა უზრდელები არ გამოჩნდნენ;

7) სხვა ადამიანებისთვის ზიანის მისაყენებლად;

8) გაურკვეველი მიზნების გამო (ე.წ. პათოლოგიური ტყუილი, როცა ტყუილის მოტივი უცნობია).

ტყუილის თქმის ერთ-ერთი უცნაური მიზეზი შესაძლოა იყოს სიმართლის დადგენა. სამაგალითოდ გამოგვადგება ერთი შეხედვით პარადოქსული ისტორია:

,,წირვის შემდეგ მღვდელმა გამოაცხადა: შემდეგ კვირას სიცრუეზე ვისაუბრებთ. უფრო ადვილად რომ შეიმეცნოთ ჩემი ქადაგება, შინ მარკოზის ,, სახარების" მეჩვიდმეტე თავი წაიკითხეთო. კვირის თავზე მღვდელმა ქადაგების წინ გამოაცხადა: ვინც მეჩვიდმეტე თავი წაიკითხა, ხელი ასწიოსო. თითქმის ყველამ ასწია ხელი. — სწორედ ამიტომ მინდოდა თქვენთან სიცრუეზე მესაუბრა, - თქვა მღვდელმა, - მარკოზის ,, სახარებაში" მეჩვიდმეტე თავი საერთოდ არ არსებობს". (ლანჩავა, 2021)

მკვლევრებს დიდი ხნის მანძილზე აინტერესებდათ, **რა ასაკიდან იწყებს ადამიანი ტყუილის თქმას და რა მიზეზებით.**

კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანი ადრეული ბავშვობიდან იტყუება. ვ. ტალვარისა და კ. ლის ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ტყუილის თქმას ადამიანი ბავშვობიდანვე, კერძოდ 2-3 წლიდან იწყებს.

მკვლევრებმა შეიმუშავეს ბავშვებში ტყუილის თქმის ასაკობრივი კლასიფიკაცია, რომელიც ასე გამოიყურება: 1) პირველადი ტყუილი (2-3 წელი), როცა ტყუილს ძალზე ინფანტილური სახე აქვს; 2) მეორეული ტყუილი (3-4 წელი), როცა ტყუილის თქმა დახვეწილი ხდება და ბავშვს შეუძლია მის მიერ ნათქვამ ტყუილს ლოგიკური ახსნა მოუძებნოს; 3) მესამეული ტყუილი (7-8 წელი), როცა ბავშვების ტყუილი უფრო კომპლექსური და დახვეწილი ხდება (Talwar, 2008: 29).

კანადელი ბავშთა ფსიქოლოგი ვ. ტალვარი თვლის, რომ ბავშვების დიდი უმრავლესობა იმიტომ იტყუება, რომ სურთ დამალონ საკუთარი ურჩობა. როცა პატარა აკეთებს იმას, რის გაკეთებაც მას აკრძალული აქვს, ბავშვი ცდილობს დამალოს საკუთარი საქციელი სიცრუის მეშვეობით. თუმცა ვ. ტალვარი იმასაც არ გამორიცხავს, რომ ბავშვთა ასაკში ბავშვების ტყუილების უკან ფანტაზიები იმალებოდეს.

ლ. ტოვმასიანის ნაშრომშიც სახელწოდებით ,,Linguistic features of Lying," ხაზგასმულია, რომ ტყუილის თქმას ადამიანი ადრეული ბავშვობიდან იწყებს. მას ასეთი მაგალითი მოყავს 3 წლის ბავშვის ტყუილის საილუსტრაციოდ. სამის წლის ბავშვი ბაღიდან ბრუნდება და მას ტანთ სხვისი ჟაკეტი აცვია (ფაქტია, ჟაკეტი მოიპარა). მამა ეკითხება მას „საიდან ეს ჟაკეტი?". ბავშვი მამას დაბნეულად პასუხობს, რომ ჟაკეტი მაღაზიაში იყიდა. თუკი მამა-შვილის დიალოგს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ბავშვი ნორმალურად ვერ მეტყველებს, მაგრამ ტყუილის თქმა შეძლებისდაგვარად შეუძლია.

- "How much did you pay for?"

-"5." Acceptable?

- "5 what?"

-"5 money."

ბავშვების დიდი ნაწილი ტყუილში დახელოვნებას ოთხი წლიდან იწყებს.

ხუთი წლის ბავშვის ტყუილი უკვე დახვეწილია ("*I didn't peek at it. I touched it and it felt purple. So, I think it is Barney).*

ექვსი წლის ასაკში ბავშვები ყალბ ინფორმაციას უპრობლემოდ ავრცელებენ.

12-13 წლის ასაკში ბავშვები აცნობიერებენ რა შეიძლება მოყვეს ტყუილს, რომ ტყუილი ნეგატიური ფენომენია და მისი თქმა არ შეიძლება.

13-15 წლის ბავშვები ტყუილს ყველაზე ხშირად ამბობენ, მაგრამ თავის დაძვრენაც მძიმე მდგომარეობიდან მარტივად შეუძლიათ (*"I already did it", "I didn't do it", "I'll do it later" "I didn't know", "I forgot", "I didn't think you'd mind", "I didn't know that's what you meant", "I didn't think you were serious", "It wasn't my fault", "It was an accident").*

ზრდასრული ადამიანები კიდევ უფრო კარგად იტყუებიან. მაგალითად სამსახურის გაცდენის შემთხვევაში, ავადმყოფობას იმიზეზებენ და უფროსთან ტელეფონით საუბრისას, ახველებენ, ხმას იცვლიან და ა.შ.

ამსტერდამის უნივერსიტეტში განხორციელებულმა კვლევამ, რომელშიც 1000 ადამიანი (6 -77 წლამდე) მონაწილეობდა, აჩვენა, რომ ყველაზე ნაკლებს 6-8 წლამდე ბავშვები და 60 წელს გადაშორებული მოხუცები იტყუებიან; ყველაზე მეტს კი მოზარდები. თან მოზარდები სწრაფად და ხარისხიანად იტყუებიან.

კალიფორნიის უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერი პ. ეკმანი თვლის, რომ თუკი ბავშვები ადრეულ ბაშვობაში ტყუიან ცუდი საქციელის გამო სასჯელის თავიდან არიდების მიზნით, ასაკის მატებასთან ერთად, ამ მოტივს ემატება სხვა მოტივებიც, კერძოდ: ძალაუფლების მოპოვების, სხვებზე მანიპულირების სურვილი, ტყუილის საშუალებით სტატუსის ამაღლების სურვილი, ყურადღების მიქცევის სურვილი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მიზანი თვითდამკვიდრებაა, და როცა ბავშვი გრძნობს, რომ რაღაცით ჩამორჩება თანატოლებს. ბავშვმა მოზრდილ ასაკში შესაძლოა იმის გამოც იცრუოს, რომ არ აწყენინოს მეგობარს, ანუ გაიაზროს სოციალური ურთიერთობები.

ტყუილზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ფენომენის გენდერულ სპეციფიკას. სამწუხაროდ ამ კუთხით სამეცნიერო ლიტერატურა მწირია. ზოგიერთ კვლევაში აღნიშნულია, რომ მამაკაცები უფრო ეფექტურად იტყუებიან, ვიდრე ქალბატონები. მკვლევარმა დეპაულომ (1996) თავისი კვლევით გამოავლინა, რომ ყოველდღიურ ყოფაში ქალები უფრო მეტს იტყუებიან, ვიდრე მამაკაცები. აღნიშნული კვლევები აჩვენებს, რომ ქალები უფრო ხშირად, მამაკაცები კი უფრო ეფექტურად იტყუებიან. კვლევის თანახმად დადგინდა, რომ ქალები და მამაკაცები ტყუილის სხვადასხვა ფორმებს მიმართავენ. მამაკაცები ძირითადად საკუთარი თავის ირგვლივ ამბობენ ტყუილს, ხოლო ქალები ძირითადად სხვათა შესახებ იგონებენ ისტორიებს. თუკი ქალი - ქალს ესაუბრება, მაშინ ერთნაირი სიხშირით იტყუება როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების შესახებ. მამაკაცების კომუნიკაციის დროს კი საკუთარ თავზე ორიენტირებული ტყუილები ექვსჯერ ჭარბობს სხვების შესახებ მოგონილ ყალბ ამბებს. (Tovmasan, 2020: 18)

ის, თუ როდის იტყუება ადამიანი, მარტივი ამოსაცნობი არ არის, მით უფრო მაშინ, თუკი ადამიანი თავზეხელარებული მატყუარაა.

ფსიქოლოგები, რომლებიც შეისწავლიან ტყუილის ფენომენს, გამოყოფენ სამ ძირითად მეთოდს იმისათვის, რომ გამოააშკარავონ ტყუილი: 1) არავერბალურ ქცევაზე დაკვირვება (ღიმილი, ხმის ტემბრი); 2) ნათქვამის ანალიზი; 3) ფიზიოლოგიური რეაქციების შესწავლა (პულსი, არტერიული წნევა).

ფიზიოლოგიური რექციების ამოსაცნობად გამოიყენება სპეციალური მოწყობილობა ***პოლიგრაფი,*** იგივე **სიცრუის დეტექტორი,** მოწყობილობა რომელსაც შეუძლია ტყუილის ამოცნობა ადამიანის პულსაციაზე, ოფლიანობაზე, არტერიულ წნევასა და კანის მდგომარეობაზე დაკვირვებით. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტყუილის ამოცნობის ეს მეთოდი საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და ხშირ შემთხვევაში ტყუილის ამოსაცნობად უმჯობესია მივმართოთ იაფ და არაინვაზიურ მეთოდებს, ისეთებს, როგორიცაა მეტყველი სუბიექტის ვერბალურ თუ არავერბალურ მხარეზე დაკვირვება.

როგორ ამოვიცნოთ მატყუარა და გამოვააშკარავოთ ტყუილი? თუკი ამ კითხვით უბრალო ადამიანებს, თუნდაც ქუჩაში გამვლელებს მივმართავთ, მათი პასუხი იქნება: ,,მატყურა ადამიანი მზერას გვარიდებს, ზედმეტი მოძრაობები ახასიათებს, ენა ებმის და ა.შ.“

არის სხვა უნივერსალური მახასიათებლებიც, რომელთაც მატყუარა ადამიანის გამოვლენაა შესაძლებელი, ასე მაგალითად: 1) როცა ადამიანი ტყუის, მისი ჟესტების რაოდენობა კლებულობს; ჟესტიკულაცია ძირითადად სწრაფი და არაბუნებრივია; 2) იგი ხშირად ეხება ცხვირს, ტუჩებს, ლოყებს; 3) გაურბის თვალით კონტაქტს; 4) ცხვირი ეფხანება და უდიდდება - ე.წ. ,,პინოქიოს ეფექტი“; 5) საუბრის დროს აწვლებს იმ ნივთს, რომელიც ხელთ აქვს (მაგალითად ტელეფონი, ფანქარი, კალამი, ჭიქა, საათი, სამკაული); 6) სანამ რთულ კითხვაზე ცრუ პასუხს მოიფიქრებს, პაუზას აკეთებს, ნერვიულად ახველებს, თვალებს ახამხამებს, ამთქნარებს, წყალს სვამს და ამგვარად დროს იგებს; 7) დაძაბულია; 8) ხმა უკანკალებს; 9) მონათხრობის სიუჟეტში შეიმჩნევა დეტალების სიმრავლე, მეტი კონკრეტიკა; 10) მატყუარები თავს არიდენებენ კითხვებზე პირდაპირ პასუხს; 11) შეინიშნება წინააღმდეგობა მათ მიერ ნათქვამსა და მათი ემოციების ფიზიკურად გამოხატვას შორის;

ქვევით გვსურს წარმოვადგინოთ ტყუილის ლინგვისტური / ენობრივი მახასიათებლები, რომლის საშუალებითაც მატყუარას ამცნობა ადვილად მოხდება.

დ. მარკოვიჩი და ჯ. ჰენქოქი სტატიაში "Lies and language' (,,ტყუილი და ენა") წერენ, რომ ხშირ შემთხვევაში კონტექსტზე დაკვირვება საუკეთესო საშუალებაა მატყუარას გამოსავლენად. მატყუარა ადამიანები ხშირად უფრო ცოტას ლაპარაკობენ, ვიდრე სიმართლის მთქმელნი. თუმცა ეს ინდიკატორი შეიძლება შეიცვალოს, თუკი საქმე არა პირისპირ კომუნიკაციას, არამედ კომპიუტერით გაშუამავლებულ კომუნიკაციას ეხება. ტყუილის თქმის დროს ხდება სიტყვათა წყობის ცვლაც.

მკვლევართა აზრით, ტყულის თქმის დროს ყურადღება ექცევა სამ ფაქტორს: 1) ფსიქოლოგიურ დინამიკას (ემოციური და კოგნიტური ასპექტები); 2) პრაგმატულ მიზანს (რა არის ტყუილის თქმის მიზეზი); 3) ჟანრის თავისებურებას (ის, რაც ზეპირი მეტყველებისას შესაძლოა ტყუილის ინდიკატორი იყოს, მაგალითად პირის ნაცვალსახელების ხშირი გამოყენება, წერილობით დოკუმენტში, ვთქვათ აკადემიურ, სამეცნიერო ლიტერატურაში ტყუილის ინდიკატორად არ გამოდგება. (Markowitz, 2022:274-275).

კვლევებმა აჩვენა, რომ მატყუარა ცდილობს არ ახსენოს საკუთარი თავი *(მაგ. სამზარეულოში ფინჯანი გატყდა),* საუბრობს სხვებზე, თუნდაც მესამე პირში, რათა დისტანცირება მოახდინოს საკუთარი ტყუილისგან.

მატყუარას საუბარში შეინიშნება ნეგატიური ტონი *(მაგ. მაპატიეთ დაგვიანებისთვის, საშინელ საცობში გავიჭედე ამ იდიოტების გამო!).* მატყუარები ნეგატიურად არიან განწყობილნი, რადგანაც ქვეცნობიერად ტყუილის გამო დანაშაულის გრძნობას განიცდიან.

მატყუარას ახსნა-განმარტებები მარტივია *(მაგ. არ ვიცი, რატომ ვერ გავიარე ტესტირება!).* მატყუარას ტვინი უარყოფს რთული ტყუილის მოფიქრებას. მსჯელობა და შეფასება რთული პროცესებია, რომელთა გონებაში პროგნოზირება არც ისე ადვილია.

მატყუარა დამაბნეველ ფრაზებს იყენებს *(მაგ. მძარცველებისგან არც ერთს არ ვიცნობ. ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ ამ უგნურთაგან რომელიმეს საქმეზე გავყვებოდი?).* მატყუარები, ტყუილის თქმის დროს წინადადებების შედგენის რთულ სტრუქტურებს ირჩევენ, რისთვისაც ზედმეტ სიტყვებს, დამაჯერებლად მოსაჩვენებელ დეტალებს ამატებენ.

არიან მატყუარები, რომლებიც მოხერხებულად ვერ იტყუებიან, ამის გამო ისინი ნერვიულობენ და საუბრის გაგრძელება უჭირთ. დაძაბულობის ინდიკატორებია: ,,ამმ", ,,ისა რა ქვია", ,,ჰოდა, რას ვამბობდი?!" და სხვა.

დასკვნის სახით, ვიტყვით, რომ მიუხედავად კვლევების დროს დადასტურებული ტყუილის ამოცნობის ვერბალური თუ არავერბალური მახასიათებლების მეტნაკლებად უნივერსალური ბუნებისა, ყველა ადამიანი ინდივიდია და ყველას ტყუილის თქმის ინდივიდუალური მანერა აქვს. ზოგი მატყუარა თვალებში დაჟინებით გვიყურებს და აინტერესებს, რამდენად დაგვაჯერა მის მიერ მონათხრობში. ზოგიც ტყუილში იმდენად გაწვრთნილია, რომ ტყუილის თქმისას გაუჩერებლივ ლაპარაკობს, თავბრუს გვახვევს, კონცენტრაციას გვაკარგვინებს და ტყუილში მარტივად გვაჯერებს.

2.3. ტყუილის ფორმები

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ტყუილის თქმა ყველა ენაში დასაშვებია, თუმცა ეს ტყუილი განსხვავდება გამოყენების ხარისხისა და სიტუაციურად საჭიროებების მიხედვით. ტყუილის არსებობას ენაში აკონტროლებს ამა თუ იმ საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალური ნორმები (Coleman, Kay 1981).

სამეცნიერო სტატიაში "The Linguistic Cues Observed when Lying in Realistic Personal Stake Situations" მკვლევარი ჯ. ბრიკმანი ტყუილის მეტად ზოგად კლასიფიკაციას იძლევა და ორი სახის ტყუილზე: **მომზადებული (prepared) და სპონტანურად თქმული (spontanous)** ამახვილებს ყურადღებას. ცხადია ასეთი სახის კლასიფიკაცია მეტად ზოგადია და ზუსტად ვერ წარმოაჩენს ტყუილის ფსიქოლოგიას.

ინტერნეტ სტატიაში ,,ტყუილის ფსიქოლოგია" სტატიის ავტორი მ. ხოსიტაშვილი გაცილებით უფრო ვრცელ კლასიფიკაციას გვთავაზობს. იგი განასახვავებს ტყუილის შემდეგ ფორმებს:

ცხადი ტყუილი – ე.წ. ფალსიფიკაცია, არის ტყუილი, რომლის დროსაც ინფორმაცია აბსოლუტურად ან დიამეტრალურად წინააღმდეგობრივია სიმართლესთან;

გაზვიადებული სიმართლე – არის ტყუილი, რომლის დროსაც ფაქტები ან ინფორმაცია აღემატება ნამდვილ/ჭეშმარიტ მონაცემებს. ამ დროს ხდება სიმართლის, კერძოდ რეალური ინფორმაციის გაზვიადება, ან შელამაზება ან გარკვეული დეტალების დამატება, რაც ცვლის ჩვენს შეხედულებას და ქცევას;

არასრული სიმართლე – გულისხმობს ჭეშმარიტების მიწოდებას, მაგრამ ისე, რომ ვინმე შეყვანილ იქნას შეცდომაში. კერძოდ, კითხვებზე პასუხიდან თავის არიდების გზით შეიძლება მოხდეს ინფორმაციის დაფარვა ან სიტუაციასთან დაკავშირებული დეტალების გამოტოვება.

იმ კლასიფიკაციით, რომელიც აქცენტს აკეთებს ტყუილის სირთულესა და შედეგებზე, სტატიის ავტორი მ. ხოსიტაშვილი გამოყოფს შემდეგი სახის ტყუილს:

რთულია ტყუილი, როდესაც არსებობს ინდივიდის სიცრუის დამადასტურებელი მოწმეები ან ფაქტები, ან როდესაც საქმე ეხება ეჭვიანი ადამიანის მოტყუებას.

მარტივია ტყუილი, როდესაც ტყუილის მთქმელს აქვს დრო სიცრუის მომზადებისთვის.

ინტერნეტ სტატიაში ,,იმაში, რაც ტყუილია. ტყუილის სახეები" ტყუილის ოცამდე გავრცელებული ტიპია დასახელებული და განსაზღვრული. ესენია:

1) **დუმილი** (საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობის განზრახ დამალვა, ჭეშმარიტი სიმართლის გაუფასურება;
2) **ნახევრად სიმართლე** (ინფორმაციის დამახინჯება, ინფორმაციის არასწორად წაროდგენა);
3) **ბუნდოვანება** (ინფორმაციის ისე მიწოდება, რომ ორაზროვანი შთაბეჭდილება შეიქმნეს და გაძნელდეს ინფორმაციის სწორად აღქმა);
4) **ცნებების ჩანაცვლება** (ერთი ცნების მეორით გაცემა);
5) **გაუფასურება ან გაზვიადება** (ფენომენის სიმძიმის შეფასებისას გადაჭარბება გარკვეული კრიტერიუმის მიხედვით);
6) **გაფორმება** (უფრო მიმზიდველი იმიჯის შექმნა, ვიდრე სინამდვილეშია);
7) **აბსურდულობამდე მიყვანა** (ინფორმაციის დამახინჯება. ის ემოციური თამაშის სახით გამოიხატება);
8) **სიმულაცია** (ადამიანი გამოხატავს ემოციებს, რომლებსაც რეალურად არ განიცდის);
9) **თაღლითობა** (კანონით დასჯადი მოტყუება და მიზნად ისახავს მოგების მიღებას);
10) **გაყალბება/ფალსიფიკაცია** (რეალური, ნამდვილი, ორიგინალური საგნის მეორით ჩანაცვლება და მეორის გაცემა პირველით. მისი მიზანია ფაქტის ან საგნის ჭეშმარიტად, ორიგინალად წარმოჩენა);
11) **ხუმრობა** (არარსებული ფენომენის გამოგონება);
12) **მისტიფიკაცია** (ფიქცია არარსებულ ფენომენზე);
13) **ჭორი** (ადამიანის შესახებ ინფორმაციის გაცემა მისი ცოდნის გარეშე დამახინჯებული ფორმით: ვარაუდით ან სადმე მოსმენილით; სხვა ადამიანის შესახებ ინფორმაციის დამახინჯება);

14) **ცილისწამება** (პიროვნების შესახებ მიზანმიმართულად ყალბი, დამამცირებელი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მიზნად ისახავს მისთვის ზიანის მიყენებას);

15) **მლიქვნელობა** (დადებითი პიროვნული თვისებების ადრესატისთვის გაბერილი ზომით წარმოჩენა);

16) **ირონია, ბლეფი** (ადრესატში იდეის შექმნა, რომ მატყუარას აქვს ის, რაც რეალურად არ გააჩნია);

17) **ხელოვნური თანაგრძნობა** (იმ ემოციების გამოვლინება, რომლის დანახვაც ადრესატს სურს, ნამდვილი ემოციური ინკლუზიის გარეშე);

18) **თავაზიანი ტყუილი** (სოციალურად განსაზღვრული ტიპის ტყუილი, რომელიც აიძულებს ადამიანს დაამახინჯოს რეალობა, რათა არ გასცდეს საზოგადოებაში წესიერების საზღვრებს);

19) **თეთრი ტყუილი** (ტყუილის კიდევ ერთი ფორმა, როდესაც ადამიანი იტყუება რათა სარგებელი მოუტანოს სხვა ადამიანს ან პროცესში ყველა მონაწილეს);

20) **თავის მოტყუება** (ტყუილი საკუთარი თავის წინაშე, საკუთარი თავის ნებაყოფლობითი შეცდომაში შეყვანა) [5].

5. https://ik-ptz.ru/ka/diktanty-po-russkomu-yazyku--5-klass/v-tom-chto-lozh-kotoraya-vidy-lzhi-chto-takoe-lozh.html

ტყუილის ძირითადი ფორმების დაახლოებით მსგავს სქემას შევხვდით ლ. ტოვმასიანთან.

Misdirecting/misleading	tell the truth in a way that cannot be verified.
Half-truth	the truth is not fully said.
Minimization	the act of making something seem less important or smaller than it really is.
Evasion	the act of avoiding something unpleasant or unwanted.
Self-deception	the act of hiding the truth from yourself.
Exaggeration	the fact of making something seem larger, more important, better, or worse than it really is.
White lies	a lie that is told in order to be polite or to stop someone from being upset by the truth.
Fantasy	the act of imagining things; does not really exist.
Mistakes	an action or an opinion that is not correct.
Concealing	to hide somebody/something.
Falsifying	to change a written record or information so that it is no longer true.
Equivocate	to talk about something in a way that is deliberately not clear in order to avoid or hide the truth.
Perjure	to tell a lie in court after you have sworn to tell the truth.
Plagiarism	the practice of taking someone else's work or ideas and passing them off as one's own.
Prevaricate	to avoid giving a direct answer to a question in order to hide the truth.
Boasting	the need to be the center of attention, to be an object of admiration, that push people to compose various stories, sometimes so incredible that others do not know how to react.

(Tovmasyan, 2020:10)

ლ. ტოვმასიანის ცხრილის თანახმად, ფანტაზიორობა, პლაგიარიზმი, ფუჭი ტრაბახი - ასევე ტყუილის სახეებია. ტყუილის დანარჩენი სახეები მეტნაკლებად მეორდება.

ფსიქოლოგი ჩ. ფორდი ტყუილის კლასიფიკაციას ახდენს ტყუილის მოტივებზე დაყრდნობით და ასახელებს ტყუილის შემდეგ სახეებს: **ისტერიული ტყუილი** (როცა ადამიანს სურს ყურადღება მიიქციოს), **თავდაცვითი ტყუილი** (რთული სიტუაციიდან თავის დასაძვრენად ნათქვამი ტყუილი), **კომპენსატორული ტყუილი** (თანამოსაუბრეზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით თქმული), **ბოროტი ტყუილი** (სარგებლის მიღების მიზნით ნათქვამი), **პათოლოგიური ტყუილი** (მუდმივი ტყუილი, თუნდაც საკუთარი თავის საზიანოდ) [6.]

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ტყუილის სახეებისა, სხვადასხვა მეცნიერთან სხვა, გაცილებით საინტერესო ტყუილის სახეებს შევხვდით. ესენია: Knowledge lies, group lies (J. Staffel), bald – faced lies (J. Meinbauer), bullshitting (A. Stokke), bluffing (J. Perillo).

Knowledge lies არის გაცნობიერებული ტყუილი, როცა მთქმელი კარგად აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ტყუილს ამბობს, მაგრამ ხედავს ტყუილის თქმის აუცილებლობას. ფსიქოლოგს ჯ. სტაფელს, რომელიც აღნიშნული ტერმინის შემქმნელად გვევლინება, ამ სახის ტყუილის სამაგალითოდ მოყავს ნაწყვეტი ს. კუბრიკის ფილმიდან ,,სპარტაკი". რომაელი გენერალი მარკუს ლიცინიუს კრასუსი მონათა ჯგუფს მიმართავს თითი დაადონ მათ შორის რომელია სპარტაკი. სპარტაკის იდენთიფიცირებით ისინი საკუთარ სიცოცხლეს დაიხსნიან. სპარტაკი ის-ისაა უნდა წამოდგეს და აღიაროს, რომ სწორედ ისაა სპარტაკი, მაგრამ მასთან ერთად დგება მეორე მონა, შემდეგ მესამე და ასე ერთმანეთის მიყოლებით. თითოეული მათგანი აცხადებს, რომ სწორედ ისაა სპარტაკი. როგორც ვხედავთ, ყველა მონა იტყუება გაცნობიერებულად.

5

Group lies - ჯგუფურ ტყუილს წარმოადგენს, რომელსაც ძირითადად მიმართავენ სხვადასხვა კომპანიების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ან სამთავრობო

[6.] https://ik-ptz.ru/ka/diktanty-po-russkomu-yazyku--4-klass/lozh-vlechet-chto-takoe-lozh-znachenie-slova-lozh-v-filosofskom-slovare.html

პირები. საზოგადოება შეცდომაში შეყავს კომპანიის, პარტიის ან მთავრობის ერთ რომელიმე წევრს, მაგრამ მათ უკან მთელი ორგანიზაციაა.

Bald – faced lies - უტიფარი ტყუილია, როცა ადამიანი თვალებში უტიფრად გიყურებს, იცის რომ გატყუებს, ისიც იცის, რომ ხვდები მის მიერ ნათქვამი სრული აბსურდია, მაგრამ მაინც აგრძელებს ,,თვალებში ნაცრის შეყრას". ამ სახის ტყუილის სამაგალითოდ გამოდგება სტუდენტი, რომელიც გამოცდაზე შპარგალკით სარგებლობს, დეკანთან მიიყვანენ, რომ აღიაროს დანაშაული, მაგრამ დეკანს უტიფრად არწმუნებს იმაში, რომ შპარგალკა არ გამოუყენებია. უტიფარი ტყუილის მაგალითად გამოდგება მოღალატე ქმრის სიტყვები "I spent the night in the office" ცოლის მისამართით თქმული. უტიფარი ტყუილის სინონიმად მკვლევარი ა. სტოკე იყენებს ტერმინს 'bullshitting'. ასეთი ტყუილის თქმისას მთქმელს არ ადარდებს რას იფიქრებს მასზე სხვა.

Bluffing გულისხმობს ბლეფს და მის მაგალითად გამოგვადგება ისეთი შემთხვევა, როცა ვისიმეს გაუპატიურებაში ან მკვლელობაში ადამიანს ბრალი არ მიუძღვის, მაგრამ ის ცრუ ჩვენებას იძლევა, იმისთვის, რომ შემდგომში აქედან რაღაც სარგებელი ნახოს. [7].

შენიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე სახის ტყუილს სხვადასხვა მეცნიერთან სხვადასხვა სახელით ვხვდებით, ასე მაგალითად ე.წ. ,,თეთრ ტყუილს" მოიხსენიებენ როგორც პროსოციალურ ტყუილს, კეთილშობილურ / ალტრუისტულ ტყუილს. სწორედ ამ სახის ტყუილზე გვსურს ყურადღების შეჩერება, რადგანაც იგი ტყუილის ყველაზე უწყინარ, დადებით სახეს წარმოადგენს და დადებით ფენომენს, თავაზიანობას ემსახურება. [7].

[7]. http://urn.kb.se/resolve?urn=urn:nbn:se:umu:diva-212870

ე. გოგალაძე, თავის სადისერტაციო ნაშრომში სახელწოდებით ,,ფატიკური კომუნიკაცია და სამეტყველო ეტიკეტი სპარსულსა და ქართულში" ცალკე ქვეთავს

უთმობს ტყუილის ერთ-ერთ სახეს ე.წ. ,,თეთრ ტყუილს“. ნაშრომში ვკითხულობთ: ,,ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ტყუილისა და სიცრუის შინაარსობრივ და ფორმობრივ ანალიზს უკავშირდება ლ. ქოულმანისა და პ. ქეის პუბლიკაციაა. სტატიის მთავარი საკითხი არის „ტყუილის/სიცრუის“ პროტოტიპული სემანტიკის კუთხით განხილვა.

ლ. ქოულმანმა და პ. ქეიმ მოგვცეს „ტყუილის“ არსებობის სამი პირობა:

1. P არის ტყუილი;

2. S იჯერებს, რომ P არის ტყუილი;

3. S მიზნად ისახავს P გამოიყენოს, რათა A მოატყუოს;

P- არის განცხადება/წინადადება

S - სუბიექტი (მოუბარი)

A - ადრესატი (მსმენელი)

ამ სამი პირობის გათვალისწინებით, ლ. ქოულმანისა და პ. ქეის აზრით, შესაძლებელია ტყუილის ხარისხის განსაზღვრა. თუ სამივე პირობა სრულდება, ეს ნიშნავს, რომ ტყუილი მიზანმიმართულია, ხოლო თუ მხოლოდ პირველი და მეორე პირობაა სახეზე, ეს ნიშნავს, რომ ტყუილი მოსაუბრის საკეთილდღეოდაა გამოყენებული.'' (გოგალაძე, 2019:52-53)

ტყუილის სოციალური ბუნების შესწავლის დროს, გამოიყენება ტერმინები, რომლებიც აღწერენ ორგვარ ტყუილს: ერთი მხრივ, **მოცემულია მიზანმიმართული, ზიანის მომტანი, ანტისოციალური ტყუილი** და მეორე მხრივ, დგას ტერმინები, როგორიცაა: **„კარგი“ ტყუილი** (Coleman, Kay 1981), **თეთრი ტყუილი, სოციალური ტყუილი** (Sweetser 1987:43). ამ ტერმინებით ხასიათდება სიცრუის ტიპი, რომელიც გათვლილია კომუნიკანტთა განწყობის შესამსუბუქებლად და შესანარჩუნებლად და, არა პირიქით, მოუბართა ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ტრავმირებისათვის. ე.წ. სოციალური და თეთრი ტყუილი უკავშირდება ფატიკურ კომუნიკაციას. ამგვარი ტყუილის გამოყენება გამართლებული და დასაშვებია სოციალურ კონტექსტში - ფატიკური კომუნიკაციის დროს. ფატიკური კომუნიკაციის პირველადი დანიშნულება

ხომ მოუბართათვის სასიამოვნო გარემოს შექმნაა და ამ გარემოში ასევე სასიამოვნო და თბილი ურთიერთობის გაგრძელება, განვითარება და დასრულება. სოციალური ტყუილიც ამავე მიზანს ემსახურება, ამგვარი ტყუილი ითქმის მაშინ, როცა სიმართლის გამჟღავნება უარყოფითად მოქმედებს საუბრის მონაწილეთა გუნება-განწყობილებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, თეთრი ტყუილის გამოყენებისას სრულდება ლ. ქოულმანისა და პ. ქეის სამი პირობიდან პირველი პირობა: განცხადება ტყუილია, რაც ნიშნავს იმას, რომ კომუნიკაციის მონაწილეთათვის ცნობილია, რომ ნათქვამი სიცრუეა, თუმცა ამ სიცრუის მოსასმენად და მისაღებად მზად არიან ერთი მიზეზის გამო: ამგვარი განცხადება ხელს უწყობს კომუნიკაციურ ველში არსებული სოციალური ურთიერთობების შენარჩუნებას. ფატიკურ კომუნიკაციაში, შეიძლება ითქვას, სიმართლისა და სიცრუის, თეთრი ტყუილის ხარისხი და დანიშნულება თანაბარ სიბრტყეზეა. ეს არის ორი მოცემულობა, და ამ მოცემულობათაგან ორივე ემსახურება ერთ მიზანს: ხელიშეუწყოს წარმატებული კომუნიკაციის განხორციელებას. (გოგოლაძე, 2019: 53-54)

ე. გოგალაძე თავის დისრტაციაში ცდილობს წარმოაჩინოს ,,თეთრი ტყუილის“ მაგალითები რომლებიც ფატიკური კომუნიკაციის დროს გამოიყენება და ასეთებად ასახელებს: მისალმება-მოკითხვის, მადლობის, საჩუქრის მირთმევის, მობოდიშების, დაპატიჟების, გამასპინძლების, შეთავაზების, ქათინაურის და სხვა მაამებელი ფრაზების თქმის დროს ნათქვამ ფრაზებს:

,,ფატიკურ კომუნიკაციაში თეთრი ტყუილის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ნიმუშს წარმოადგენს ,,**მადლობები**”. ძალიან ხშირად, მოსაუბრე მადლიერების ნიშნად, აზვიადებს ხოლმე მსმენლის მიერ გაწეულ სამსახურს და არ იშურებს საქებარ სიტყვებს. თანამოსაუბრე კი პირიქით, თავმდაბლობით მინიმუმამდე ამცირებს საკუთარ ნაღვაწს. ამ დროს ორივემ კარგად იცის, რომ სრულ სიმართლეს არ ამბობს, და არც ერთი არ არის ბოლომდე გულწრფელი, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს მათ ურთიერთობას, პირიქით - კიდევ უფრო გულითადს და სასიამოვნოს ხდის მას.

საჩუქრის მიღების დროს, ადამიანმა **მადლობა** უნდა გადაიხადოს. საგულისხმოა, რომ მაშინაც კი, როდესაც საჩუქარი დიდად არ მოგვწონს და ჩვენთვის გამოუსადეგარ ნივთს წარმოადგენს, თავაზიანობა მოითხოვს ისევ და ისევ არაგულწრფელ საქციელს.

სტუმარი რომ ნასიამოვნები დარჩეს, აღფრთოვანებით წამოვიძახებთ: რა მშვენიერია?! საიდან მიხვდი, რომ სწორედ ეს მჭირდებოდა?! არაგულწრფელობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა ფატიკური კომუნიკაციის ფარგლებში ნათქვამი მობოდიშების გამომხატველი ფრაზები და მასზე პასუხად გამოყენებული ფატიკური ფორმულები. როდესაც ერთი ადამიანი, გაუცნობიერებლად აწუხებს ან უხერხულ მდგომარეობაში აგდებს მეორე ადამიანს, იგი ბოდიშის მოხდით ცდილობს თავისი საქციელის „გამოსწორებას“. მეორე მხარე კი, რაც უნდა განაწყენებული იყოს, არ გამოხატავს, რომ გაჯავრებულია, პირიქით_თავაზიანობის და კეთილგანწყობის შენარჩუნების მიზნით, ღიმილით ამბობს: **არაფრის, რა შეწუხებაა; არა უშავს; საბოდიშო არაფერია.** . . თუმცა შესაძლოა ძალიანაც ბრაზობდეს. (გოგალაძე, 2019:56-57)

სტუმართმოყვარეობა, სტუმრის პატივისცემა საქართველოში რიტუალადაა ქცეული. ქართველს სისხლში გამჯდარი სტუმართმოყვარეობის გრძნობა აიძულებს, ხანდახან, **სტუმრის მიპატიჟება-მიწვევის დროს,** მიმართოს თეთრ ტყუილს. ეს მას ეხმარება საკუთარი პიროვნული იმიჯის შენარჩუნებაში. ფატიკური მიპატიჟებისათვის ქართულ ენაში შესანიშნავი გამოთქმა არსებობს - ცალყბად პატიჟი. სტუმრის გამასპინძლება - საჭმლის, ხილის, ტკბილეულის შეთავაზება ერთ-ერთი ეტიკეტური სიტუაციაა, სადაც ასევე წარმატებით გამოიყენება სოციალური ტყუილი. სტუმარი ხშირად, მასპინძლის შეთავაზებაზე ფატიკურ უარს ამბობს, იმეორებს სამადლობელ ფრაზებს, და მასპინძლის მხრიდან რამდენიმეჯერ ნათქვამი შეთავაზების შემდეგ იღებს გამასპინძლებას: შედის სახლში, ჯდება მაგიდასთან, მიირთმევს ტკბილეულს, საჭმელს და სხვა“. (გოგალაძე, 2019:58)

როგორც ვხედავთ, სოციალური ტყუილი განსაკუთრებული დანიშნულებისაა სოციალურ ურთიერთობებში. ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან გამოიკვეთა რამდენიმე ეტიკეტური სიტუაცია, სადაც თეთრი ტყუილი არათუ მისაღები და დასაშვებია, არამედ - სავალდებულოც: მისალმება-მოკითხვა, მადლობა, საჩუქრის ბოძება-მირთმევა, მობოდიშება, დაპატიჟება, გამასპინძლება, შეთავაზება, ქათინაური და მაამებელი ფრაზები - არის ძირითადი ეტიკეტური გარემო, სადაც თეთრ ტყუილს ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. სწორედ სოციალურად გამართლებული ტყუილის

ხარჯზე ინარჩუნებს თითოეული ამ სიტუაციათაგანი საკუთარ სოციალურ ფორმას. (გოგალაძე, 2019:60)

2.4. ტყუილი როგორც პრაგმალინგვისტური კვლევის ობიექტი

პარგმატული თვალსაზრისით, ტყუილი თითქმის არ არის შესწავლილი. ხშირად ისმის შეკითხვები: რა სახის სამეტყველო აქტია ტყუილი? რა ადგილი უჭირავს მას სამეტყველო აქტთა ტიპოლოგიაში? როგორია ტყუილზე დაფუძნებული სამეტყველო აქტი? როგორ რეაგირებენ ტყუილზე მსმენელები?

ტყუილის პრაგმალინგვისტური მხარის შესწავლა წარმოადგენს სოციალური თვალსაზრისით მეტად საინტერესო საკითხს და მეტად პერსპექტიულია კვლევის განსახორციელებლად.

ტყუილის პრაგმატიკული კუთხით შესწავლა გულისხმობს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორიცაა: 1) ტყუილის მოტივი; 2) ტყუილის ფორმირება მთქმელის მიერ და მისი კომუნიკაციის დროს გამოყენება; 3) კომუნიკაციის კონტექსტი - როგორ მოქმედებს გარემო და კულტურა ტყუილის ინტერპრეტაციაზე; 4) ტყუილის ,,მსხვერპლის" რეაქცია. ტყუილის პრაგმატიკაში გაერთიანებულია ფსიქოლოგიური, ლინგვისტური და სოციალური ასპექტები.

ტყუილის თქმა წარმოადგენს კომუნიკაციის განუყოფელ ნაწილს, რომლის დროსაც ცრუ უნფორმაციის გამცემი, ე.ი. მთქმელი გასცემს ცრუ ინფორმაციას და მიმღები/ მსმენელი ამ ცრუ ინფორმაციას იჯერებს. მთქმელმა იცის, რომ ის ცრუ ინფორმაციას ავრცელებს, მაგრამ მაინც მიზანმიმართულად მოქმედებს. ადგილი აქვს ინტენციურ დეზინფორმაციას.

როგორც ვხედავთ, ტყუილის თქმის პროცესში, ანუ ცრუ სახის კომუნიკაციის დროს კომუნიკაციურ აქტში მონაწილეობას ღებულობს: **ადრესანტი/ კომუნიკატორი, საინფორმაციო არხი, საინფორმაციო კოდი და ადრესატი/რეციპიენტი.** შესაძლებელია ადრესანტს/ კომუნიკატორს ვუწოდოთ მატყუარა/ ინდუქტორი/ ცრუ ინფორმაციის შემქმნელი, ხოლო ადრესატს - მიმღები, ტყუილის ობიექტი, სიცრუის მსხვერპლი.

როგორ მიმდინარეობს მოტყუების აქტი? მატყუარა ანუ ადრესანტი ემზადება მოსატყუებლად, აპირებს ტყუილს, ანუ იცის, რომ უნდა მოიტყუოს, შესაბამისად გეგმავს ტყუილს, აანალიზებს რამდენად ხელსაყრელი იქნება მისთვის ტყუილის თქმა და მხოლოდ ამის შემდეგ გასცემს ცრუ ინფორმაციას.

რაც შეეხება სიცრუის ობიექტს, სიცრუის მსხვერპლი მატყუარასგან ელის ან არ ელის პატიოსან ქცევას, ფიქრობს, რომ მისთვის მიწოდებული შეტყობინება სიმართლეა ან ტყუილია, აღიქვამს ტყუილს ან ვერ ამჩნევს მას.

აქვე საინტერესოა შევჩერდეთ საინფორმაციო არხზე და საინფორმაციო კოდზე. **საინფორმაციო არხში** იგულისხმება, თუ როგორ ხდება (ზეპირი თუ წერილობითი ფორმით) ადამიანის მოტყუება, ხოლო **საინფორმაციო კოდი** წარმოადგენს ცრუ ინფორმაციას.

ცრუ ინფორმაციის შეფასება უნდა მოხდეს სისრულის თვალსაზრისით (ნაწილობრივი ტყუილი, ნაწილობრივი სიმართლე, სრული ტყუილი, რთული ტყუილი - როცა კარგად გაწვრთნილი მატყუარა ოსტატურად ცვლის ჭეშმარიტ და ცრუ გზავნილებს).

ცრუ ინფორმაცია ასევე ფასდება სანდოობის ხარისხის მიხედვით. იგი შეიძლება იყოს სანდო და სავარაუდო.

ცრუ ინფორმაციის კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს ინფორმაციის მოცულობის, წყაროს, მატყუარას ასაკის, გადაცემის მეთოდების და გავრცელების მიხედვით.

როცა მოსაუბრე, ანუ სიგნალის გადამცემი სარგებელს ნახულობს სიგნალის მიმღებსა და რეალობას შორის ნორმატიული ურთიერთმიმართების მოშლით, ხოლო სიგნალის მიმღები ზიანდება ამგვარი ცდომილება-დამახინჯების შედეგად, წარმოჩინდება ტყუილი ერთ-ერთი ფუნქცია - მანიპულაციური ფუნქცია.

ტყუილს გარდა კომუნიკაციური ფუნქციისა, გააჩნია ექსპრესიული ფუნქციაც. იგი ორიენტირებულია მთქმელზე, რომელიც ცდილობს გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება როგორც ადრესატის, ასე იმ საკითხის მიმართ, რომელზედაც ცრუ ინფორმაციას ავრცელებს (Ленец,2006:26).

საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობთ მხოლოდ სიმართლის თქმას როდი ემსახურება. ადამიანი ვალდებულია ატაროს ე.წ. ,,საზოგადოებრივი ნიღაბი“ და მოიქცეს საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად. ცხადია აღზრდასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ადამიანები ვსწავლობთ როგორ უნდა მოვიქცეთ საზოგადოებაში, როგორ ვაკონტროლოთ ემოციები, რომ ჩვენი ქცევით თუ სიტყვით სხვებს ზიანი არ მივაყენოთ.

როცა ზემოთ ვსაუბრობდით ტყუილზე როგორც ფსიქოლოგიურ ფენომენზე, აღვნიშნეთ, რომ ტყუილის თქმას წინ უძღვის მთელი რიგი პროცესები. მთქმელი წინასწარ განიზრახავს ან განზრახვის გარეშე ამბობს ტყუილს; მისთვის ტყუილი შეიძლება იყოს ამორალური საქციელი ან ფიქრობდეს, რომ ტყუილის თქმა სრულებით ნორმალურია. მატყუარა წინასწარ აცნობიერებს მის მიერ ჩასადენ საქციელს, იცის ტყუილის მიზეზი, არის მზად ტყუილის სათქმელად. თუკი ტყუილი მიზანმიმართულადაა ნათქვამი, მთქმელს რაღაც ინტერესი ამოძრავებს და ტყუილიდან სარგებელს ნახულობს, გამოდის იგი მსმენელს ზიანს აყენებს. მატყუარა ერთგვარად ამცირებს ინფორმაციის მიმღებს და მსხვერპლის როლში გამოყავს იგი.

ტყუილის პრაგმალინგვისტური კვლევისას საინტერესო ხდება ტყუილის, როგორც ნათქვამის კლასიფიკაცია. ეს კლასიფიკაცია ძირითადად იურისპრუდენციაში გამოიყენება. იურისპრუდენციაში ტყუილის ორ სახეს განარჩევენ: **პასიურს და აქტიურს.** პასიურია ტყუილი, როცა ენობრივი სუბიექტი მიზანმიმართულად არ გასცემს ინფორმაციას, ანუ გაჩუმებულია, არ გათქვამს სიმართლეს. ნ. არუტუნოვა სამართლიანად უწოდებს ასეთ ტყუილს «знаю, да не скажу» (ვიცი, მაგრამ არ ვიტყვი - თარგმანი ჩვენია) (Арутюнова 1992: 49). რაც შეეხება აქტიურ ტყუილს, ის გულისხმობს ცრუ ინფორმაციის გაცემას (Закатов, 1984:26).

იგივე საკითხზე მსჯელობს მკვლევარი ს. იანჩევა სტატიაში ,,ტყუილი როგორც კომუნიკაციური ფენომენი“. იგი თვლის, რომ გაჩუმების/დადუმების კომუნიკაციური აქტი სიჩუმის ტოლფასია. დადუმება ნიშნავს უარის თქმას სამეტყველო აქტზე ან ნაცნობი ფაქტის დაფარვას. დადუმებასთან ახლოსაა მინიშნება და ბოლომდე ართქმა. თუკი ადრესანტი გადაწყვეტს ჩუმად ყოფნას, იმის ნაცვლად რომ სიმართლე გაამხილოს, ის არ ჩაითვლება მატყუარად და ფალსიფიკატორად. შესაბამისად არც მის ქმედებას არ მოყვება ნეგატიური რეაქცია მსმენელის მხრიდან. რაც შეეხება აქტიურ ტყუილს, რომელშიც ნაწილი სიმართლეა, ესეც დეზინფორმაციას წარმოადგენს. ასეთი კომუნიკაცია დადებიტად ვერ შეფასდება, რადგანაც მასში კორექტულობის კომუნიკაციური პრინციპი დარღვეულია (Янчева, 2014:46).

ჩვენი კვლევის ფარგლებში ძირითადად განვიხილავთ აქტიური ტყუილის სახეებს და დავაკვირდებით მათ ვერბალურ გაფორმებას.

2.5. ტყუილის ენა. ტყუილის გამოხატვის ლინგვისტური საშუალებები

კომუნიკაცია ადამიანის ფუნდამენტური უნარია. საუბედუროდ, ეს უნარი საკმაოდ ძვირად გვიჯდება ადამიანებს - კომუნიკაციის დროს შესაძლებელია ,,ტყუილის მსხვერპლი" გავხდეთ. როგორია ტყუილის ვერბალური გამოვლინება, როგორ ამოვიცნოთ ლინგვისტურ საშუალებებზე დაკვირვებით, რომ გვატყუებენ?

როცა ადამიანი იტყუება, ეს მეტნაკლებად შესამჩნევია. რაგინდ ძლიერ არ უნდა ცდილობდეს ადამიანი ტყუილის დაფარვას და დამაჯერებელი ისტორიის შეთხზვას, ტყუილი მაინც საღაციდან ,,გაჟონავს". ეს აზრი ზ. ფროიდის დროინდელია.

ზ. ფროიდს მოყავს შემდეგი მაგალითი: ექიმი ეწვია მდიდარ პაციენტს სახლში. პაციენტს მძიმე დაავადება სჭირდა, ექიმი შეეცადა პაციენტის დამშვიდებას, დაავადების სირთულის შემსუბუქებას, მაგრამ წასვლის ჟამს ასეთი რამ უთხრა პაციენტს: I hope you will not soon leave your bed (იმედი მაქვს, საწოლში ყოფნა დიდი ხანი მოგიწევთ - თარგმანი ჩვენია). ამ ბოლო წინადადებით მან წყალში ჩაყარა ყველაფერი და ტყუილიც გაცხადდა - პაციენტის განკურნებას დიდი ხანი დასჭირდებოდა (Tovmasyan, 2020: 19)

ადამიანებს ოდითგანვე ჰქონდათ შემუშავებული ტყუილის ამოცნობის მეთოდები: დაკვირვება მატყუარას სხეულის ენაზე ან ვერბალურ მხარეზე.

მაშინაც კი, როცა ტყუილი იმპლიციტურ დონეზეა ნათქვამი, ტყუილის ამოცნობა შესაძლებელია მონათხრობის შინაარსზე დაკვირვებით. მატყუარა ადამიანების მონათხრობი ფანტასტიკის ელემენტებს შეიცავს. მათ მიერ მოგონილი ამბები ხშირად ილუზორულია, ბუნდოვანია და გამოცნობას და დაფიქრებას მოითხოვს. ჰენქოქი (2005) თვლის, რომ არა მოტივირებული მატყუარები მარტივ ტყუილებს ქმნიან, მაშინ როცა მოტივირებულები საკმაოდ დახვეწილ ტყუილებს თხზავენ.

დეპაულო (2003:74-118) ამბობს, რომ მატყუარა ადამიანები მეტწილად იყენებენ უარყოფითი მნიშვნელობის ემოციურ ლექსემებს (hate, anger, enemy) რათა შექმნან დაძაბულობის განცდა.

ადამიანები, რომლებიც ნამდვილ ამბავს ყვებიან, ემოციურად საუბრობენ, მათი ნარატივის სტრუქტურა დარღვეულია. მაგრამ მატყუარა ადამიანების ნარატივი ემოციურობას მოკლებულია. შესაბამისად თხრობა ქრონოლოგიური სიზუსტით მიმდინარეობს. მატყუარა სიტუაციას აღწერს ისე, რომ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებზე საუბრობს. მაგრამ თუკი ერთი და იგივე კითხვით რამდენიმეჯერ ზედიზედ მიმართეს, მეორეჯერ იგივე პასუხის გაცემა გაუჭირდება.

კვლევებში მითითებულია, რომ მატყუარის ამოცნობის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ მათ მიერ გამოყენებული სიტყვების რაოდენობას. როგორც კვლევებმა დაადასტურა, მატყუარები ცოტას ლაპარაკობენ. ისინი ცდილობენ ვრცლად არ ისაუბრონ და რაც შეიძლება მცირე ინფორმაცია გასცენ იმაზე, რაც რეალობასთან არავითარ კავშირში არაა.

მატყუარა ადამიანების მონათხრობს დეტალები აკლია. დეტალებზე ყურადღების შეგნებულად არ გამახვილება იმაზე მიუთითებს, რომ არ სურთ მსმენელებმა ტყუილში გამოიჭირონ.

მკვლევრის კოზლოვას (2014:44) თანახმად მატყუარების მეტყველებაში შეინიშნება შემდეგი:

1) მატყუარებს უჭირთ წინასწარ განჭვრიტონ ან დაგეგმონ რაზე უნდა მოიტყუონ. ამიტომ, ისინი ჯერ ისტორიას გონებით გადაურბენენ, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს აარჩევენ და ტყუილსაც მასზე დააშენებენ. ერთ ცრუ ფაქტს მეორე ცრუ ფაქტის შეთხზვა მოსდევს, რაც მატყუარასგან სერიოზულ ძალისხმევას და დროს მოითხოვს.
2) მატყუარების მეტყველებას აკლია ინფორმაციის სიზუსტე. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც მატყუარას ეს ყველაფერი რეალურად არ განუცდია;
3) ისეთი მატყუარებიც არსებობს, რომელთაც მთელი სიზუსტით შეუძლიათ ამბის მოყოლა, ამბისა, რომელიც შორეულ წარსულში მოხდა. მატყუარები ყვებიან ამბებს ზუსტი ქრონოლოგიით.
4) მატყუარებს სჩვევიათ ერთი და იგივე ამბის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით მიწოდება მსმენელისათვის. ისინი მათ მიმართ დასმულ შეკითხვებსაც სხვადასხვაგვარად პასუხობენ;

5) მატყუარა საკუთარი თავის შესახებ დადებით ინფორმაციას გასცემს, რათა მსმენელს მათ მონათხრობში ეჭვი არ შეეპაროთ;
6) მატყუარებს სჩვევიათ ერთი და იგივეს ხშირი გამეორება. ერთ-ერთი აღმოსავლური ანდაზისა არ იყოს: "You told me the first time, and I believed, you repeated - and I doubted, you said the third time - and I realized that you were lying." (როცა პირველად მითხარი - დაგიჯერე, მეორედ რომ გამიმეორე - ეჭვი შემეპარა. როცა მესამედ გამიმეორე - მივხვდი, რომ მატყუებდი - თარგმანი ჩვენია);
7) მატყუარები იმ შეკითხვებსაც იმეორებენ, რა შეკითხვაც მათ მიმართ იქნა დასმული. ასე მაგალითად:

-Hey Lily, did you send the email to Rose?

-Did I send the email to Rose?

შეკითხვის გამეორება მატყუარას მიერ ერთგვარი ტაქტიკაა, რომლის დროსაც მატყუარა დროს იგებს და სათანადო პასუხს ამზადებს.

8) ყოყმანი პასუხის გაცემის დროს და ენის დაბმა ასევე თვალშისაცემია:

- Can you imagine someone stole my wallet?

- Oh really, um, may be… maybe you lost it? Or …or left somewhere …?

9) ემოციებისგან დაცლილი ნარატივი;

10) კითხვაზე პასუხის გაცემის აცილების მცდელობა, რომელიც ისეთ ეფექტს ქმნის, თითქოსდა მატყუარამ ვერ გაიგო შეკითხვის არსი ან პასუხი დაავიწყდა;

11) ზოგიერთ მატყუარას სჩვევია იმის თქმა, რომ მის მიმართ დასმული შეკითხვა მოეწონა, სწორედ რომ ამ კითხვას მოელოდნენ. ასე მაგალითა: *"Good question…"; "I'm glad you asked me ..."; "Interesting (funny)." By the way, where is our ...", "I don't know", "I don't remember" "I don't understand the essence of the questions, your actions."*

12) როცა მატყუარას მის მიმართ დასმულ შეკითხვაზე პასუხი არ მოეპოვება და არ სურთ ტყუილში გამოიჭირონ, თავდაცვის მიზნით ამბობენ: "I don't remember something ...", "As far as I remember, no", "Let me think, remember ...", "It was so long ago…"

13) იმისათვის, რომ მსმენელმა მათ მიერ მოთხრობილ ამბავში ეჭვი არ შეიტანოს, მატყუარები მიმართავენ ფრაზებს მსგავსად: "To be honest", "Let me be They clear", "To tell you the truth", "The fact is", "Believe me."

14) მატყუარები შეკითხვების დასმისას ახსნა-განმარტებებს ითხოვენ "What's the meaning of this?" ან "What do you mean?"

15) თუკი მატყუარა ხვდება, რომ მძიმე მდგომარეობაშია, თავის დაძვრენას შემდეგი ფრაზებით ცდილობს: "As far as I recall", "If you really think about it", "What I remember is," "The way I see it";

16) მატყუარები მაქსიმალურად არიდებენ თავს პირველი პირის ნაცვალსახელების (I, my, myself) გამოყენებას;

"The glass broke," ნაცვლად "I broke the glass."

ნაცვალსახელების გამოყენებაზე დაკვირვებით შესაძლოა ბევრი რამ გავიგოთ ენობრივ სუბიექტზე. თუკი ენობივი სუბიექტი კომუნიკაციის დროს ხშირად იყენებს პირველი პირის ნაცვალსახელებს: *I, me, my, mine, myself, we, us, our, ours, ourselves.,* გამოდის, რომ ისინი პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებენ ამა თუ იმ განცხადების გაკეთებისას. თუკი ადამიანი ნაცვალსახელებს შეგნებულად გამოტოვებს, გამოდის, რომ ინფორმაცია არაა სარწმუნო.

17) შესაძლებელია ნაცვალსახელების არტიკლებით ჩანაცვლება, ასე მაგალითად:

"I played the piano" ნაცვლად "I played my piano."

18) მატყუარებს სჩვევიათ ბრალდების შემთხვევაში ბრალმდებელის ,,ნამუსზე აგდება" შემდეგი ფრაზებით: "Would I do something like that? "I wouldn't do such a thing," "How can you doubt me?" "Don't you have something better to do than to waste my time with this stuff?"

19) მატყუარებს ახასიათებთ ე.წ. პარაზიტი სიტყვების: Um" "see," "you know," "means," "here," "well," "maybe" ხშირი გამოყენება;

20) მატყუარების ემოციური სტრესის მაჩვენებელია: “really praise”, “wow!”, “very strong”, “terribly bad”, etc.

21) მატყუარებს უყვართ საუბრის თემის შეცვლა, რომელიც ვლინდება თხოვნაში: “Why do you want to know that?”, “Don’t you have something better to do?”

22) მატყუარებს ახასიათებს კითხვის შემობრუნება

- *“Did you do it?”*

- *“Did I do it? Of course not!*”

თითოეულ გამონათქვამს გააჩნია გრამატიკული ფორმა. ტყუილის შემცველ წინადადებებსაც მათ შორის. ტყუილის შემცველი წინადადებები ყოველთვის მტკიცებით ფორმაშია, თუმცა მათში შეიმჩნევა ძახილის წინადადებები (Boy, what a beard he has!), პირობითი წინადადებები (If you drive two miles down that dirt road, you will be at his front yard. (Context: Residents want to protect J.D. Salinger from nosy reporters), დამოკიდებული (მიმართებითი) წინადადებები (The jury member who was uncertain about his judgment wanted coffee).

2.6. ტყუილის პროსოდიკული მახასიათებლები

ცხადია, ტყუილს არ გააჩნია ილოკუციური ინდიკატორები. შეუძლებელია ვთქვათ "I hereby lie that p", თუმცა მატყუარა ადამიანის მიერ წარმოთქმულ წინადადებებში შეიმჩნევა პროსოდიკული მახასიათებლები, კერძოდ ყოყმანი, მეტყველების დროს დაშვებული შეცდომები, ბგერათგადაცდომები, მაღალი ტემბრის ხმა, პაუზების სიხშირე და განგრძლივობა. თუმცა როცა საქმე გამოცდილ მატყუარას ეხება, შეცდომები იკლებს.

სანამ უშუალოდ ტყუილის პროსოდიკულ მახასიათებლებს დავახასიათებთ, ვფიქრობთ კარგი იქნება თუკი პარავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობაზეც შევჩერდებით.

ზოგიერთ მეცნიერთან **პარავერბალური კომუნიკაცია** არავერბალური კომუნიკაციის სახედ არის დასახელებული, ზოგიც კი მას როგორც კომუნიკაციის ცალკე სახეს, ისე მოიაზრებს. პროფესორი მერჰაბიანი მიიჩნევს, რომ კომუნიკაციის დროს ინფორმაციის 38 % დაახლოებით პარავერბალურ მესიჯებზე მოდის.

ლინგვისტები დაობენ იმის შესახებ, თუ რა მოვლენებს უნდა ვუწოდოთ პარალინგვისტური. ზოგ მეცნიერს მიაჩნია, რომ პარალინგვისტურია ხმის თავისებურება, ტონალობის სიმაღლე, პაუზა, ინტონაცია. ამავე ჯგუფში აერთინებენ ისინი, სიცილს, ტირილს, ჩახველებას, ამოოხვრას. იგივე მეცნიერები პარალინგვისტური მოვლენებისაგან ცალკე განიხილავენ კინესიკას - ჟესტებს, მიმიკას, სხეულის მოძრაობას.

ბევრი ლინგვისტი შეთანხმდა პარალინგვისტური მოვლენების განსზაღვრის თაობაზე. ის გულისხმობს ხმის ერთგვარ მოდულაციას, ჟესტებს, პოზებს, რომლებიც თან ახლავს მეტყველებას და რომლებიც თავად ცვლიან სამეტყველო გამონათქვამს და დამატებით ინფორმაციას აძლევენ მის შინაარსს (კალშანსკი 1974: 33; პორშნევი 1974:137).

კინემაში იგულისხმება ავტომატური მოძრაობები, რომლებიც არ არის დაკავშირებული პირდაპირ სამეტყველო ინფორმაციასთან. ისინი ავსებენ და ცვლიან სამეტყველო ქმედებას, ზოგჯერ კიდეც ეწინააღმდეგებიან მას. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ სოციალური კულტურის გარემოში სხეულის მდებარეობას, თავის, სახის, კიდურების მოძრაობას სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს.

პარალინგვისტური მოვლენების მიხედვით ანსხვავებენ ორი ტიპის მოძრაობებს. ესენია: 1. კომუნიკაციური მოძრაობები (მიმიკა, ჟესტები, პოზა, მოძრაობები), რომლებიც ადრესატისათვის განზრახული შეტყობინების მატარებელია; 2. არაკომუნიკაციური მოძრაობები, რომელთა გააზრება არ ხდება ადრესატის მიერ შეტყობინების აღქმის დროს. მაგრამ ამა თუ იმ სახით, ისინი ადრესატის შეტყობინებასა და გარე სინამდვილის მიმართ დამოკიდებულებაზე მეტყველებენ (ნიკოლაევა, უსპენსკი 1966,:71).

პარავერბალურ საშუალებებს: ინტონაციას, ხმის ტემბრს, პაუზებს შეისწავლის პროსოდიკა. პროსოდიკა შეიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა ხმის ტონის სიმაღლე, სიძლიერე, მახვილის სიძლიერე. ექსტრალინგვისტიკა შეისწავლის პაუზებს, ისეთ ფსიქოფიზიოლოგიურ გამოვლენებს როგორიცაა: ტირილი, ჩახველება, სიცილი, ამოსუნთქვა.

პროსოდიკური და ექსტრალინგვისტური საშუალებები მეტყველებას აძლევენ ემოციურ და მკვეთრ შეფერილობას. ყოველ ემოციურ მდგომარეობას შეესაბამება მეტყველების საკუთარი სიჩქარე. სიხარული გადაიცემა მაღალი ხმით; მრისხანება, შიში გადაიცემა მაღალი ხმით, ოღონდ ტონალობის უფრო მაღალი დიაპაზონით; დაღლილობა, მწუხარება გადაიცემა დახშული ხმით და ინტონაციის თანდათანობითი დაქვეითებით. ურთიერთობა რომ უფრო პროდუქტიული იყოს, საჭიროა თანამოსაუბრის არა მარტო მოსმენა, არამედ გაგებაც. ასევე მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ ზოგჯერ მოძრაობა ეწინააღმდეგება იმას, რასაც გვატყობინებს ხმა.

თითოეული გამონათქვამი წარმოითქმის გარკვეული ინტონაციით, რომელიც განპირობებულია ნაწილობრივ გამონათქვამის გრამატიკული სტრუქტურით და ნაწილობრივ მოსაუბრის დამოკიდებულებით გამონათქვამის მიმართ. აქედან გამომდინარე, თითოეული სიტყვა გარკვეული მახვილითა თუ ემფაზით

წარმოითქმის, იმის მიხედვით, თუ რა გრამატიკული ფუნქცია აკისრია სიტყვას და რა ფაქტორები განაპირობებს მას – გამონათქვამის კონტექსტუალური პრესუპოზიციები, მოსაუბრის დამოკიდებულება გამონათქვამის მიმართ თუ სხვა. მაგალითად, წინადადებაში I haven't written to Mary თუ სიტყვა written – ს გავუკეთებთ ლოგიკურ მახვილს, შეიძლება მას შემდეგნაირი ინტერპრეტაცია მივცეთ – მართალია, მე არ მიმიწერია მერისთვის, მაგრამ შესაძლებელია მისაუბრია მასთან. თუკი იმავე წინადადებაში გამოვყოფთ სიტყვას Mary და მას გავუკეთებთ ემფაზას, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მართალია კონკრეტულად მერისთვის არ მიმიწერია, მაგრამ შესაძლოა მივწერე ვინმე სხვას. თუ იმავე წინადადებაში ლოგიკური მახვილით წარმოვთქვამთ სიტყვას I, მაშინ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ მე, პირადად, არ მიმიწერია მერისთვის წერილი, მაგრამ იქნებ მისწერა ვინმე სხვამ.

სწორედ ინტონაცია და მახვილი წარმოადგენს ენის იმ მთავარ პროსოდიკულ მახასიათებლებს, რომლებიც ინგლისურ ენას მუდამ თან სდევს. ინგლისურ ენაში მახვილის მეშვეობით შესაძლებელია იმის განსაზღვრაც, თუ რომელ მეტყველების ნაწილს მიეკუთვნება ერთი და იგივე სიტყვა. მაგალითად, სიტყვაში import თუკი მახვილი პირველ მარცვალზე მოდის, მაშინ გასაგებია, რომ იგი არსებითი სახელის ფუნქციით გამოიყენება. თუკი იმავე სიტყვაში მახვილი მეორე მარცვალზე მოდის, მაშინ სიტყვას ეძლევა ზმნის ფუნქცია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ინტონაცია ინგლისური წინადადებებისთის. ერთი და იგივე წინადადება საკმარისია სხვადასხვა ინტონაციით წარმოითქვას, რომ მისი სემანტიკური დატვირთვა შეიცვლება. თუკი წინადადებას: She will translate it by Tuesday სათანადო პროსოდიკული თუ პარალინგვისტური მახასიათებლებით წარმოვთქვამთ, ის ჩაითვლება თხრობით წინადადებად. თუკი იმავე წინადადებას განსხვავებული პროსოდიკული თვისებებით წარმოვთქვამთ, მაშინ ის ბრძანების ან მოთხოვნის ელფერს შეიძენს.

ვერბალური კომპონენტი უფრო მეტად ენის დესკრიფციულ ფუნქციასთან ასოცირდება, მაშინ როცა არავერბალური კომპონენტი ენის სოციალური და ექსპრესიული ფუნქციის გამოვლინებაა.

ტყუილის პროსოდიკის კვლევას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ მნიშვნელოვანი კვლევები და კვლევების შედეგებზე ვისაუბროთ. ერთ-ერთი მკვლევართაგანი გახლავთ ლევიტანი (2018), რომლის კვლევის თანახმად, რაც უფრო მაღალი ხმის ტემბრით ხდება ინფორმაციის გაცემა, მით უფრო მეტი ვარაუდია, იმისა, რომ ადამიანი იტყუება.

მეორე მკვლევრის, ჩენის (2020) თანახმად, ტყუილის ინდიკატორებია: ხშირი პაუზები, პასუხის გაცემის დროს ყოყმანი, წინადადებების თუ სიტყვების გამეორებები, საუბრის სწრაფი ტემპი, ხმის მაღალი ტემბრი.

მკვლევარი ლ. გლასი ავტორი წიგნისა "Body language of Liars" მართალია მატყუარების სხეულის ენის შესწავლით იყო დაინტერესებული, მაგრამ მას წიგნში აქვს საუბარი მატყუარა ადამიანის საუბრის გაძნელებაზე, რომელიც განაპირობებს ინტერვალების არსებობას მეტყველებაში, ყოყმანს, ენის ბორძიკს და ა.შ. როგორც მკვლევარი ამბობს, ტყუილის თქმა ორგანიზმისთვის სტრესის მომგვრელია. წნეხის ქვეშ მყოფი ნერვიული სისტემა მკვეთრად ამცირებს ნერწყვის წარმოქმნას, რაც იწვევს პირის ღრუს სიმშრალეს და იწვევს საუბრის გაძნელებას.

რუსი მკვლევარი ო. ლიკოვა სტატიაში „Просодические и акустические индикаторы лжи в голосе" განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტყუილის დროს პაუზების ხშირ გამოყენებას. იგი წერს: Паузы являются наиболее распространенным признаком обмана. Частые и продолжительные паузы, а также паузы, происходящие непосредственно перед ответом на вопрос, всегда кажутся подозрительными. Паузы возникают, в основном, по двум причинам: либо, если лгущий коммуникант не продумал линию поведения и тянет время, либо из-за боязни разоблачения. Также человек может слышать, как неправдоподобно звучит его речь, и бояться быть пойманным, из-за чего возрастает количество пауз в его речи. Паузы, заполненные различными горловыми прочистками и мычаниями, также являются индикаторами неискренности собеседника. (Лыкова, 2012:183) (პაუზები მოტყუების დროს ყველაზე ხშირად გამოყენებადია. ხშირი და ხანგრძლივი პაუზები, ისევე როგორც პაუზები, რომლებიც უშუალოდ კითხვაზე პასუხის გაცემამდე ჩნდება ადამიანის მეტყველებაში, ყოველთვის საეჭვოა. საუბრის დროს ხშირი პაუზების გამოყენებას ორი მიზეზი შეიძლება ქონდეს: მატყუარას არ აქვს

გააზრებული თავისი ქცევის ხაზი, ან ტყუილის თქმა აშინებს. პაუზებს შესაძლებელია თან ახლდეს ჩახველება, რომელიც ასევე არაგულწრფელობის მაჩვენებელია- თარგმანი ჩვენია).

ო. ლიკოვა ასევე მიუთითებს, რომ ტყუილის გამოაშკარავებაში არანაკლებ გვეხმარება სამეტყველო ტონსა და ინტონაციაზე დაკვირვება, კერძოდ: Повышение тона, вопросительная или восходящая интонация часто являются признаками обмана. Лгущий человек может испытывать неуверенность или муки совести, что заставляет его неосознанно имплицитно выражать это в речи. Эмоциональное напряжение может отражаться в напряжении голосовых связок, что, в свою очередь, повышает общий тон. (Лыкова, 2012: 184) (საუბრის დროს ტონის ამაღლება და აღმავალი ინტონაცია ხშირად მოტყუების ნიშანია. ადამიანი, რომელიც იტყუება, შეიძლება განიცდიდეს დაუცველობას ან სინდისის ქენჯნას, რაც აიძულებს მას არაცნობიერად გამოხატოს ეს მეტყველებაში. ემოციური სტრესი შეიძლება აისახოს ხმის იოგების დაძაბულობაში, რაც თავის მხრივ ამაღლებს საერთო ტონს - თარგმანი ჩვენია)

ცნობილი მკვლევრის პ. ეკმანის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ტყუილის ყველაზე ხშირი მანიშნებლები საუბრისას ხმის ტემბრის ცვალებადობა და საუბრის დროს არსებული პაუზებია.

ტყუილის თქმის დროს ხშირი პაუზების გამოყენება აძლევს საშუალებას მატყუარას სწრაფად მოახდინოს ტყუილის ფორმულირება. პაუზების დაფარვა ხშირად პაუზების შემავსებლებითაა შესაძლებელი.

მკვლევარი ასევე ასახელებს საუბრის არასწორად წამოწყების მცდელობებს მატყუარა ადამიანებთან. ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა ენობრივი სუბიექტი წამოიწყებს საუბარს, იტყვის კონკრეტულ წინადადებას ან ფრაზას და თვითონვე ცდილობს მის შესწორებას.

პ. ეკმანის დაკვირვებით ტყუილის თქმის დროს ხშირია შეყოვნება, სანამ ენობრივი სუბიექტი პასუხს გასცემდეს მის მიმართ დასმულ შეკითხვას. ამ პროცესის მიღმა ცხადია არის კოგნიტური პროცესი. ყოყმანის დროს ადამიანი მეტყველებაში უშვებს

შეცდომებს (მაგალითად ,,ეეე“, ,,ჰმმმ“ um, uh), ადგილი აქვს ბგერათგადაცდომებს, ერთი სიტყვის მეორეთი ჩანაცვლებას და ა.შ.

მეტყველების ხარვეზების გარდა ტყუილი შეიძლება გამოვლინდეს ადამიანის ხმის ტემბრსა და მის ჟღერადობაში, მეტყველების სიჩქარეში. ამათგან ყველაზე საყურადღებო სწორედ ხმის ტემბრია. მატყუარა ადამიანის ხმის ტემბრი მაღალია მაშინაც კი, როცა წინადადება სრულდება.

თავი III. ტყუილი საგანმანათლებლო სივრცეში

გამომდინარე იქედან, რომ ჩვენი სადოქტორო ნაშრომი მიზნად ისახავს ტყუილის პრაგმალინგვისტური თავისებურებების შესწავლას განათლების დისკურსში, გადავწყვიტეთ ყურადღება დაგვეთმო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხისთვის, როგორიცაა ტყუილი საკლასო ოთახში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ გვაინტერესებს რამდენად ხშირია ტყუილის გამოყენება სასწავლო პროცესში (გაკვეთილზე, საკლასო ოთახსა და მის გარეთ), ვინ იტყუება მეტად მოსწავლე თუ მასწავლებელი და რა სახის ტყუილს და რა მიზნით აქვს ადგილი.

ადამიანები მუდმივად იტყუებიან, უნდათ თუ არ უნდათ ეს. ყველაზე გულმართალ ადამიანსაც კი წამოცდება ერთი ტყუილი. მოზარდები მინიმუმ 3 ტყუილს მაინც ამბობენ 24 საათის განმავლობაში. ზრდასრულები უფრო მეტ სიმართლეს ამბობენ, მაგრამ ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ არ იტყუებიან. მასწავლებლები და მშობლები ხშირად ატყუებენ პატარებს. სკოლა ის ადგილია, სადაც ტყუილი გამუდმებით ისმის. უფროსების მხრიდან ხდება ტყუილის ერთ-ერთი სახის გამოყენება - გაზვიადება, როცა მასწავლებელი აზვიადებს ტესტის ან დავალების სირთულეს, მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომას და ა.შ. მასწავლებლები ატყუებენ მოსწავლეებს, მოსწავლეები - მასწავლებლებს, მასწავლებლები - მშობლებს, მშობლები - მასწავლებლებს ან შვილებს, მოსწავლე- მოსწავლეს, მასწავლებელი - მასწავლებელს და ა.შ.

ყველა ტყუილი როდია მიზანმიმართული, ზოგიერთი წამოცდენად/შეცდომად შეიძლება კლასიფიცირდეს. ზოგჯერ მოსწავლე ამბობს ინფორმაციის გარკვეულ ნაწილს და ტოვებს მისი აზრით უმნიშვნელო დეტალს. ასე მაგალითად, როცა მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს, რატომ არ დაწერა საშინაო დავალება, ის პასუხობს, რომ დაკავებული იყო, თუმცა არაფერს ამბობს იმაზე, რომ ვიდეო თამაშებს თამაშობდა და ამ მიზეზით ვერ შეასრულა დავალება.

მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც საგანმანათლებლო სივრცეში ხშირად მიმართავენ **გაზვიადებას** - ამახვილებენ რა ყურადღებას ტესტის ან დავალების სირთულეზე. მასწავლებლები ხშირად მშობლებთან საუბრისას გადაჭარბებულად უქებენ მშობლებს შვილებს, მიუთითებენ რაოდენ სასიამოვნოა მათ შვილებთან

მუშაობა. შესაძლებელია ადგილი ქონდეს ისეთ გაზვიადებასაც, როცა მასწავლებელი გადაჭარბებულად ნეგატიურად აფასებს მოსწავლეს მშობელთან.

გარდა ამისა ყურადსაღებია სკოლაში თვალშისაცემია **აკადემიური თაღლითობის** მაგალითებიც - მოტყუება ტესტირების ან გამოცდის დროს, პლაგიარიზმი, მეგობრის დავალების კოპირება და ა.შ. [6]

ეჭვს არ იწვევს, ის ფაქტი, რომ ბავშვების უმეტესობა ტყუის საკლასო ოთახსა და მის გარეთ. ზოგი ბავშვი დროდადრო იტყუება და ასეთი ტყუილი არ არის ყურადსაღები მასწავლებლების და მშობლების მხრიდან. მაგრამ თუკი მოსწავლე ხშირად იტყუება, დიდი ვარაუდია, რომ ტყუილის თქმა მას ჩვევაში გადაეზარდოს და ასეთ ბავშვებს მუდმივი ყურადღება და დარიგება სჭირდება.

მოსწავლე, რომელიც იმისთვის იტყუება, რომ კლასელს მის მიერ ნათქვამი სიმართლით არ აწყენინოს (No, you don't look fat in that dress), ეს მოსწონია, რადგანაც ტყუილი პრო-სოციალურია. ასევე მოწონებას იმსახურებს ისეთი შემთხვევა, როცა მოსწავლეს ტექსტი არ აქვს წაკითხული და ცდილობს მეგობრის მონაყოლი შეალამაზოს, გაავრცოს და მიახლოებითი ისტორია მოუყვეს მასწავლებელს. ასეთ შემთხვევაში მოსაწონია მოსწავლის კრეატიულობა, გამხრხიანობა და ფანტაზიის უნარი. მაგრამ თუკი მოსწავლე ტყუილს ვისმეს საზიანოდ ამბობს, მაგალითად მის მიერ ჩამტვრეულ სკოლის ფანჯარას მეგობარს გადააბრალებს, ასეთი ტყუილი ანტი სოციალურია და დასაგმობი.

სამეცნიერო წყაროებში მითითებულია ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც სკოლის მოსწავლეები იტყუებიან:

8. https://nchschant.com/15864/long-range-investigative-journalism/students-lie-to-teachers-and-teachers-lie-to-students/

1) შიშის გამო (მოსწავლე იტყუება, რადგანაც თავიდან აიცილოს სასჯელი. მაგალითად: “I left my homework at home, but it’s done! I swear!” “I did my homework but I forgot to bring it in so, can I get the credit when I show it to you tomorrow?” ‘Last night, my computer blew up and the shrapnel injured my hand so I couldn’t complete the homework assignment that was due to today;)
2) სურთ ქება დაიმსახურონ (Yeah, I go to the gym all the time! “I’m 17 years old with a muscular body”);
3) სურთ უკეთ ფიქრობდნენ მასზე (I fell asleep after telling myself I’d do your homework—but I’m a good kid so you have to believe me!)
4) იტყუებიან სხვის დასაცავად (We are just friends);
5) იტყუებიან, რათა სხვათა გრძნობები არ დააზიანონ (Hey, these look great on you! No, you don’t look fat in that dress! Yes, I want to come to your birthday party)
6) იტყუებიან ყურადღების მიქცევის მიზნით (I just saw Santa fly by the window)

ძირითადად მოსწავლეები იტყუებიან: 1) გაკვეთილზე დაგვიანების გამო (“I’m on my way!” I’m in the car! I swear, I’m already here! “I’m five minutes away”); 2) გაკვეთილის მოუმზადებლობის გამო (I did homework, but I’ve forgotten my notebook at home!); 3) მეგობრებთან და პედაგოგებთან თბილი, მეგობრული დამოკიდებულების შესანარჩუნებლად (“It’s so good to see you!” “I love it!” “Looks don’t matter” “Oh, I didn’t even see you there!” „I don’t know who you are, or why I’m here, but I’m just going to smile like we’ve been besties for 10 years“); 3) გამოცდებზე ან წერითი სამუშაოების შესრულებისას (I did not cheat. I wrote it myself! I studied hard. I don’t know why I failed your test”); 4) კლასელებთან ჩხუბის დროს; 5) პრო-სოციალური მიზნებისთვის (“I’m busy” ეუბნება ერთი მოსწავლე მეორეს, მაგრამ სინამდვილეში არ უნდა მეგობართან ერთად სასეირნოდ წასვლა); 6) პირობის დადების დროს (I’ll start from Monday”); 7) საკუთარი ან ოჯახის წევრის ჯანმრთელობის შესახებ

მასწავლებელი საკლასო ოთახში პოლიციელს გავს, რომელიც საშიშ, ჩამჭრელ კითხვებს სვამს და მოსწავლეც იძულებულია შიშის გამო მოიტყუოს. ასე მაგალითად:

Teacher: Why are you late?

Student: Met with an accident.

Teacher: Why did you fight with him?

Student: He hit me first.

Teacher: Why did you take leave?

Student: My grandmother died, she was sick for a long time.

Teacher: Why are your clothes dirty?

Student: Mom is sick.

არა მარტო მოსწავლეები, არამედ პედაგოგებიც არიან შემჩნეულნი მოსწავლეებთან ტყუილში. ქვემოთ წარმოვადგენთ მასწავლებლების მიერ თქმულ ყველაზე ცნობილი ტყუილის მაგალითებს:

Of course I know what you just said. I hear everything. (სინამდვილეში მასწავლებელს არც კი გაუგია, რაც ერთმა მოსწავლემ მეორე უთხრა)

Give me your father's / mother's number. I'm going to call up today itself; (სინამდვილეში დარეკვას არც აპირებს)

I'll complain about this to the Principal; (სინამდვილეში მასწავლებელი დირექტორს არაფერს ეტყვის)

The Principal is watching you through the camera. Behave properly and be careful;

I'll deduct your marks from the exam if you don't submit your notebooks/assignments before the deadline; (მასწავლებელი ტყუილ მუქარას ავრცელებს)

The paper will be easy. No need to worry; (მასწავლებელი ცრუ დაპირებას აძლევს მოსწავლეებს, სინამდვილეში ტესტი რთული იქნება)

I will only use two minutes to finish up (ზარი ირეკება, მასწავლებელი ცრუ დაპირებას აძლევს მოსწავლეებს, რომ ორ წუთში გაკვეთილს მორჩება, მაგრამ მაინც დიდხანს აგრძელებს).

საგანმანათლებლო დისკურსი მხოლოდ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობით არ შემოიფარგლება. მასში გარკვეულ როლს ასრულებს მოსწავლეთა მშობლები, რომლებიც თავიანთი შვილების ინტერესებოდან გამომდინარე ხშირად იტყუებიან (She does her best) ან ცრუ დაპირებებს (I will help her with the homework. We'll work harder) იძლევიან. სწორედ უფროსებია, ვინც აძლევს ცუდ მაგალითს პატარებს, მოიტყუონ. ანარადა, პირიქით უნდა იყოს, მშობლები და მასწავლებლები უნდა აკონტროლებდნენ ბავშვების მეტყველებას, აკვირდებოდნენ ტყუილის მოტივებს და ცდილობდნენ მის აღმოფხვრას ერთიანი ძალებით.

3.1. მასწავლებლის მიერ ნათქვამი ტყუილის სპეციფიკა და მისი ლინგვო-პრაგმატიკული თავისებურებები

მასწავლებლის როლი საგანმანათლებლო სივრცეში განუზომელია. მისი უპირველესი მოვალეობაა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა მისცეს მოსწავლეებს ამა თუ იმ საგანში. ამასთანავე მასწავლებელს ევალება აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოსწავლეთა პიროვნულ აღზრდასა და ჩამოყალიბებაში, დამოძღვროს ისინი და საკუთარი კარგი მაგალითით საუკეთესო თვისებები აღზარდოს მათში.

ცხადია, მასწავლებლის როლი საგანმანათლებლო სივრცეში არ ითვალისწინებს მოსწავლეებისთვის ტყუილის თქმას და მავნე ჩვევების გადაცემას. თუმცა ფაქტია, მასწავლებლებსაც უწევთ სასწავლო პროცესში ტყუილის თქმა. ამის საილუსტრაციოდ დავაკვირდეთ პატარა დიალოგს, რომელიც მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ხორციელდება.

Student: *"Mr. Linsin, did I earn full credit today?"*

Teacher: *"Yep, 100%."*

Student: *"Are you lying?"*

Teacher: *"Of course not. I would never lie to you."*

Student: *"Whew, okay."*

Teacher: *"Why would you ask such a thing?"*

Student: *"Because all teachers lie.*

დიალოგიდან კარგად ჩანს, რომ მოსწავლეებმა ძალიან კარგად იციან, რომ პედაგოგები ხშირად იტყუებიან. მასწავლებლები ატყუებენ არა მხოლოდ მოსწავლეებს, არამედ კოლეგებს, მშობლებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

3.1.1. მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა მისამართით ნათქვამი ტყუილი

მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა მისამართით ნათქვამი ტყუილი სხვადასხვა ფორმისაა:

1) მასწავლებლები ტყუილს მიმართავენ როგორც სტრატეგიას, დააშინონ მოსწავლეები და კლასში შეინარჩუნონ დისციპლინა;

განვიხილოთ ამ მიზნით ნათქვამი ინგლისურენოვანი მაგალითი, რომელშიც მასწავლებელი მიზანმიმართულად ატყუებს მოსწავლეებს:

- You can't cheat me! ***I do have eyes in the back of my head.***
- Oh, that thing on the ceiling?
- It's a camera, and ***the principal is watching the footage right now.***

მოცემულ შემთხვევაში მასწავლებელი დაშინების მიზნით ატყუებს მოსწავლეებს, რომ ტესტირების დროს აკადემიურ თავხედობას არ მიმართონ. იგი ორგზის ტყუის. ერთხელ როცა მოსწავლეებს ეუბნება, რომ თავს უკან თვალები აქვს გამობმული, რითაც ახორციელებს ბავშვებზე დაკვირვებას და მეორე, ოთახში ვიდეო თვალია, რომლის მიღმაც სკოლის დირექტორია. სინამდვილეში კი ბავშვებს არავინ აკვირდება. მასწავლებელს სურს შეინარჩუნოს დისციპლინა ტესტირების დროს და ტყუილს იყენებს როგორც სტრატეგიას.

ჩვენი დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართულ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მხრიდან სწორედ დაშინების მიზნით ხდება ყველაზე ხშირად ტყუილის გამოყენება. ქვევით წარმოვადგენთ მაგალითებს ცხრილის სახით.

ბავშვებო! ხვალ გექნებათ ტესტირება, ძალიან რთული საკითხებია, კარგად მოემზადეთ! (სინამდვილეში მარტივია)
ნუ საუბრობთ! ყველაფერი მესმის და ვხედავ, ვინ როგორ იქცევა. (ამ დროს ვერაფერსაც ვერ ხედავს, რადგანაც თავისი საქმეებით არის დაკავებული)
ხვალ, უკლებლივ ყველა გამოცხადდეს ფორმით! ძალიან მკაცრად შეამოწმებენ და აუცილებლად მიიღებთ საყვედურს! (სინამდვილეში არავინ აპირებს შემოწმებას)

ისევ არ გაქვს დავალება? დღეს აუცილებლად დავურეკავ მშობელს და ყველაფერს მოვახსენებ! (არ აპირებს დარეკვას)
კვლავ მოუმზადებელი გამოცხადდი? დღეს კი აუცილებლად დავწერ ჟურნალში კომენტარს. (არ აპირებს კომენტარის დაწერას)
ორშაბათს, ყველას ჰქონდეს რვეულები მოწესრიგებული, ვისაც არ ექნება აუცილებლად მიიღებს შესაბამის ქულას!
თუ ისევ მოუმზადებელი და მოუწესრიგებელი გამოცხადდები, აუცილებლად დავიბარებ მშობელს სკოლაში!
თუკი ისევ მიიღებ სხვა მასწავლებლებიდანაც შენიშვნებს, აუცილებლად შევატყობინენ დირექციას (არ აპირებს დირექციას მიმართოს)
ბავშვებო! მშობელთა კრებაზე აუცილებლად ვეტყვი თქვენს მშობლებს, ვინ როგორ სწავლობს და იქცევა(არ აპირებს მსგავსი რამის თქმას)

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში მასწავლებლის მიზანია დააშინოს მოსწავლეები და მათში პასუხისმგებლობის გრძნობა ან შიში გააღვივოს. როგორც მაგალითებიდან ჩანს, მასწავლებელი ამბობს ერთს, მაგრამ აკეთებს საპირისპიროს. ასეთი ტყუილის სახეს ,,ტყუილი მუქარა“ შეიძლება ვუწოდოთ.

2) მასწავლებლები ტყუილს მიმართავენ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ან მხარდაჭერის მიზნით; ე.წ. ,,თეთრი ტყუილი“

ქვემოთ წარმოვადგენთ მაგალითს, რომლის გაგება ორმხრივად არის შესაძლებელი. პირველი, როგორც მასწავლებლის მხარდაჭერა ცელქი მოსწავლის მიმართ და მასთან ურთიერთობაში პოზიტიური ატმოსფეროს შენარჩუნების მცდელობა. მეორე მხრივ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მასწავლებელი ერთგვარად დასცინის თავხედ მოსწავლეს, ეუბნება რა იმის საპირისპიროს, რასაც იგი წარმოადგენს: ***All the teachers are saying you're the BEST behaved class in the school.*** The principal's coming to check it out for herself. მასწავლებელი ემფაზას აკეთებს სიტყვაზე ,,საუკეთესო" და დასცინის ჰიპერაქტიულ მოსწავლეს, რომლის გაჩერებაც გაკვეთილზე დირექტორის მოყვანის გარეშე წარმოუდგენელია. BEST behaved არის ირონიული კომლიმენტი, რომელიც მოსწავლის დაკნინებას და დაცინვას ისახავს მიზნად.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას ემსახურება შემდეგი მაგალითებიც:

You can learn this poem in a minute if you try hard enough!- მასწავლებელი ამხნევებს მოსწავლეს, ეუბნება რა, რომ ლექსის სწავლა ერთ წუთშია შესაძლებელი, თუკი იგი ძლიერ მოინდომებს. ტყუილი კარგად ჩანს წინადადებაში ,,ამ ლექსს ერთ წუთში ისწავლი". შეუძლებელია ლექსის ერთ წუთში დასწავლა.

This exercise is quite easy, don't worry! მასწავლებელი ამ წინადადებას ამბობს მოსწავლის დასამშვიდებლად, თუმცა იცის, რომ სავარჯიშო არც თუ ისე ადვილად გასაკეთებელია.

Learn Maths better. You will need it in future You will use this material in real life! - მასწავლებელმა იცის, რომ ელემენტარული მათემატიკის ცოდნაა საჭირო მოსწავლისთვის სამომავლოდ, თუმცა აზვიადებს საკუთარი საგნის მნიშვნელობას და ტყუილის საშუალებით ცდილობს მოსწავლის მოტივაცია გაზარდოს, დაინტერესოს იგი საგნით.

- Is my presentation, OK?
- Yes, It's perfect - მასწავლებელი ტყუის, იცის, რომ პრეზენტაციაში ბევრი ხარვეზია და ვერ არის უმაღლეს დონეზე შესრულებული, თუმცა არ უნდა მოსწავლის გაკრიტიკება.

You are my favorite student. You are so talented! That's a really creative idea - მასწავლებელი ,,ცრუ კომპლიმენტებით" ავსებს მოსწავლეს, თუმცა ხედავს, რომ მოსწავლის მიერ დახატული სურათი ,,ნაჯღაბნი" უფროა, ვიდრე კრეატიული იდეის მქონე პატარა მხატვრის მიერ შესრულებული ნამუშევარი. ცრუ კომპლიმენტი ემსახურება მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას.

ქართულ საგანმანათლებლო დისკურსშიც აღმოვაჩინეთ ამ სახის რამდენიმე მაგალითი, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენთ.

მასწავლებელი მოძღვრავს მთელ კლასს: ***თუ კარგად ისწავლით, ყოველთვის გაიმარჯვებთ; ცხოვრების ყველა სფეროში ივარგებთ. ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. არ დაიზაროთ და წარმატება არ დააყოვნებს. დღეს თქვენ დგამთ წარმატებისკენ მავალ ნაბიჯებს!***

მასწავლებლის ეს მიმართვა შეიძლება მოტივირებულად გამოიყურებოდეს, მაგრამ რეალობაში არსებობს მთელი რიგი გარემოებები, რომელთა გაკონტროლება მოსწავლეებს არ შეუძლიათ. ყველაფერი ძალისხმევის შედეგი არაა. ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად სწავლის გარდა ხშირად სხვა კომპონენტებიცაა საჭირო, მაგალითად ,,აღმოჩნდე სწორ ადგილას და სწორ დროს". არის ეს ტყუილი, თუ მასწავლებელს ჯერა იმის, რასაც ამბობს? რა თქმა უნდა ეს გაზვიადების მაგალითია, რაც ტყუილის შერბილებულ სახეს წარმოადგენს.

მომდევნო მაგალითში მასწავლებელი ეუბნება პოეტური ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეს: ***დედაშენსაც ვასწავლიდი, ისიც კარგად წერდა ლექსებს, მაგრამ მაინც ვერ გახდა აღიარებული პოეტი, რადგანაც მას აკლდა ნიჭი... შენ კი ნიჭი უფალმა დაგაბერტყა...*** მასწავლებლის ეს წინადადება ჩვენ ტყუილის მაგალითად ჩავთვალეთ, რადგანაც მასწავლებელს შეცდომაში შეყავს მოსწავლე როცა ეუბნება, რომ წარმატებისთვის მხოლოდ ბუნებრივი ნიჭია საჭირო. სინამდვილეში, წარმატების მისაღწევად გამძლეობა და შრომაა საჭირო.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ამ სახის ტყუილი ნაკლებ საზიანოა, რადგანაც ეხმარება მოსწავლეებს მუდმივად იყვნენ ჩაბმულნი სასწავლო პროცესში, უკეთ და ღრმად ისწავლონ საგანი. მოსწავლეთა მოტივაცია იზრდება ერთი კონკრეტული პერიოდისთვის, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც მავნეა, რადგან არ ასახავს რეალობას და აბნევს ახალგაზრდებს. მასწავლებელი არასწორ მოლოდინს უქმნის მოსწავლეებს რაც საბოლოოდ ზიანს მიაყენებს მასწავლებლის იმიჯს.

3) მასწავლებელი ტყუის, რადგანაც სიმართლის თქმის აუცილებლობას ვერ ხედავს. მასწავლებელი ტყუილში ხედავს ერთადერთ გამოსავალს, რათა არ გამოიწვიოს მოსწავლეთა გაღიზიანება.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში მასწავლებელი ცდილობს დამალოს თავისი სიზარმაცე, რომ ტესტები კვლავ გაუსწორებელი აქვს და მოსწავლეებს კიდევ ერთ ცრუ დაპირებას აძლევს, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებით იცის, რომ ტესტების გასწორების დრო არც დღეს ექნება.

- Teacher, have you graded our tests?
- ***I'll have the tests graded by tomorrow***.

მასწავლებლებს სჩვევიათ ხოლმე მოსწავლეების ამოჩემება დადებითად ან უარყოფითად, თუმც ამის აღიარების მოსწავლეების წინაშე ეშინიათ. ეს პატარა დიალოგიც ამის ნათელი მაგალითია.

_ Teacher, Mary is your apple of the eye! The other day she didn't know the lesson and You didn't punish her.

- Don't blame me, Dave! ***I don't have any favorite students. I love you all.***

მოცემულ მაგალითში პედაგოგი ცდილობს სიმართლის დამალვას და ფაქტის უარყოფას. უარყოფითი წინადადებების გამოყენება მასწავლებლის მხრიდან იმის მაჩვენებელია, რომ ის თავს დამნაშავედ თვლის.

მასწავლებელი ყოველთვის სამართლიანად ვერ მოქმედებს, თუმცა როცა მოსწავლეები ამას ამჩნევენ, იგი იძულებულია თავი ტყუილებით იმართლოს:

- Teacher, you graded me unfairly! I deserved A!
- Shame on you, Josh! How you dare talking like this……. ***You know I grade fairly everyone. More than that, your grade doesn't matter as much as you think.***

მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რომ იგი ყოველთვის სამართლიანია და სწორად აფასებს მოსწავლეებს. სინამდვილეში კი იცის, რომ მისი შეფასება სუბიექტურია და არ აღიარებს შეცდომას. ამასთან მასწავლებელი მეორე არასწორ აზრს სთავაზობს მოსწავლეს, როცა ეუბნება, რომ ნიშანი მისი მომავლისთვის არ არის საჭირო. სინამდვილეში ნიშანი საჭიროა, იმისთვის, რომ მოსწავლემ დაინახოს აკადემიური

პროგრესი. მასწავლებელი მიზანმიმართულად არ იტყუება, იგი ცდილობს დაძაბული სიტუაცია განმუხტოს.

კვლევამ დაგვანახა, რომ ინგლისელი მასწავლებლები ძირითადად იყენებენ ე.წ. ,,თეთრ ტყუილს", რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა დახმარებას, მათი მოტივაციის გაძლიერებას. გამოყენების სიხშირით მეორე ადგილზეა მოსწავლეთა ,,ცრუ დაშინების" მაგალითები. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მასწავლებელი სიმართლის დაფარვას ცდილობს და იტყუება, ეს ხდება მოსწავლეთა საკეთილდღეოდ, რომ არ შეაშფოთოს ისინი და მოტივაცია არ ჩაკლას მათში. როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს მოსწავლეთა გადაჭარბებულად ან უსაფუძვლოდ შექებას, რაც ინგლისური კულტურის ნაწილია.

ქართველი მასწავლებლები კი, რომლებიც მეტნაკლებად ინარჩუნებენ ,,საბჭოთა რეჟიმის" მასწავლებლის სახეს, მოსწავლეებთან ,,პოლიციელის" როლში გამოდიან და ,,ტყუილი მუქარის" საშუალებით ცდილობენ მათში შიში დანერგვას და კლასში დისციპლინის შენარჩუნებას. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც ამბობენ მასწავლებლები ე.წ. ,,თეთრ ტყუილს", თუმცა არა დიდი სიხშირით, ისინი მეტად სიმართლის დაფარვას და გაჩუმებას ამჯობინებენ, როცა გარკვეული პრობლემაა საგაკვეთილო პროცესში თავად პედაგოგის ან მოსწავლეების მხრიდან.

ჩვენი აზრით, მასწავლებელმა მოსწავლეთა მისამართით ტყუილი მეტი სიფრთხილით უნდა წარმოთქვას, წინასწარ განჭვრიტოს რა შეიძლება მოყვეს მის მიერ ნათქვამ ტყუილს, რადგან თუკი მასწავლებელი ტყუილით მანიპულირებას შეეცდება, შეიძლება ამან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მის ურთიერთობაზე მოსწავლეებთან, დაზიანდეს მასწავლებლის ავტორიტეტი და მისადმი ნდობა დაიკარგოს.

3.1.2. მასწავლებლის მიერ მშობელთა მისამართით ნათქვამი ტყუილი

ჩვენი დაკვირვებით მასწავლებელი მშობელს ორი მიზნით ატყუებს:

1) მშობლის სიმშვიდის შესანარჩუნებლად ან მოსწავლის დაცვის, მისი რეპუტაციის არ დაზიანების მიზნით.

ქვემოთ წარმოვადგენთ მაგალითს, სადაც დიალოგი მასწავლებელსა და მშობელს შორის მიმდინარეობს.

მშობელი: როგორ სწავლობს ჩემი შვილი ?

მასწავლებელი: ***იცით, თქვენი შვილი ყოველთვის მოწესრიგებულია, სულ მზად არის, ჩართულია საკლასო აქტივობებში…***

Parent: Does my child behave well in class?

Teacher: ***He is very enthusiastic and eager to participate.***

ეს კონკრეტული მაგალითები გაზვიადებული ქების ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ. გაზვიადებაც ხომ ტყუილის შერბილებული ფორმაა. მასწავლებლები ცდლობენ მოსწავლის მხარე დაიჭირონ, გარკვეულ წილად მოტივაცია არ დაუკარგონ მათ, წაახალისოს ისინი და ამიტომაც მშობლებს გადაჭარბებულად წარმოუჩენენ შვილების შესაძლებლობებს. სინამდვილე კი ასეთია: ყოფილა შემთხვევები, როცა მოსწავლე მოუმზადებელი მოსულა გაკვეთილზე, ყოფილა შემთხვევები, რომ მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში მინიმალური იყო.

ამ სახის კიდევ ერთი მაგალითია:

Parent: Is my child improving?

Teacher: Absolutely, ***He is making great progress. His German is getting better and better.*** რეალობა ასეთია: მოსწავლეს პროგრესი მართლაც ემჩნევა, მაგრამ აღსაფრთოვანებელი არაფერია. მასწავლებელი ნაწილობრივ მალავს სიმართლეს, რითაც მოტივაციას არ უკარგავს მოსწავლეს.

2) მასწავლებელი ტყუილს მშობელთან საკუთარი ავტორიტეტის დაცვის მიზნით.

მშობელი: დამრიგებელმა მომწერა, რომ ჩემი შვილი ხშირად აცდენს გაკვეთილებს. თქვენთან როგორი მდგომარეობა აქვს?

მასწავლებელი: ***სხვასთან არ ვიცი როგორ სწავლობს, მაგრამ ჩემს გაკვეთილებს მუდამ ესწრება და აქტიურობს. გაცდენას და მოუმზადებლად მოსვლას უბრალოდ ჩემთან ვერც გაბედავს.*** ალბათ ზოგ პედაგოგთან გაუდის.....

ერთი შეხედვით, ამ სახის ტყუილი დასაშვები შეიძლება ჩანდეს, მაგრამ შეიძლება ნდობის დაკარგვა გამოიწვიოს მშობლის მხრიდან.

3.1.3. მასწავლებლის მიერ კოლეგების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მისამართით ნათქვამი ტყუილი

როცა მასწავლებელი კოლეგას ატყუებს, ამას შეიძლება ქონდეს როგორც პირადი, ისე პროფესიული მიზეზები. ეს მიზეზებია: 1) კონფლიქტის თავიდან აშორება (როცა ერთ მასწავლებელს არ სურს გააკრიტიკოს მეორე მასწავლებლის სწავლების მეთოდი ან საკითხისადმი მიდგომა); 2) ვალდებულებების თავიდან აშორება ტყუილის საშუალებით (მაგალითად კოლეგას შეპირდა დახმარებას, მაგრამ ვერ შეუსრულა დანაპირები); 3) კოლეგიალობის შენარჩუნების ან აღდგენის მიზნით;

რაც შეეხება მასწავლებლის მიერ ადმინისტრაციის წარმომადგენლების მისამართით ნათქვამი ტყუილის მიზეზებს, ესენია: 1) პრობლემების გადაფარვის სურვილი (მასწავლებელი ტყუის, მალავს სასწავლო პროცესში არსებულ ხარვეზებს, რითაც ცდილობს შეინარჩუნოს სტატუსი და არ დაკარგოს სამუშაო) მაგ: გპირდებით ხვალ ტესტს გამოვგზავნი! მზად მაქვს, უბრალოდ გამოგზავნა დამვიწყებია. დღეს, აუცილებლად გამოვგზავნი ინდივიდუალურ გეგმას! დასასრულებელი მაქვს.

2) პოზიციის გამყარების სურვილი (მასწავლებელი ტყუის რათა ადმინისტრაციის თვალში ქონდეს პოზიტიური იმიჯი, თითქოს იგი ეფექტურად მუშაობს). ეს უკანასკნელი ხელმძღვანელებთან ურთიერთობის დათბობის მიზნით კეთდება. 3) ხელმძღვანელი პირების დარწმუნების სურვილი (მისი მიდგომები მუშაობს); 4) მოსწავლის რეპუტაციის დაცვის სურვილი (ყველაფერი ნორმალურადაა დავითთან, არანაირი პრობლემა არ არსებობს).

მასწავლებელს უნდა ესმოდეს, რომ გახსნილი კომუნიკაცია მნიშვნელოვანია როგორც კოლეგებთან, ისე ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას. მნიშვნელოვანია ღია და პატიოსანი კომუნიკაციის დამყარება სამუშაო გარემოში, რათა გუნდური მუშაობა ეფექტური გახდეს. ამასთან, შეიძლება მასწავლებლის ტყუილი გამოაშკარავდეს და მასწავლებელმა დაკარგოს ნდობა. მასწავლებლის ტყუილი შეიძლება დაეტყოს სასწავლო პროცესს და ნეგატიურად იმოქმედოს მასზე.

3.2. მოსწავლის მიერ ნათქვამი ტყუილის სპეციფიკა და მისი ლინგვო-პრაგმატიკული თავისებურებები

ფაქტია, რომ საგანმანათლებლო დისკურსში ტყუილის ყველაზე მეტი მაგალითი მოსწავლეებზე მოდის. მოსწავლეები ხშირად ტყუიან სოციალური, ემოციური თუ აკადემიური მიზეზების გამო. ისინი ატყუებენ თანატოლებს, მეგობრებს, მასწავლებლებს, მშობლებს, სკოლის ადმინისტრაციას.

3.2.1 მოსწავლის მიერ მასწავლებლის მიმართ ნათქვამი ტყუილი

მოსწავლეები მასწავლებლებს ატყუებენ სხვადასხვა მიზეზით:

1) **დანაშაულის დაფარვის მიზნით;**

Teacher: "I saw you kicking Darren"

Student: "***That's not true***! ***I didn't do anything. Oh my gosh! I wasn't kicking anyone."***

Teacher: "Yes, you were. I saw you with my own eyes from across the room. Now stop lying and take responsibility for your actions."

მოსწავლის პასუხში ნათლად ჩანს, რომ იგი იტყუება, ის მრავალგზის ცდილობს უარყოფას (That's not true! I didn't do anything. I wasn't kicking anyone), შეწუხებულია, იყენებს ემოციურ ლექსიკას - Oh my gosh!

დაახლოებით მსგავსი სახის მაგალითი დაფიქსირდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

- ***მას, ხელი მატკინეს თამაშის დროს….***

- გატკინეს თუ თავად იტკინე?

- ***მატკინეს*** (მიუთითებს მოსწავლეზე)

- მოდი ვიდეო კამერებში გადავამოწმოთ….

- არა, არა, არ გადაამოწმოთ.....

აღნიშნულ მაგალითში მოსწავლე საკუთარი დანაშაულის დაფარვის მიზნით სხვაზე ცდილობს დანაშაულის გადაბრალებას, თუმცა მაშინ, როცა მასწავლებელი ტყუილში გამოიჭერს, უკან იხევს და აქ მისი ტყუილი ვლინდება. თუკი დავაკვირდებით

მოსწავლის მეტყველებას, დავინახავთ, რომ ის პირველსავე წინადადებას ვერ ასრულებს და პაუზას მიმართავს. შემდგომ ერთ სიტყვიან, ელიპტიკურ წინადადებას მიმართავს და გარკვეულ ჟესტს იყენებს სხვა მოსწავლეზე დანაშაულის გადაბრალების მიზნით. დასასრულს კი, ორგზის იმეორებს სიტყვას ,,არა", რითაც გარკვეულ პროტესტს გამოხატავს.

მომდევნო მაგალითში ჩანს, რომ მოსწავლე გაკვეთილზე მოუმზადებლად მოსვლას მის უყურადღებობას აბრალებს. სხვა შემთხვევაში, გაკვეთილს აუცილებლად ისწავლიდა.

-თხრობით რატომ არ ისწავლე გაკვეთილი?

-არ მქონდა ჩანიშნული…

- მოდი, შევამოწმოთ დღიურში (მასწავლებელი უმოწმებს მოსწავლეს დღიურს)

- აბა, ეს რა არის? (მოსწავლე თავს ხრის და ხელების ნერვულად თამაშს იწყებს)

მოსწავლე მასწავლებლის კითხვაზე მოკლე პასუხს სცემს, თან ამას დუმილიც მოყვება. მას შემდეგ კი რაც მასწავლებელი ტყუილში გამოიჭერს, თავს ხრის მორცხვად და ხელებს ნერვიულად ათამაშებს. ეს მოძრაობები ნათელს ჰფენს იმას, რომ ბავშვი იტყუება.

მომდევნო დიალოგი ხდება ტესტის წერის დროს. მასწავლებელი ამჩნევს, რომ მოსწავლე რვეულში აპარებს თვალს და შენიშვნას აძლევს.

- რატო იხედები რვეულში?

- ***არ ვიხედები, უბრალოდ ტესტი მიდევს და გავასწორე რვეული.***

ეს მაგალითი არის უტიფარი ტყუილის მაგალითი. მოსწავლე რვეულში იხედება და არ აღიარებს.

2) თავის მოწონების მიზნით;

- Did you hurt anything?
- I am fine, nothing

მოსწავლე წაიქცევა, მასწავლებელი წამოაყენებს და ეკითხება, რამე ხომ არ იტკინა. პატარა ბიჭი იტყუება, რადგანაც სურს მასწავლებლის თვალში უშიშარი გამოჩნდეს. მოსწავლე ცდილობს სახის შენარჩუნებას.

მომდევნო მაგალითი უსაფუძვლო ტრაბახის, უფრო სწორად კი უტიფარი ტყუილის მაგალითია, რომლის დროს მოსწავლე შეგნებულად იტყუება, რათა პედაგოგის თვალში ნიჭიერი მხატვარი გამოჩნდეს.

- Who helped you, Josh?
- Noone. I painted it myself.

3) **მასწავლებლის საამებლად ნათქვამი „თეთრი ტყუილი“, იგივე სოციალური ტყუილი.** დაკვირვებამ დაგვანახა, რომ მოსწავლეები ამ სახის ტყუილს საკმაოდ ხშირად მიმართავენ, როგორც მეგობრების, ისე პედაგოგების საამებლად.

- ***It's so great to see you*** (სინამდვილეში სრულებით არ გახარებია ძველი მასწავლებლის შეხვედრა)
- ***მას, რა ლამაზად გამოიყურებით ამ ახალ კაბაში, ეს ვარცხნილობაც გიხდებათ, კაბის ფერიც თქვენს ულამაზეს ცისფერ თვალებს ეხამება.*** (ეს არის ე.წ. კომპენსატორული ტყუილის საუკეთესო მაგალითი, როცა მოსწავლე ცდილობს გაზვიადებული კომპლიმენტი უძღვნას მასწავლებელს, მასზე შთაბეჭდილება მოახდინოს და შემდგომ მისი კეთლგანწყობა დაიმსახუროს)
- ***მთელ სკოლაში არავის ყავს ჩვენისთანა „დუშკა“ დამრიგებელი, როგორ გაგვიმართლა!*** (ამ შემთხვევაშიც დადებითი შთაბეჭდილების შექმნას ცდილობს მოსწავლე და ზედმეტად აზვიადებს მასწავლებლის ადამიანურ თვისებებს).
- ***რა კარგად ხსნით მასწ.....ვისთან არ ვემზადებოდი ინგლისურში და ასე კარგად არავის აუხსნია. ტვინში ჩამიდეთ ვნებითი გვარი. არასოდეს დამავიწყდება.*** (მოსწავლე გადაჭარბებულად აფასებს მასწავლებლის პროფესიონალიზმს, რითაც სოციალური ჰარმონიის შექმნას ცდილობს)
- ***მიყვარს თქვენი საგანი თქვენით*** (მოსწავლე ცდილობს კონფლიქტი თავიდან აიშოროს და მასწავლებელთან სოციალური ჰარმონია შეინარჩუნოს)

4) **შიშის გამო ნათქვამი.** შიშის გამო ტყუილის თქმა ყველაზე მეტი პროდუქტიულობით გამოირჩევა ორივე კულტურის საგანმანათლებლო დისკურსში. განვიხილოთ ამ სახის ორიოდე საინტერესო მაგალითი და დანარჩენი წარმოვადგინოთ ცხრილის სახით.

მასწავლებელი: რატომ არ მოამზადე დღეისთვის პრეზენტაცია? არ მითხრა ახლა ცუდად ვიყავი, ბებია გარდამეცვალა, შუქი არ მქონდა და მისთანები. შენი ტყუილები ყელში მაქვს ამოსული....

მოსწავლე: ***არ გატყუებთ მას. კომპიუტერი გამიფუჭდა და მამამ ხელოსანთან წაიღო. ხვალ დამიბრუნებს და პრეზენტაციასაც ზეგ ჩაგაბარებთ.***

ეს მაგალითი არის მასწავლებლის შიშით ნათქვამი ტყუილის მაგალითი. მაგალითიდან ჩანს, რომ მოსწავლე პათოლოგიური მატყუარაა და ისე გაწვრთნილია ტყუილებში, რომ სპონტანურად თხზავს ახალ-ახალს და არც იმჩნევს. მასწავლებელს შესწავლილი ყავს მოსწავლე და ეუბნება კიდეც ,,შენი ტყუილები ყელში მაქვს ამოსული", მაგრამ მაინც სთხოვს პასუხს, რათა უკეთ დაინახოს სადამდე მიდის მისი ფანტაზიები.

მასწავლებლის შიშით ტყუილს ყველა ბავშვი ამბობს, ამას ადასტურებს შემდეგი ინგლისურენოვანი მაგალითი, რომელიც ქართული მაგალითის იდენტურია: Teacher, I am not ready for the lesson. ***My computer crashed and I lost all my work.*** მოცემული მაგალითი იმითაა საყურადღებო, რომ ამ შემთხვევაში თავად მოსწავლე უტყდება მასწავლებელს გაკვეთილის მოუმზადებლობაში. მას არ ეშინია უთხრას მასწავლებელს, რომ მოუმზადებელი მოვიდა, მაგრამ არ უნდა მასწავლებელს შთაბეჭდილება შეეცვალოს მასზე და გაკვეთილის მოუმზადებლობის მიზეზის დასახელებისას ტყუილს მიმართავს.

დაკვირვებამ დაგვანახა, რომ შიშის გამო ნათქვამი ტყუილი ორგვარად ვლინდება, ერთ შემთხვევაში მოსწავლე ისე შეშინებულია, რომ დუმილს ირჩევს. მეორე შემთხვევაში კი სპონტანურად ქმნის ტყუილს.

- რატომ არა ხარ მზად?

- **(თავს ღუნავს და მხრებს იჩეჩავს)**
- მიხვდით ბავშვებო, რაც დღეს აგიხსენით? - ***დიახ, ყველაფერი გასაგებია*** (სინამდვილეში ყველაფერი არ იყო გასაგები და მით უფრო ყველა მოსწავლემ ერთნაირად ვერ გაიგო)
- გიწერია დავალება? - დიახ…. - წაიკითხე ! (ვერ კითხულობს რადგან არ უწერია, ეგონა, რომ მასწავლებელი არ წააკითხებდა)
- რატომ არ შეასრულე დავალება?.... - **დუმილი….** - რას აკეთებდი? - არ მეცალა.
- შესრულებული გაქვს დავალება? - ვერ გავიგე მასწავლებელო. - რა ვერ გაიგე? მაგალითად? - **(პასუხი არ აქვს, თავს ღუნავს, თუმცა დანაშაულს არ აღიარებს)**
- რატომ იგვიანებ გაკვეთილზე? - დედამ გვიან წამომიყვანა სახლიდან (სინამდვილეში სკოლასთან ახლოს ცხოვრობს და მარტო დადის სკოლაში)
- დავალება რამდენს უწერია? აბა, ხელი ავწიოთ….. (ხელს სწევს ყველა). ნამდვილად ყველას გიწერიათ? - დიახ მას……. - ახლავე ჩამოვივლი და შევამოწმებ (იწყებენ თავის მართლებას)

- მოუსმინე ტექსტს სახლში?

- დიახ….

-რამდენჯერ?

დუმილი, გაღიმება, თავის ჩახრა

5) **სხვის გასამტყუნებლად.** მოსწავლეებს ხშირად სჩვევიათ თანაკლასელების დაბეზღება და მათზე ცუდის გადაბრალება. ,,ბოროტი ტყუილის“ ნათელი მაგალითია:

- მას, შეგიძლიათ ადგილი შემიცვალოთ?
- რატომ?
- *გიო მაწუხებს.*
- კარგი, მოდი გიოსაც ვკითხოთ ასეა თუ არა.ვკითხოთ?
- *არა, არა, არ ჰკითხოთ.*

მასწავლებელი უმალ ხვდება მოსწავლის ტყუილს, რადგანაც იგი ასეთ საქციელში არაერთხელ ყავს შემჩნეული. თან მოსწავლე ძალიან მალე ტყდება ტყუილში, როცა ამბობს მის მეგობარს ამის შესახებ არაფერი კითხონ და სიმართლე არ გამოაშკარავდეს.

3.2.2. მოსწავლის მიერ თანატოლების მიმართ ნათქვამი ტყუილი

მოსწავლის ტყუილი თანატოლებთან დაკავშირებული სოციალურ და ფსიქოლოგიურ მიზეზებთან:

1) **თავის მოწონების მიზნით, იგივე სოციალური სტატუსის დაცვის ან ამაღლების მიზნით.** მოსწავლეები თანატოლებთან იტყუებიან თავიანთი მიღწევების, გამოცდილების ან მატერიალური კეთილდღეობის შესახებ.

ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითში თინეიჯერი ტრაბახა გოგონა ცდილობს მეგობარი შეცდომაში შეიყვანოს და თავი შეძლებულად წარმოაჩინოს. სინამდვილეში ტანსაცმელი, რომელიც აცვია, ერთ-ერთ იაფფასიან მაღაზიაშია ნაყიდი.

-Do you like my brand new outfit?

- Yes, very.

- It cost me a fortune!

როგორ მივხვდით, რომ მოსწავლე იტყუებოდა? მან თავადვე ჩამოაგდო საუბარი იმაზე, რითაც ტრაბახს აპირებდა. საუბარი კითხვითი წინადადებით დაიწყო, მსმენელში ინტერესი გააღვივა და შემდეგ გაზვიადების ხერხს მიმართა: It cost me a fortune! აღნიშნული მაგალითი გვიჩვენებს, რომ რეალობასთან შეუსაბამო ტრაბახი ტყუილის სახეობაა.

2) მეგობრის საამებლად (თეთრი ტყუილი, იგივე სოციალური ტყუილი). მოსწავლეები ამ სახის ტყუილს საკმაოდ ხშირად მიმართავენ მეგობრების საამებლად.

- I really liked your presentation. It was one of the best I've ever seen (სინამდვილეში პრეზენტაცია არც თუ ისე შთამბეჭდავია, და იმის გამო, რომ მეგობარს გული არ ატკინოს, ტყუილ კომპლიმენტს მიმართავს)
- I am so happy you got the lead in the school play (სინამდვილეში მას სურდა ეს როლი და შურს მეგობრის წარმატების. ეს არის სოციალური ტყუილის მაგალითი)
- I feel, I am taking your time!
- No, ***You're not bothering me at all. It's no trouble at all*** (სინამდვილეში მეგობარს არ ქონდა დროს სხვის დასახმარებლად და სამუშაო, რომელიც მათ ერთად გააკეთეს, საკმაოდ შრომატევადი და დამღლელი იყო)

3) კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით. მოსწავლეებს არ სურთ დააზარალონ მეგობრები ან საკუთარი ჯგუფის წევრები/ კლასელები. დავაკვირდეთ ასეთ სიტუაციას: მოსწავლე ყველა გაკვეთილს და თხრობის დროსუამრავ შეცდომას უშვებს. კლასელები ჩუმად იცინიან. როცა თხრობას მორჩება მოსწავლე ერთ-ერთ კლასელს ეკითხება: Why were you laughing at me? კლასელი კი პასუხობს: I wasn't

laughing at you. I loved your story. ტყუილის საშუალებით მოსწავლე თავიდან იშორებს კონფლიქტს მეგობართან.

მეორე სიტუაციაში მასწავლებელი შეამჩნევს, ერთ-ერთ მოსწავლეს სძინავს გაკვეთილზე და მთელ კლასს ეკითხება: - Is Dave sleeping? I hear him snoring. მეგობრის დასაცავად კლასელები ტყუიან: -Oh, No. He is not asleep. - He is just resting eyes.

3.2.3 მოსწავლის მიერ მშობლის მიმართ ნათქვამი ტყუილი

1) საკუთარი რეპუტაციის დაცვის მიზნით. ეს ის შემთხვევებია, როცა მოსწავლე იტყუება გამოცდაზე ან სასწავლო პროცესში ტესტირების დროს მიღებულ ქულებს, რათა დაფაროს დაბალი მომზადების დონე და მშობლიდან აიშოროს საყვედური.

დედა: რა მიიღე რეიტინგულ წერაში ინგლისურში?

შვილი: ***რას მივიღებდი, მაგას კითხვა უნდა? ცხრა. როდის იყო ეგ ქალი მაგაზე მეტს იმეტებდა ჩემთვის?*** (სინამდვილეში ბავშვს 7 ქულა აქვს მიღებული და მშობელს ატყუებს, რათა მისი რისხვა არ გამოიწვიოს. ბავშვი იმასაც იტყუება, რომ მასწავლებელი მხოლოდ ერთ ქულას (ცხრიანს) იმეტებს მისთვის, სინამდვილეში ინგლისურ ენაში ,,ჭრელი ნიშნები" აქვს. ადგილი აქვს ,,ბოროტ ტყუილს", რომელიც მასწავლებლის დაბეზღებას ისახავს მიზნად).

საინტერესოა შემდეგი მაგალითი, რომელშიც მოსწავლე განზრახ ადარებს საკუთარ თავს თანაკლასელებს, რომ წარმოაჩინოს მისი უპირატესობა სხვებთან შედარებით.

- **Mum, I got an A on the test. I scored higher than everyone in the class.**

ბავშვი ნაწილობრივ სიმართლეს ამბობს, როცა ტესტში მიღებულ უმაღლეს შეფასებაზე ჩემოუგდებს დედას საუბარს, თუმცა იტყუება მაშინ, როცა ამბობს, რომ თანაკლასელებზე მაღალი ქულა მიიღო. ბავშვი ცდილობს დედაზე შთაბეჭდილების მოხდენას და ჩვენი აზრით, გარკვეულ სარგებელს ელის მშობლისგან.

2) სხვის გასამტყუნებლად ნათქვამი, იგივე ,,ბოროტი ტყუილი"

- Mum, She verbally abused me in front of the class, threw all of my work on the floor, and made me clean it up in front of everyone. (მოსწავლე ატყუებს დედას, თითქოსდა მასწავლებელი მას ცუდად მოექცა და იყენებს ჩამონათვალს, რომლის საშუალებითაც

დეტალურად ცდილობს სურათის აღწერას, რათა უფრო დამაჯერებელი იყოს მისი თხრობა).

- რატომ გაქვს ცუდი ნიშნები ქიმიაში?

- რა უნდა ვისწავლო მის გაკვეთილზე, არაფერი მესმის, ჩემი კლასელები ისე ხმაურობენ, სიტყვა არ მესმის. ისიც ჩუმად ხსნის და როცა ხედავს არავინ უსმენს, ჩერდება და ფანჯარას მიაშტერდება. მთელი გაკვეთილი ფანჯარაში იყურება.

საილუსტრაციოდ წარმოდგენილ ქართულ მაგალითში ნაჩვენებია, რომ ბავშვი ცდილობს პასუხსიმგებლობა მოიხსნას და დანაშაული მასწავლებელს და კლასელებს ,,აკიდოს". ბავშვი მანიპულირებს და ბოროტად ტყუის თავის გადარჩენის მიზნით. ამ სახის ტყუილი ნამდვილად დასაგმობია, რადგანაც ასეთი საქციელით ხდება მოსწავლის არასწორი გზით განვითარება. მასწავლებლის და კლასელების დაბეზღედბა და მათ წინააღმდეგ ნაწილობრივი ტყუილის შეთხზვაც კი ამორალური საქციელია და საყურადღებოა.

მასწავლებელმა და მშობელმა ხშირი და ღია კომუნიკაცია უნდა აწარმოონ მოსწავლესთან, ეცადონ მისი მოტივაციის ამაღლებას და ემოციურ მხარდაჭერას. მოსწავლის მიერ ნათქვამი ტყუილი უნდა გახდეს განსჯის საგანი, რადგანაც ტყუილი არის სიგნალი იმაზე, რომ პრობლემა რეალურად არსებობს და იგი ყურადღებას საჭიროებს. მოსწავლე კი არ უნდა დაისაჯოს ტყუილის თქმისთვის, არამედ გაეწიოს მას სათანადო დახმარება (აკადემიური დახმარება იქნება ეს თუ ემოციური მხარდაჭერა) და სწორ გზაზე დააყენონ მოსწავლე.

3.3. მშობლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ ნათქვამი ტყუილის სპეციფიკა და მისი ლინგვო-პრაგმატიკული თავისებურებები

მშობლის მიერ მასწავლებლისთვის ნათქვამ ტყუილს ორი მიზანი აქვს: 1) საკუთარ შვილზე ხელის დაფარება და შვილის ინტერესების დაცვა; 2) მასწავლებლისთვის ცრუ დაპირების მიცემა.

ჩვენ მიერ შეკრებილი ამ სახის მაგალითები მცირერიცხოვნებით გამოირჩევა. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

მასწავლებელი: ვერ დაგიმალავთ, თქვენი შვილი მუდმივად მოუმზადებელი მოდის გაკვეთილზე და გაკვეთილის მსვლელობაშიც ხელს მიშლის.

მშობელი: უი, რას ამბობთ, მართლა გამაკვირვეთ. ამას არ ველოდი. რავიცი აბა, როცა სამსახურიდან შინ ვბრუნდები, ***სულ წიგნს უზის და გაკვეთილებს ამზადებს, ხშირად მამამისი ეხმარება თქვენს საგანში.***

მაგალითიდან ჩანს, რომ დედა პასუხს გაურბის და მამას აკისრებს პასუხისმგებლობას შვილის აკადემიურ მოსწრებაზე. დედას არ სურს გაუგებრობაში გაერიოს და ტყუილის თქმისას მამას იშველიებს, რაც მისი მხრიდან უპასუხისმგებლო საქციელია. შეიძლება დედა ნაწილობრივ სიმართლეს ამბობდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ბავშვი სულ წიგნს არ უზის და არც მამა ეხმარება დიდი სიხშირით.

მომდევნო მაგალითში მშობელი არა მარტო ატყუებს მშობელს სახლში მიმდინარე რემონტის გამო, არამედ ცრუ დაპირებასაც იძლევა.

მასწავლებელი: ქალბატონო თამარ, ეს რამდენიმე დღეა ბექა წიგნების და რვეულების გარეშე დადის სკოლაში, ხომ არ იცით, რა ხდება?

მშობელი: იცით, ზეინაბ მასწავლებელო, სახლში რემონტი და არეულობა გვაქვს. სად რა გვიდევს არ ვიცით. გპირდებით, დავეხმარები მოძებნაში და ხვალ ჩანთით და სასკოლო ნივთებით მოვა გაკვეთილზე.

ერთი შეხედვით ძნელია დანამდვილებით ვთქვათ, რომ მშობელი იტყუება. მაგრამ მასწავლებელი მას შემდეგ მიხვდა, რომ დედის ნათქვამი ტყუილი იყო, როცა მეორე დღეს ბავშვმა აღიარა, სახლში არსებული რემონტის გამო, ოჯახი ბებიასთან იყო საცხოვრებლად გადასული და წიგნები სახლში რემონტის გამო არ დაკარგულა. ამასთან, მოსწავლე მეორე დღესაც ჩანთის გარეშე მივიდა სკოლაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დედამ ცრუ დაპირება გასცა.

ინგლისურ მაგალითში ძალიან კარგად ჩანს მშობლის ტყუილი, რადგანაც იგი მასწავლებელს კითხვას უტრიალებს, უარყოფს მასწავლებლის მიერ ნათქვამს უარყოფითი ნაწილაკით No, რომელსაც ორგზის იმეორებს. მშობელს სურს მისი ნათქვამის ჭეშმარიტებაში დააჯეროს მასწავლებელი და ქმნის ისეთ სურათს, თითქოსდა კარგად იცოდეს, რა ხდება მისი შვილის თავს. მასწავლებლის მეტად დარწმუნების მიზნით მშობელი იყენებს დროის გამომხატველ ზმნიზედებს: always, never და ფრაზას **I'm sure.**

Teacher: I wanted to talk to you about Timmy. He's been quite disruptive in class., and he doesn't seem to focus on his work. Have you noticed anything unusual at home?

Parent: Timmy? No, he's ***always*** very well-behaved at home. He ***never*** has any problems focusing. He's just energetic, that's all. **I'm sure** he's fine at school, maybe just a little bit bored.

Teacher: I see. He's been interrupting lessons and not following instructions. Have there been any changes in his routine?

Parent: No, no changes at all. Maybe there's something going on at school, but at home, he's ***always*** focused.

ის ფაქტი, რომ დედა შვილზე ხელის დაფარებას ცდილობს და სურს შვილის იმიჯის შენარჩუნება, კარგად ჩანს დადებითი მნიშვნელობის ზედსართავებით (well-behaved, energetic, focused). მშობელი ხატავს შვილის არარეალურ სახეს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მასწავლებელს იმაზე, რომ მშობელი ტყუის.

მომდევნო მაგალითშიც იგივე მიზანი ამოძრავებს მშობელს - იყოს მეტად დამაჯერებელი (Everything, absolutely, definitely), შეცდომაში შეიყვანოს მასწავლებელი და შვილის რეპუტაცია დაიცვას.

Teacher: Your son is always unprepared. Is everything Ok at home?

Parent: Oh, **absolutely! Everything** is fine at home. He is a bit tired lately, but he **definitely** does her homework. I'll make sure to double-check her bag tonight.

სკოლის ადმინისტრაცია, დირექტორი, სასწავლო ნაწილი, დამრიგებლები ტყუილს ამბობენ ერთი მხრივ მოსწავლეებთან, მეორე მხრივ მშობლებთან. როცა ადმინისტრაცია იტყუება, ვისაც მართვის სადავეები ხელთ აქვთ და ვისაც ენდობიან, ეს ყველაზე ნაკლებ მისაღებია. როდის ტყუიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები?

1) მოსწავლეთა დისიპლინის შესახებ;

Parent: My son is constantly bullied by his classmates.

Headmaster: It's impossible. ***The schoolis free from discrimination. We don't tolerate bulling.***

- დირექტორი ტყუის საკუთარი სკოლის იმიჯის დასაცავად.

2) სკოლის იმიჯის შესანარჩუნებლად; (Our school ranks among the top in the district; Every classroom has modern technology. We don't allow overcrowding in classrooms. We offer the best extracurricular activities. The administration is always approachable. We have a strict attendance policy. Our school has the lowest dropout rate;)

3) რათა ხელი დააფარონ პედაგოგს ან სკოლაში დასაქმებულ პირებს (Teacher Y did not do it; We are fair in all our discipline. All teachers are highly qualified. I have never had any complaints about Teacher Y.))

4) რათა თავიდან აიშორონ კონფრონტაცია მშობლებთან (Student X won't be expelled. The Principal is not in.)

5) რადგან თავადაც ტყუილი უთხრეს (We don't rely on outdated teachng methods; No staff member engages in favouritism.)

როგორც ემპირიული მასალის ანალიზიდან ჩანს, სკოლაში თითოეული რგოლი, სკოლის დირექტორიდან დაწყებული უბრალო მოსწავლით დამთავრებული, იტყუება.

3.4. პლაგიატის საკითხი სასწავლო პროცესში

ჩვენ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს შეუძლებელია გვერდი ავუაროთ პლაგიატის საკითხს სკოლაში, რადგანაც პლაგიატი ტყუილის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც საკმაოდ ხშირად მიმართავენ როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები. სასწავლო პროცესში მოსწავლის მიერ პლაგიატის მცდელობა იმის მანიშნებელია, რომ მას სურს მაღალი შეფასება მიიღოს მისთვის მიცემულ დავალებაში. წარმოადგენს რა სხვის ნააზრევს, მოსწავლე უკვე ამბობს ტყუილს და სხვის ნაშრომს საკუთარ ნაშრომად ასაღებს.

მოსწავლეები პლაგიატს მიმართავენ სხვადასხვა მიზეზის გამო: 1) ცუდი შედეგის თავიდან აშორების მიზნით; 2) არარელევანტური სამსჯელო საკითხის შიშით (საკმარისი ცოდნა არ გააჩნიათ ამა თუ იმ საკითხზე, რომ თავისუფლად იმსჯელონ); 3) საკითხზე არასაკმარისი ინფორმაციის ქონის შიშით და 4) გადაწყვეტილებით ,,ერთჯერადი შემთხვევა“ (მხოლოდ ერთხელ გამოიყენებს სხვის ნაშრომს და მიაღწევს სასურველ შედეგს).

პლაგიატის ამოცნობის არაერთი ეფექტური ხერხი არსებობს, ესენია: ინტერნეტში ძებნა, სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების გამოყენება, მოსწავლის წერის მანერაზე, სტილზე დაკვირვება და სხვა. გამოცდილი მასწავლებლისთვის საკმაოდ ადვილია, ამოიცნოს, როდის ტყუის მოსწავლე. თუკი მოსწავლის წერის სტილი წინათ მარტივი და ბუნებრივი იყო და თუ ის ახლა პროფესიონალურ დონეზეა შესრულებული, უნდა ვიფიქროთ, რომ მოსწავლე იტყუება.

ჩვენი კვლევის ფარგლებში, დავაკვირდით როგორ იყენებდნენ სხვათა ნაშრომებს ავტორთა მითითების გარეშე ქართველი მოსწავლეები (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მეხუთე და მეექვსე კლასის მოსწავლეები). ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე მოსწავლის ნამუშევარს მეტი თვალსაჩინოებისთვის. მოსწავლეებს დავალებად მივეცი მოეპოვებინათ ინფორმაცია ცნობილ ადამიანებზე (მათი ცხოვრების წესი, ბიოგრაფია და ა.შ). ამასთავე, ავუხსენი, რომ ისინი არ იყვნენ შეზღუდული წყაროების გამოყენებისას, რომ მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ მათთვის ხელმისწავდომი ნებისმიერი რესურსი. მოსწავლეებს ჰქონდათ ინფორმაცია პლაგიატის შესახებაც და იცოდნენ თუ როგორ უნდა

აერიდებინათ მისთვის თავი. უნდა ითქვას, რომ მოსწავლეებისთვის არასაკმარისი აღმოჩნდა გაფრთხილება და მათ მაინც მიმართეს აკადემიურ თაღლითობას, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი დავალება.





Famous persons
their life and achevements
Google, wikipedia.

10.02
2.e

Michael joseph
jackson

Michael joseph jackon - was an
amercan singer, songwriter, dancer
and philanthropist. Dubbed the
"king of pop", he is regarded as
one of the most significand figures
of the 20th century.

over a four-decade career, his
world record music achievements
broke racial barriers in america
and his publicized personal life
made him a global figure.
troughh songs, stages, and fashion
he proliferated visual performense
for singers in pop music.
popularizing streets dance moves
including the moon walk, the robot
and the anti-gravity leain.
Guinness world records named
him the most successful
entertainer of all time.

Lionel messi and cristiano ronaldo

Lionel mesh and cristiano Ronaldo are
two of the greatest footballers in history.
Both of them inspiring millions of people
with their skill, dedication and achivements.
messi is a very gifted and talented player.
he has great dribling. He can run past many
players and score amazing goals. He is a
barcelona legend and now plays for inter
miami in america. Ronaldo is very fast and st
player, he is known for his powerfull shooti
and for his amazing heading. ronaldo is
top scorer in football History with over
920+ goals. He played for top european club
like. englands manchester united. spaist real
madrid and italy's juventus. now he
plays is saudi arabia and continue
to score goals. Both of these players
have tons of trophies and achivements.
that is why they are the greatest
football players of all time.



10th of Fabruary
At home:

Brad Pitt

Brad Pitt is a famous American actor and movie pooducer. He has starred in lots of cool films. People love him because he is a great actor and also he has good lock. He has won many awards for his work, which shows he is really talented. He won Oscars and Golden Globes that shows how talented he is. What I like most about him is that ever though he is a famous person, he is still kind. Many people love his films in 2000's or 2010's. People likes: „meet Joe black" and "mr & ms smith" this are films from 2000's.

დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ადგილი ქონდა რამდენიმე სახის პლაგიატს:

1) სრული პლაგიატი - როცა მოსწავლე სრულად ახდენდა სხვისი ნაშრომის კოპირებას და თავისად გასაღებას;

2) ნაწილობრივი პლაგიატი - როცა მოსწავლე ნაწილობრივ საკუთარ აზრს აფიქსირებდა და ნაწილობრივ ინტერნეტ წყაროებში მოპოვებულ მასალას მიმართავდა;

3) კომბინირებული პლაგიატი - როცა მოსწავლე სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას აერთიანებდა, საკუთარ აზრს სრულებით არ წარმოაჩენდა და არც ავტორებს მიუთითებდა;

4) პარაფრაზირებადი პლაგიატი - როცა მოსწავლე სხვა ავტორის ნაშრომს საკუთარი სიტყვებით გადმოსცემდა, თუმცა სხვისი იდეა, აზრი უცვლელად გადმოჰქონდა.

კველავამ ისიც დაგვანახა, რომ პლაგიატის საშუალებით მოსწავლეები სწრაფად და მარტივად ასრულებდნენ დავალებებს და არც კი ფიქრობდენ იმაზე, რომ ეს მავნე და არაეთიკური ჩვევა საბოლლოდ ზიანს აყენებდა მათ - ართმევდა თავდაჯერებულობას, კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებით უნარებს.

პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ჩემი მყისიერი რეაქცია ასეთი იყო - სრული და კომბინირებული პლაგიატის შემთხვევაში ხდებოდა ნაშრომის ,,განულება", ხოლო პარაფრაზირებადი და ნაწილობრივი პლაგიატის შემთხვევაში მოსწავლეს დაბალი ქულით ვაფასებდი.

მასწავლებელიც შეიძლება პლაგიატს მიმართავდეს - გაკვეთილის მომზადების დროს იყენებდეს ინტერნეტ წყაროებს, არ მიუთითებდეს წყაროს ავტორს/ავტორებს და პრეზენტაციას წარადგენდეს როგორც საკუთარს. ზოგიერთი მასწავლებელი აკოპირებს სხვა პედაგოგთა გაკვეთილის გეგმებს, იყენებს სხვა პედაგოგის მიერ მომზადებულ საგამოცდო ტესტებს, სარგებლობს სხვა პედაგოგის მიერ შეკრებილი და დამუშავებული ტექსტებით და ა.შ.

მასწავლებლის მხრიდან პლაგიატი მით უფრო დაუშვებელია, რადგანაც მოსწავლეს ეკარგება მასწავლებლის მიმართ ნდობა და შესაბამისად ილახება მასწავლებლის რეპუტაცია. მასწავლებელი, რომელიც პლაგიატს მიმართავს, მის მიმართ უნდა გატარდეს დისციპლინური ზომები, რადგანაც ეს პროფესიული დანაშაულია.

პლაგიატის ფორმად მიმაჩნია, როცა მოსწავლე საკლასო სამუშაოს შესრულებისას, ტესტირებისას ან გამოცდაზე ყოფნისას სხვა მოსწავლის ან მოსწავლეთა დახმარებას მიმართავს, მეგობრისგან იწერს, ციფრულ მოწყობილობებს (სმარტფონები, საათები) ან ,,შპარგალკებს" იყენებს. უფრო მეტიც, მოსწავლეებს სჩვევიათ ფარულად წიგნის, რვეულის და სხვა სასწავლო მასალების გამოყენება ტესტირების დროს. ადგილი აქვს

სკოლის მერხებზე და კედლებზე მნშვნელოვანი და რთული საკითხების დატანას. ტყუილის ზემოთ დასახელებული ფორმების გამოყენება საკმაოდ გავრცელებულია სასკოლო სისტემაში და მისი სრული აღმოფხვრა შეუძლებელიც კია.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ პლაგიატი საზიანოა როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის რეპუტაციისთვის, იგი ცვლის მათ მორალურ ჩვევებს და ხელს უშლის მაღალი ხარისხის განათლების მიღებასა თუ გაცემას.

3.5. ფანტაზია, როგორც ტყუილის ერთ-ერთი სახე და მისი გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები სასწავლო პროცესში

ბევრ სამეცნიერო ნაშრომში ფანტაზია განიხილება როგორც ტყუილის ერთ-ერთი სახე, მაგრამ ვთვლით, რომ ამ ორ ცნებას შორის არსებობს განსხვავება. ტყუილი არის ანტი-სიმართლე, ფანტაზია კი უბრალოდ რეალობის არარსებობაა. ტყუილი ტკენს, ფანტაზია ამშვიდებს. სიმართლის მსგავსად, ტყუილი და თვით ფანტაზიაც შეიძლება იყოს სასიამოვნო ან მწარე. ტყუილის გავლენა განმსაზღვრელია, ხოლო ფანტაზია ნაკლებ გავლენიანია. ფანტაზიის საშუალებით იქმნება ახალი ისტორიები, რომელიც მართალია რეალობას არ შეეფერება, მაგრამ გარკვეულ სიბრძნეს შეიცავს. ტყუილი კი მიზანმიმართულად მცდარი აზრის გავრცელებას ემსახურება.

ტყუილის თქმა კლასში, განსაკუთრებით სწავლა-სწავლების პროცესში აკრძალულია, მაგრამ ფანტაზიის გამოყენება გაკვეთილებზე საკმაოდ გონივრულია. უცხო ენის მასწავლებლები მიზანმიმართულად ცდილობენ განავითარონ ზოგიერთი მოსწავლის ფანტაზია, რომელთაც აკლიათ წარმოსახვა და არ გამოსდით შემოქმედებითი წერა ან ამბების თხრობა.

ბავშვები ფანტაზიის ელემენტებს ადრეული ბავშვობიდანვე ეცნობიან. მშობლები მათ ზღაპრებს უკითხავენ. საბავშვო ბაღებსა და დაწყებით სკოლებში, მოსწავლეები ბევრს გებულობენ გამოგონილი პერსონაჟების შესახებ სხვადასხვა წყაროებიდან, როგორიცაა: მასწავლებლები, მშობლები და მეგობრები. ამ ეტაპზე, ფანტაზია უწყინარი ჩანს. ზოგიერთ მოსწავლეს იმდენად უყვარს სცენარების შეთხზვა ან გამოგონილი პერსონაჟების შექმნა, რომ დიდ მატყუარებად იქცევიან.

მასწავლებლებს განსხვავებული აზრი აქვთ სწავლა-სწავლების პროცესში ფანტაზიის გამოყენებასთან დაკავშირფებით. ზოგიერთი მასწავლებელი ხედავს ფანტაზიის სარგებელს. ფილოლოგიის დოქტორის გვენ დიუარის თანახმად, ,,ფანტაზიასთან ურთიერთობა ასტიმულირებს შემოქმედებითობას და აფართოებს ლექსიკას. ის შეიძლება დაეხმაროს ზოგიერთ ბავშვს უკეთესი თვითრეგულაციის უნარების განვითარებაში. შეიძლება გააძლიეროს მათი მუშა მეხსიერების

მაჩვენებელი და, გარკვეულ პირობებში, დაეხმაროს მათ პრობლემების გადაჭრის შემოქმედებითი გზების აღმოჩენაში."

არიან მასწავლებლები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სწავლის პროცესში ფანტაზიის გამოყენება დროის ფუჭი ხარჯვაა და იწვევს ტყუილის თქმის სურვილს. ბევრი მასწავლებელი ამჯობინებს თავი აარიდოს ფანტაზიას შემოქმედებითი წერის გაკვეთილებზე, რადგან ფანტაზია ძალიან არარეალურია.

ფანტაზიის გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში შეიძლება ქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგი.

მეცნიერებს შესწავლილი აქვთ ფანტაზიის დადებითი გავლენა დაწყებითი სკოლის მოსწავლეებზე. დ. ვაისბერგის (ვილანოვას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი) და კ. ჰირშ-პასეკის (ტემპლის უნივერსიტეტის პროფესორი) თანახმად: ,,ფანტაზია არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი განათლებაში, მასწავლებლები ეხმარებიან ყველა ბავშვს შექმნან გზები სამყაროდან, როგორიც ის არის, სამყარომდე, როგორიც მათ სურთ რომ იყოს."

ვ. გუსინ პეილი, ავტორი წიგნისა ,,ბავშვის საქმე", მიიჩნევს, რომ ფანტაზიაზე დაფუძნებული თამაშები ხელს უწყობს ბავშვის კოგნიტური და თხრობითი უნარების განვითარებას. ,,ჩრდილოეთის ნათების" ავტორის, ფილიპ პულმანის თქმით, ფანტაზია ათავისუფლებს ბავშვების წარმოსახვის ჯაჭვებს, აძლევს მათ საშუალებას დაინახონ საგნები სხვადასხვა პერსპექტივიდან, აჩვენებს მათ ახალ კონცეფციებს, რომლებიც შეუძლიათ გაიტანონ საკუთარ ცხოვრებაში.

ჟან პიაჟე, შვეიცარიელი ფსიქოლოგი, რომელიც ცნობილია ბავშვის განვითარების სფეროში თავისი ნამუშევრებით, ამტკიცებდა, რომ ბავშვის გონება არ არის უბრალოდ ზრდასრულის გონების უმცროსი ვერსია, არამედ არის რაღაც გაცილებით უფრო უხეში და ცხოველური. ის ვითარდება, როდესაც ბავშვი იზრდება და ურთიერთქმედებს მის გარშემო არსებულ გარემოსთან. პიაჟეს მტკიცედ სწამდა, რომ ამის განვითარების საუკეთესო გზა არის ბავშვის წახალისება საკუთარი ცნობისმოყვარეობის გაღვივებისკენ კვლევის, ექსპერიმენტირებისა და ფანტაზიური თამაშების საშუალებით.

ფანტაზიორობა სკოლის მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის უცხო არ არის. სასწავლო პროცესში ფანტაზია სასარგებლოა, თუკი იგი მიზნად ისახავს

კრეატიულობის გაზრდას ან საკითხის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას. თუმცა, როცა ფანტაზია რეალობას ძლიერ შორდება და მოსწავლე დამახინჯებულ ფაქტებს შეგნებულად მიმართავს, ამან შეიძლება არასერიოზული განწყობა შექმნას მოსწავლეებში და ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს სწავლის პროცესზე.

ფანტაზიის გამოყენება ინგლისური ენის გაკვეთილებზე მეტად ეფექტურია მოსწავლეების კრეატიულობის ამაღლების და შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით. ფანტაზიის გამოყენება ძირითადად ხდება კრეატიული წერის დროს, როცა მასწავლებელი მოსწავლლებს ავალებს დაწერონ ზღაპარი ან გამოიგონონ რაღაც ამბავი. ამ დროს მოსწავლეები იყენებენ თავიანთ წარმოსახვას. ფანტაზია შეიძლება გამოყენებულ იქნას როლურ თამაშებშიც, რომელიც მოსწავლეებს ასწავლის თანამშრომლობას, ემპათიას და კრიტიკულ აზროვნებას. როლური თამაშები მოსწავლეებს ეხმარება თავი წარმოიდგინონ სხვადასხვა ვითარებაში. მაშინაც კი, როცა მასწავლებელი მოსწავლეს თხოვს სურათის აღწერას, მოსწავლე ფანტაზიის საშუალებით ქმნის მოკლე ისტორიებს. ეს მეთოდი ხელს უწყობს არა მხოლოდ ენის სწავლას, არამედ მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და სოციალური უნარების განვითარებასაც.

თუკი მოსწავლე ფანტაზიას იყენებს ისტორიის გაკვეთილზე და ამახინჯებს მოვლენებს, ფაქტებს, ცვლის ისტორიულ თარიღებს, ასეთ შემთხვევაში ფანტაზია ნეგატიურად უნდა შეფასდეს. მაგრამ თუკი ისტორიის გაკვეთილზე იგივე მასწავლებელი მოსწავლეებს თხოვს გაითამაშონ სცენები, სადაც ისტორიულ მოვლენებს ფანტასტიკურ ელემენტებს დაუკავშირებენ და იმოგზაურებენ დროში, მაშინ ისინი დროში გააცოცხლებენ ისტორიას.

ფანტაზიის უარყოფითი თვისება ისაა, რომ ზოგჯერ მოსწავლეები ზედმეტად იჭრებიან ფანტაზიის სამყაროში და კარგავენ რეალობასთან კავშირს., რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობას. ზედმეტი ფანტაზიორობა შესაძლოა გასცდეს გაკვეთილის თემას და გამოიწვიოს მნიშვნელოვანი საკითხებიდან ყურადღების აცდენა. ზედმეტ ფანტაზიას ასევე შეუძლია ხელი შეუშალოს ჯგუფურ მუშაობას და მოსწავლეები დაიკარგონ ინდივიდუალურ ფანტაზიებში.

როგორც ინგლისური ენის პრქატიკოსი მასწავლებელი სკოლაში, მე ხშირად ვიყენებ ფანტაზიის ელემენტებს ინგლისური ენის გაკვეთილებზე. გაკვეთილებზე ხშირად ვიყენებ სხვადასხვა აქტივობებს, რომლებიც შთააგონებს მოსწავლეებს განავითარონ საკუთარი წარმოსახვა და გაერთონ გაკვეთილების დროს.

ქვემოთ წარმოგიდგენთ აქტივობებს, რომლებსაც ვიყენებ დაწყებითი სკოლის მოსწავლეებთან.

ინგლისური ენის გაკვეთილებზე მე ხშირად ვატარებ შემოქმედებითი წერის აქტივობებს. დაფაზე ვწერ გამოგონილ პერსონაჟთა სახელებს და სიტყვებს, რომლებიც მინდა, რომ ჩემმა მოსწავლეებმა გამოიყენონ მოთხრობაში. დავალება ასეთია: მოსწავლეებმა უნდა დაწერონ მოკლე ამბავი გამოგონილი პერსონაჟების სახელების გამოყენებით, გამოიყენონ ჯადოსნური სიტყვები, თუნდაც ოკაზიონალური სიტყვები, ტროპები და თემები, რომლებიც დამახასიათებელია ფანტაზიური თხრობისთვის.

მეორე აქტივობა, რომელსაც ასევე ხშირად ვიყენებ ინგლისური ენის გაკვეთილებზე, არის ცნობილი ზღაპრების შეცვლა. მოსწავლეები იყენებენ საკუთარ წარმოსახვას მსოფლიოში ცნობილი ზღაპრების ან იგავ-არაკების გარდასაქმნელად. ეს აქტივობა ნამდვილი გართობაა, რადგან მოსწავლეთა წარმოსახვა სცდება საზღვრებს და საბოლოოდ ვღებულობთ უჩვეულო და პროვოკაციულ ზღაპრებს მოულოდნელი დასასრულით. მოსწავლეები იმდენად გარდაქმნიან ზღაპრებს, რომ რთული ხდება იმის გამოცნობა, თუ რომელი ზღაპარი იქნა მათ მიერ ტრანსფორმირებული. ისინი თვითონაც იგონებენ უნიკალურ პერსონაჟებს, იყენებენ საკუთარ თემებს, სიმბოლოებს და ქმნიან საკუთარ ლექსიკას. ეს აქტივობა ხელს უწყობს შემოქმედებითობის გაზრდას გაკვეთილზე.

როლური თამაში სასარგებლო აქტივობაა ინგლისური ენის გაკვეთილებზე. მოსწავლეებს ვთხოვ იმუშაონ წყვილებში და დაწერონ დიალოგი მათ მიერ გამოგონილ პერსონაჟებს შორის, შემდეგ კი შეასრულონ ეს დიალოგები თანაკლასელების წინაშე. მოსწავლეები ირჩევენ ორ ცნობილ პერსონაჟს მათი საყვარელი ფანტასტიკური წიგნებიდან, წერენ დიალოგს და აქტივობის ბოლოს ხმამაღლა კითხულობენ. ეს აქტივობა აცოცხლებს პერსონაჟებს და ეხმარება მოსწავლეებს უკეთ წარმართონ საუბარი თანაკლასელებთან.

ზოგჯერ გაკვეთილზე ვთხოვ ჩემს მოსწავლეებს შექმნან არსება, რომელიც მათი ფანტაზიის ნაყოფი იქნება. მოსწავლეები ფიქრობენ ამ არსებების გარეგნობის, ხასიათისა და განსაკუთრებული ჯადოსნური ძალების შესახებ. ასევე საინტერესოა, როგორ ურთიერთობენ ეს ჯადოსნური არსებები სხვა არსებებთან.

მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავს ჯადოსნური სიტყვების შექმნას. ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ საკუთარი წარმოსახვა, გაიფართოვონ ლექსიკა და გაიწაფონ ენობრივ უნარებში. როგორც წესი, მოსწავლეები აღწერენ გამოგონილ არსებებს ან საგნებს საკუთარი სიტყვებით. გარდა ამისა, ისინი იგონებენ სპეციალურ ადგილებს და არქმევენ მათ უცნაურ სახელებს. სიტყვები იქმნება ძირეული სიტყვებიდან, არსებული სიტყვების კომბინაციით. როდესაც მოსწავლეები ქმნიან გამოგონილი სიტყვების ნაკრებს, მათ შეუძლიათ გამოიყენონ ისინი მოკლე ამბებში, ლექსებში, გამოიყენონ ისინი კონტექსტში. მოსწავლეები უზიარებენ საკუთარ ამბებს კლასს. ეს კი ხელს უწყობს თანატოლების უკუკავშირსა და თანამშრომლობას.

იმისათვის, რომ უკეთ დამენახა რა დადებითი ზეგავლენის მოტანა შეეძლო ფანტაზიის შედეგად შექმნილ ამბებს, ჩავატარე დაკვირვება. დავაკვირდი 20 მოსწავლის (10-12 წლის) 60 მოკლე ამბავს/ზღაპარს. დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ფანტასტიკური ელემენტების შემცველი ამბების წერამ გააუმჯობესა მათი ლექსიკა და წინადადების სტრუქტურა. მათ განავითარეს თხრობის ტექნიკა, დაიწყეს გრძელი დიალოგების წერა; მოსწავლეებმა დაიწყეს ჩარჩოებს გარეთ აზროვნება, ახალი სამყაროს, პერსონაჟების, სცენარების და ა.შ. შექმნა. მოსწავლეები უფრო დაინტერესდნენ კითხვით, განსაკუთრებით ფენტეზის ჟანრით. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეებს თავდაჯერება მოემატათ შემოქმედებით წერასა და ამბების თხრობაში. ისინი გახდნენ გაცილებით უფრო კომუნიკაბელურები და ემოციურები. შემოქმედებითი წერა დაეხმარა მოსწავლეებს თავიანთი აზრების ნათლად გამოხატვაში. კლასში მათი ამბების გაზიარებამ და წარდგენამ გააუმჯობესა მათი საჯარო გამოსვლისა და კომუნიკაციის უნარები.

შევნიშნე რა, რომ მოსწავლეებს უყვარდათ ფანტასტიკური ამბებისა და ზღაპრების შექმნა, გამოვიკვლიე ამის მიზეზები. 11 მოსწავლემ უპასუხა, რომ მათ მოსწონდათ რეალობიდან გაქცევა; 6 მოსწავლემ უპასუხა, რომ მათ მოსწონდათ თავისუფლება, რომელიც მათ მიეცათ ფანტასტიკური არსებების, უცნაური სიუჟეტის, სცენარის და ოკაზიონალური სიტყვების შექმნისას. გამოკითხულთაგან, 3 მოსწავლემ უპასუხა, რომ ისინი კარგად ერთობოდნენ ამ სახის აქტივობებით.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ფანტაზია არის ტყუილის ისეთი სახე, რომელიც მატყუარებს უზარმაზარ ძალას აძლევს. ის საერთოდ არ არის საშიში. პირიქით, ის წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს არარეალური ამბის მოსათხრობად. ფანტაზიის ჩართვა სასწავლო პროცესში ეფექტური სასწავლო საშუალებაა. ფანტაზია იპყრობს მოსწავლეების ყურადღებას და აღვივებს მათ ინტერესს სწავლის მიმართ. მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნების უნარი და იფართოვებენ ლექსიკას, აუმჯობესებენ ფიგურალური ენის გაგებას. ფანტაზიის გამოყენებით სასწავლო პროცესი გაცილებით უფრო სახალისო და დინამიურია. ფანტაზიის დადებითი იმაშია, რომ მისი გამოყენება ნებისმიერ გაკვეთილზე ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას კონკრეტული საკითხისადმი და ზრდის მათ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. თუმცა აუცილებელია ფანტაზიის სწორად გამოყენება, რათა ის არ გახდეს საგაკვეთილო პროცესის ჩაშლის მიზეზი.

3.6. ტყუილის თქმის სიხშირის კვლევა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა გაგვეგო რამდენად ხშირად ხდებოდა ტყუილის გამოყენება საგანმანათლებლო სივრცეში. ამასთან დაკავშირებით ჩავატარეთ გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბათუმის ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მასწავლებლებმა (ნებისმიერი საგნის მასწავლებელს ქონდა წვდომა კითხვარზე), მე-10 კლასის მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა. სულ გამოკითხულ იქნა 16 მოსწავლე, 16 მასწავლებელი და 15 მშობელი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 3 - ქართული ენის მასწავლებელმა, 10 - ინგლისური ენის მასწავლებელმა, 1 -ისტორიის მასწავლებელმა, 1 - მათემატიკის მასწავლებელმა და 1 - ქიმიის მასწავლებელმა.

კითხვარი შედგებოდა 14 დახურული და 1 ღია შეკითხვისგან.



გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (44,7%) ამბობს, რომ ტყუილს არასდროს ამბობს; 29,8 % აღიარებს, რომ ტყუილს ამბობს, მაგრამ არა დიდი სიხშირით. 14,9 % ზოგჯერ, ხოლო 10,6% ხშირად ამბობს ტყუილს.



შეკითხვაზე: ყოფილხართ თუ არა ტყუილის მსხვერპლი? 80,9 % უპასუხა დადებითად, რომ ყოფილა ტყუილის მსხვერპლი. 12,8 % არ შეუმჩნევია, ხოლო დარჩენილი ნაწილი ამბობს, რომ არ გამხდარა ტყუილის მსხვერპლი.



რაც შეეხება შეკითხვას, როგორ იქცევით, როცა გატყუებენ? გამოკითხულთა 38,3 % ცდილობს არ შეიმჩნიოს, რომ სიმართლე იცის, 31,9% ცდილობს ბოლომდე აცადოს მატყუარას ტყუილის თქმა, ხოლო 29,8 % პირდაპირ ეუბნება, რომ სიმართლე იცის.



გამოკითხულთა უმრავლესობა 63,8 % ერთხმად ადასტურებს, რომ ისინი იყენებენ თეთრ ტყუილს, იგივე სოციალურ ტყუილს. გამოკითხულთა 34 % სპონტანურ ტყუილს მიმართავს. გამოკითხულთა 6,4% ტყუილისთვის სპეციალურად ემზადება, 6,4 % კომპენსატორულ ტყუილს ანიჭებს უპირატესობას, 4.3% სრულებით არ უჭირთ უტიფარი ტყუილის გამოყენება, ხომ 2.1 % მზადაა ბოროტი ტყუილის სათქმელადაც კი.



კითხვაზე: როგორ ხვდებით, როცა გატყუებენ? 42,6 % ამბობს, რომ ისინი აკვირდებიან არა მარტო ხმის ტემბრს, ტონს, პაუზას, ინტონაციას, არამედ ჟესტიკულაციას და კონტენტსაც კი, ყველაფერს ერთად ერთ მთლიანობაში. 23,4 % ამბობს, რომ აკვირდება მონათხრობის შინაარსსა და კონტენტს, 19,1% ამბობს, რომ ისინი აკვირდებიან ჟესტიკულაციას, ხოლო 12, 8 % ხმის ტემბრს, ტონს, პაუზას და ინტონაციას აკვირდება.



გამოკითხულთა 40,4 % ამბობს, რომ ტყუილის თქმისას იქცევიან ბუნებრივად და თავდაჯერებულად, 23,4 % უარყოფს ტყუილის თქმას, 21,3% ამბობს, რომ ტყუილის თქმის დროს არ უყურებენ მსმენელს თვალებში და ამოძრავებენ ხელებს, ხოლო 14,9% ამბობს, რომ იმეორებს ერთი და იგივე სიტყვას თუ წინადადებას, აკეთებს პაუზებს და ეცვლება ხმის ტემბრი და ტონი.



შეკითხვაზე, თუ რატომ ამბობენ ტყუილს? 36,2% ამბობს, რომ ტყუილს ამბობენ არასასიამოვნო სიმართლის დასამალად, 25,5% უარყოფს ტყუილის თქმას, ხოლო 12,8 პროცენტი ტყუილს ამბობს შიშის გამო, ვისიმეს საამებლად ან გაუცნობიერებლად.



შეკითხვაზე, განსაკუთრებით რომელ ასაკში ვხდებით ტყუილს, გამოკითხულთა უმრავლესობა ანუ 61, 7 % თვლის, რომ ნებისმიერი ასაკის ადამიანი ამბობს ტყუილს, 29,8 % თვლის, რომ ტყუილის თქმას ძირითადად 11-16 წლის ასაკში ვხდებით.



შეკითხვაზე, თუ რამდენად მისაღებია ტყუილი საგანმანათლებლო სივრცეში, გამოკითხულთა უმრავლესობა ანუ 63,8 % ერთხმად ამბობს, რომ მიუღებელია,19,% თვლის, რომ მიღებულია ისეთი ტყუილი, რომელიც უვნებელია, ხოლო 17 % თვლის, რომ ნაწილობრივ მისაღებია, ტყუილის სახეს გააჩნია.



შეკითხვაზე, თუ რამდენად ხშირად ვხდებით ტუილს საგანმანათლებლო სივრცეში, 51,1 % ამბობს, რომ მსგავს რამეს არ დაკვირვებია, 27,7 % თვლის, რომ ხშირია, 19,1 % თვლის, რომ იშვიათია, ხოლო 6,4 % თვლის, რომ სისტემატურია.



გამოკითხულთა 68,1 % თვლის, რომ ტყუილი საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას უშლის ხელს, 23,8 % თვლის, რომ არ უშლის ხელს, თუ ის ვინმესთვის ზიანის მომტანი არ არის, ხოლო 8,5 % თვლის, რომ არ უშლის რადგან ტყუილი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.



შკითხვაზე: რომ არა ტყუილის არსებობა, მარტივი იქნებოდა თუ არა საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა და საუკეთესო შედეგზე გასვლა? 55,3 % უპასუხა, რომ მარტივი იქნებოდა,; 36,2 % თვლის, რომ აუცილებელია ტყუილის კონტროლი და მისი აღმოფხვრა, რათა არ მოხდეს საგანმანათლებლო პროცესზე ზიანის მიყენება.

მოცემული კვლევის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, ტყუილის არსებობას საგანმანათლებლო სივრცეში უმრავლესობა ურყოფითად აფასებს და თვლის, რომ უმჯობესი იქნება მისი კონტროლი და სამომავლო ბიძგი აღმოფხვრისკენ იყოს მიმართული.

დასკვნა

თეორიული და პრაქტიკული მასალის გაცნობის და დამუშავების შედეგად მივედით შემდეგ დასკვნებამდე, რომ ტყუილი უნივერსალური ფსიქოლოგიური ფენომენია. ტყუილის თქმა საკმაოდ ადვილია, მაგრამ მისი გამოაშკარავებაა ძნელი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მთელი რიგი ინდიკატორები (ლინგვისტური და პარალინგვისტური - ჟესტი, მიმიკა, სხეულის მოძრაობა, ინტონაცია, პაუზირება, ხმის ტემბრი), მაინც რთულია ადამიანის მეტყველებაში სიცრუის აღმოჩენა. თუკი არ ვიცით, როგორ მეტყველებს ესა თუ ის ადამიანი ყოველდღიურ, მშვიდ გარემოში, ძნელი იქნება მისი ტყუილში დადანაშაულება.

არ აქვს მნიშვნელობა რომელ სოციალურ ფენას, რომელ სქესს, რომელ ასაკობრივ ჯგუფს ან კულტურას მივეკუთვნებით, ყველანი ვიტყუებით. საზოგადოება ვერ იარსებებს ტყუილის გარეშე, რადგანაც ტყუილი ადამიანის ბუნებაა. ამასთან, ტყუილი საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური ფენომენია, რომელსაც უარყოფითთან ერთად ბევრი დადებითი გააჩნია და რაც მთავარია, ეს ის ფენომენია, რომელსაც ადამიანები ყველაზე ხშირად მივმართავთ კომუნიკაციის დროს გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად.

სკოლა წარმოადგენს სოციალურ სივრცეს, სადაც კომუნიკაცია გარკვეულ წესებს თუ ეთიკურ სტანდარტებს ემორჩილება, თუმცა ტყუილის თქმა საგანმანათლებლო სივრცეში საკმაოდ გავრცელებულია.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სკოლაში ტყუილის თქმის მიზანი ორია: **ინდივიდუალური** (როცა მოსწავლე ან მასწავლებელი ცდილობს პოზიტიური იმიჯი შექმნას, ან გაიმყაროს ავტორიტეტი) და **სოციალური** (როცა ტყუილი გამოიყენება სოციალური ჰარმონიზაციის მიღწევის, იგივე კონფრონტაციის თვიდან აცილების მიზნით).

კვლევამ დაგვანახა, რომ **მასწავლებლები მოსწავლეებთან ტყუილს მიმართავენ სამი მიზნით**: 1) როგორც სტრატეგიას, დააშინონ მოსწავლეები და კლასში შეინარჩუნონ დისციპლინა; 2) მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ან მხარდაჭერის მიზნით; 3) სიმართლის თქმის აუცილებლობას ვერ ხედავენ.

მშობლებთან ტყუილის თქმის შემთხვევაში სხვა მიზეზებია: 1) მშობლის სიმშვიდის შესანარჩუნებლად ან მოსწავლის დაცვის, მისი რეპუტაციის არ დაზიანების მიზნით; 2) საკუთარი ავტორიტეტის დაცვის მიზნით.

მასწავლებლის მიერ კოლეგების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მისამართით ნათქვამი ტყუილის მიზეზებია: 1) კონფლიქტის თავიდან აშორება; 2) ვალდებულებების თავიდან აშორება ტყუილის საშუალებით; 3) კოლეგიალობის შენარჩუნება;

მოსწავლის მიერ მასწავლებელზე ნათქვამი ტყუილის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შემდეგი მიზეზებითაა განპირობებული: 1) დანაშაულის დაფარვის მიზნით; 2) თავის მოწონების მიზნით; 3) მასწავლებლის საამებლად ნათქვამი ,,თეთრი ტყუილი"; 4) შიშის გამო ნათქვამი; 5) სხვის გასამტყუნებლად ნათქვამი;

მოსწავლე თავის თანატოლებს სხვა მიზეზებით ეუბნება ტყუილს, ესენია: 1) თავის მოწონების მიზნით, იგივე სოციალური სტატუსის დაცვის ან ამაღლების მიზნით; 2) მეგობრის საამებლად; 3) კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

კვლევის დროს ჩვენ ასევე დავაკვირდით თუ როგორი იყო ტყუილის თქმის ტექნიკა და დავინახეთ, რომ ორივე კულტურის წარმომადგენლების ტყუილის თქმის ტექნიკა იყო იდენტური: არაბუნებრივი ჟესტიკულაციის გამოყენება, თვალით კონტაქტის უგულებელყოფა, თვალის ხამხამი, მაღალი ხმის ტემბრი, ჩქარი მეტყველება, ხშირი პაუზირება ან სრული დადუმება, მოკლე წინადადებების (ხშირად ელიპტიკური ან ერთსიტყვიანიც კი) გამოყენება, თხრობის დროს დეტალების ნაკლებობა, უარყოფითი ნაწილაკების სიმრავლე, ემოციურობას მოკლებული წინადადებები, მნიშვნელოვანი სიტყვების ჩაყლაპვა და ა.შ.

კულტურული თვალსაზრისით თუ შევხედავთ ტყუილს ქართულ და ინგლისურ საგანმანათლებლო სივრცეში, დავინახავთ, რომ ტყუილი საგანმანათლებლო დისკურსში არ არის კულტურად დეტერმინირებული. ტყუილის იდენტური სახეები გამოიყენება საგანმანათლებლო დისკურსში ორივე კულტურაში, თუმცა ამა თუ იმ სახის ტყუილის გამოყენების სიხშირეში განსხვავებები დაფიქსირდა. ინგლისელები

ე.წ. ,,თეთრი ტყუილის“ მოყვარული ერია. ინგლისელი მასწავლებლები ყველაზე ხშირად საგაკვეთილო პროცესში და საგაკვეთილო პროცესის მიღმა პედაგოგიურ დისკურში სოცალური სახის, უწყინარ ტყუილს მიმართავენ, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას ისახავს მიზნად. ქართველი პედაგოგები, კი ყველაზე ხშირად ,,ცრუ მუქარას“ მიმართავენ და ფიგურალურად რომ ვთქვათ ,,პოლიციელის“ როლში გვევლინებიან. არც ქართველი მასწავლებლებისთვისაა უცხო მოსწავლეების ცრუ შექება თუ კომპლიმენტირება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ან კლასში დაძაბულობის განმუხტვის მიზნით. კვლევამ ასევე ნათელი გახადა, რომ ქართველი პედაგოგები ხშირად ტყუიან თავის მოწონების, საკუთარი ან სკოლის იმიჯის შესანარჩუნებლად.

 რაც შეეხება მოსწავლეებს, ორივე კულტურის საგანმანათლებლო დისკურსში დადასტურდა, რომ ბავშვები ძირითადად თავიანთი აკადემიური მოსწრების ან ყოველდღიურობაში დაშვებული შეცდომების დამალვის მიზნით ტყუიან. ანუ მათი ტყუილი შიშით არის გამოწვეული. თუკი ინგლისელ მასწავლებლებს სასწავლო პროცესში სჩვევიათ ცრუ კომპლიმენტირება, ეს ქართველი მოსწავლეების დამახასიათებელი თვისებებია. ქართველი მოსწავლეები ცრუ კომპლიმენტებს არ იშურებენ კლასელების თუ მასწავლეების მიმართ, რათა მიიღონ სარგებელი მასწავლებლიდან, თავიდან აირიდონ კონფლიქტი სასწავლო პროცესში.

 მშობლების მიერ ნათქვამი ტყუილი ძირითადად შვილებზე ხელის დაფარების მიზნით არის ნათქვამი, ხოლო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ ნათქვამი სკოლის და მასწავლებლების იმიჯის შენარჩუნებას ისახავს მიზნად.

 შევეცადეთ გაგვეცა კითხვაზე პასუხი, რამდენად ეთიკურია სკოლაში ტყუილის თქმა? ერთი შეხედვით, ისეთი უწყინარი ტყუილის გამოყენება მასწავლებლების მიერ, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას ემსახურება და წარმოადგენს ,,თეთრ ტყუილს“, ჩვენი აზრით დასაშვებია და არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად. მაგრამ თუკი ტყუილი სისტემატიური გახდა, მან შესაძლოა მასწავლებლის მიმართ ნდობის დაკარგვა გამოიწვიოს. ჩვენი აზრით, მასწავლებლის მიერ ტყუილის თქმა მაშინაც დასაშვებია, როცა მასწავლებელი ცდილობს მართოს კლასში მდგომარეობა, თავიდან აიშოროს დაძაბულობა და კონფლიქტი და შეინარჩუნოს კლასში სიმშვიდე.

მასწავლებლის მიერ ,,სიმართლის დამახინჯება“ დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს, არ უნდა გახდეს სისტემატიური და არ უნდა გამოიწვიოს მოსწავლის თუ მშობლის შეცდომაში შედყვანა და რეალობიდან აცდენა.

მოსწავლის მიერ ნათქვამი ტყუილი, რომელიც მის აკადემიურ მოსწრებას ან სწავლის პროცესში ჩადენილ შეცდომებს ეხება, ნამდვილად დასაგმობია. ამ შემთხვევაში მასწავლებელი და ზოგადად სკოლა უნდა იყოს კონსტრუქციულად მკაცრი, აუხსნას მოსწავლეებს, რომ ასედთი საქციეი დასაგმობია და უჩვენონ სწორი გზა.

განსაკუთრებით დასაგმობია განზრახ მოფიქრებული, სხვის საზიანოდ ნათქვამი ტყუილი, იგივე ,,ბოროტი ტყუილი“, რომელიც მასწავლებლისთვის ან თანაკლასელისთვის ზიანის მომტანია. საბედნიეროდ, ჩვენი კვლევის დროს ამ სახის მხოლოდ 10 მაგალითი დაფიქსირდა ქართულში და 1 ინგლისურში. ასავე ერთი მაგალითი დაფიქსირდა ე.წ. ,,პათოლოგიური ტყუილის“, მოსწავლე, რომელიც გამუდმებით და უტიფრად იტყუებოდა.

კველვის დროს ასევე დავაკვირდით პლაგიატის გამოყენების მცდელობებს საგაკვეთილო პროცესში როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მიერ და დავინახეთ:

მოსწავლეები პლაგიატს მიმართავენ სხვადასხვა მიზეზის გამო: 1) ცუდი შედეგის თავიდან აშორების მიზნით; 2) არარელევანტური სამსჯელო საკითხის შიშით (საკმარისი ცოდნა არ გააჩნიათ ამა თუ იმ საკითხზე, რომ თავისუფლად იმსჯელონ); 3) საკითხზე არასაკმარისი ინფორმაციის ქონის შიშით და 4) გადაწყვეტილებით ,,ერთჯერადი შემთხვევა“ (მხოლოდ ერთხელ გამოიყენებს სხვის ნაშრომს და მიაღწევს სასურველ შედეგს).

საგაკვეთილო პროცესში ადგილი აქვს ოთხი სახის პლაგიატს: სრული პლაგიატი, ნაწილობრივი პლაგიატი, კომბინირებული პლაგიატი და პარაფრაზირებადი პლაგიატი.

პლაგიატს არ აქვს გამართლება არც მასწავლებლის და არც მოსწავლეების მიერ. მასწავლებელი, რომელიც პლაგიატს მიმართავს, მის მიმართ უნდა გატარდეს

დისციპლინური ზომები, რადგანაც ეს პროფესიული დანაშაულია. ასევე მკაცრად უნდა დაისაჯოს მოსწავლე, რომელიც სრულ ან კომბინირებულ პლაგიატს მიმართავს. გაცილებით უფრო შემწყნარებლური უნდა ვიყოთ იმ მოსწავლეთა მიმართ, რომლებიც ნაწილობრივ ან პარაფრაზირებად პლაგიატს იყენებენ.

ფანტაზიის გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში შეიძლება ქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგი. ფანტაზიის გამოყენება ეფექტურია მოსწავლეების კრეატიულობის ამაღლების და შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით. მაგრამ თუკი მოსწავლე ამახინჯებს ფაქტებს, ზედმეტად იჭრება არარეალურ სამყაროში, სცდება გაკვეთილის თემას, ეს შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს საგაკვეთილო პროცესისათვის.

და მაინც, სკოლაში ტყუილის დიდი სიხშირით გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. სიმართლე და ნდობა უნდა იყოს სკოლაში პრიორიტეტი, რათა არ დაეცეს სწავლა-სწავლების ხარისხი, არ გაფუჭდეს ინდივიდუალური ურთიერთობები და რაც მთავარია, მოსწავლეს ქონდეს შესაძლებლობა იცოდეს რა არის რეალობა და გახდეს უფრო მეტად პასუხისმგებლიანი. ტყუილი სკოლაში აზიანებს მოსწავლეთა ოჯახებს, საზოგადოებას, სკოლას და შესაძლოა მოსწავლის მომავალზეც ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამაღლობელი გ. (2022) პოლიტიკური დისკურსი, როგორც ენობრივი თამაშის ნაირსახეობა, ფილოსოფიაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი. ამაღლობელი გივი.pdf (openscience.ge)
2. ბანძელაძე მ. (2014) მასწავლებლის დისკურსის გავლენა სტუდენტების სწავლის შედეგებზე, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი. https://ibsu.edu.ge/wp-content/uploads/2022/05/Bandzeladze-Absract-Geo.pdf
3. გამყრელიძე, თ. (2003). თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. გოგალაძე ე. (2019) ,,ფატიკური კომუნიკაცია და სამეტყველო ეტიკეტი სპარსულსა და ქართულში“, თბილისი.
5. გუმბარიძე ჟ. (2005) ,,პროსოდიკული მახასიათებლების როლი საკომუნიკაციო პროცესის დროს“, შრომები VII (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათუმი, (გვ. 68–69).
6. ეკმანი პ. (2003) ,,სიცრუის ფენომენი“ (როგორ ამოვიცნოთ ტყუილი ბიზნესში, პოლიტიკასა და ოჯახში).
7. ლანჩავა ე. გაგოხია ლ. (2021) ტყუილი რეალურ და მხატვრულ სამყაროში, ახალი განათლება. https://akhaliganatleba.ge/%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A2/
8. მინდაძე ი. (2023) ,,ტყუილის ანატომია“
9. მხეიძე ზ.,,სიყვარული, ტყუილი, ემოციები და თვითშეფასება ურთიერთობებში“
10. თევდორაძე ნ. (2010) ტექსტის ლინგვისტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
11. ხალვაში ხ., (2020) კანცელარიზმების ფუნქციონირება და უნიფიცირებული საქმიანი დოკუმენტების თარგმანის თავისებურებები (ქართული და რუსული საქმიანი დოკუმენტების მიხედვით), ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ბათუმი.

12. Арутюнова Н. Д. (1990) Дискурс [Текст] // Лингвистический энциклопедический словарь. – М. : Советская энциклопедия, 1990.
13. Балабанова Т.Н. (2018) Педагогический дискурс как разновидность дидактического // Гуманитарные научные исследования, № 11.
14. Бєлова А. Д. (2002) Поняття «стиль», «жанр», «дискурс», «текст» у сучасній лінгвістиці [Текст] // Вісник КНУ (іноземна філологія), № 32. – С. 11–14
15. Богуцкая, И. Н. (2010) Школьный образовательный дискурс (лингвокультурологические основы его формирования). диссертация на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тюмень.
16. Дейк, Т.А. Ван (1989) Язык. Познание. Коммуникация [Текст]/Т. А. Ван Дейк. Пер. с англ. – М.: Прогресс.
17. Закатов А.А. (1984) Ложь и борьба с нею. Волгоград.
18. Карасик, В.И. (2000) О типах дискурса // Языковая личность: институциональный и персональный дискурс: Сб. науч. тр. [Текст] /В.И. Карасик. Волгоград: Перемена.
19. Карасик В. И. (2000) Языковой круг : личность, концепты, дискурс [Текст] : моногр. / В.И. Карасик. – Волгоград : Перемена;
20. Карасик В. И. (2002) Языковой круг: личность, концепты, дискурс.Волгоград: Перемена.
21. Карасик В. И. (2007) Языковые ключи [Текст]: моногр. / В.И. Карасик. – Волгоград: Парадигма.
22. Красных В. В. (2001) Основы психолингвистики и теории коммуникации [Текст] : Курс лекций / В.В. Красных. – М. : Гнозис.
23. Ленец, А.В. Матвеева Г.Г. (2006) ‘ЛОЖЬ КАК ОБЪЕКТ ПРАГМАЛИНГВИСТИЧЕСКОГО ИССЛЕДОВАНИЯ’, Ингушский государственный университет;
24. Ленец А.В. (2010) Коммуникативный феномен лжи: лингвистический и семиотический аспекты, автореферат диссертации,
25. Лыкова О.В. „Просодические и акустические индикаторы лжи в голосе“
26. Матюхина Ю.В. (2011) Социально-психологические аспекты фатической метакоммуникации, Харьков;

27. Остражкова Н. С. (2004) Обучение пониманию содержательного компонента педагогического дискурса лекции: дис. … канд. пед. наук.Тамбов.
28. Приходько А. М. (2008) Концепти і концептосистеми в когнітивно дискурсивній парадигмі лінгвістики [Текст] : моногр. / А.М. Приходько. – Запоріжжя : Прем'єр
29. Стефка Янчева Петкова-Калева, (2014) ЛОЖЬ КАК КОММУНИКАТИВНЫЙ ФЕНОМЕН (В КОНТЕКСТЕ БОЛГАРСКОЙ И РУССКОЙ ЛИНГВОКУЛЬТУРЫ);
30. Филиппова О. (2015) К вопросу о классификации различных средств выражения искажения действительности, Language. Philology. Culture. 2`2015
31. Цинкерман Т. Н. (2014) Лингвопрагматическая специфика стилей общения в англоязычном воспитательном дискурсе: дис. … канд. филол. наук. Волгоград.
32. Шейгал Е. И. (2004) Семиотика политического дискурса. – М., Волгоград: Перемена.
33. Шмелева, Т.В. (1997) Модель речевого жанра [Текст] / Т.В. Шмелева. Жанры речи. Саратов;
34. Bernstein, B. (1990). The structuring of pedagogic discourse: Class, codes & control, Volume IV. London: Routledge.
35. Brickman J. E (2019) 'The Linguistic Cues Observed when Lying in Realistic Personal Stake Situations', Bechelor thesis, University of Michigan;
36. Chen, X. L., Levitan, S. I., Levine, M., Mandic, M., and Hirschberg, J. (2020). Acoustic-prosodic and lexical cues to deception and trust: Deciphering how people detect lies. TACL 2020.
37. Coleman L., Kay P. (1981) Prototype semantics: the English word Lie, Language, vol.57,#1, Linguistic Society of America, 1981, 26-44 http://www.jstor.org/stable/414285
38. DePaulo, B. M., Lindsay, J. J., Malone, B. E., Muhlenbruck, L., Charlton, K., & Cooper, H. (2003) Cues to deception. Psychological Bulletin.
39. Egre P., Icard B. Lying and Vagueness, (2018) https://hal.science/hal-03917657v1/file/egre_icard_lying_vagueness_2018.pdf
40. Habibova K.A The Specificity of Everyday Discourses

41. Hancock, J.T., Curry, L.E., Goorha, S. & Woodworth, M.T., (2005) Automated linguistic analysis of deceptive and truthful synchronous computer-mediated communication, HICCS;

42. Kozlova V. A. (2014) Psychology of manipulation, Moscow;

43. Levitan, S. I., Maredia, A., and Hirschberg, J. (2018). Linguistic cues to deception and perceived deception in interview dialogues. In Proceedings of the 2018 Conference of the North American Chapter of the Association for Computational Linguistics: Human Language Technologies, Volume 1 (Long Papers), pages 1941–1950.

44. Markowitz D., Hancock J. (2022) "Lies and language. A Context-Contingent Approach to Verbal Cues of Deceit," Chapter 13 from Handbook of Language Analysis in Psychology;

45. Rukya Hassen (2015) 'Discourse as Medium of Knowledge: Transmission of Knowledge by Transmission of Discourse People Live,' Journal of Education and Practice www.iiste.org ISSN 2222-1735 (Paper) ISSN 2222-288X (Online), Vol.6, No.31.

46. Shchypachova D. Linguistic Aspects of Lying

47. Talwer V. Lee K. (2008) Social and Cognitive Correlates of Children's Lying Behavior;

48. Tovmasyan L. (2020) Linguistic Features of Lying, Yerevan State University;

49. Williams B. (2002) Truth and Truthfulness: An Essay in Genealogy. Princeton, NJ: Princeton Univ. Press;

50. Weisberg D., Hirsh-Pasek K. (2023) Fantasy Is a Valuable Educational Tool. Just Look at 'Barbie',

51. Zhaksybayeva A. (2023) PECULIARITIES OF EDUCATIONAL DISCOURSE

ინტერნეტ წყაროები

https://www.eslactivity.org/discourse-language-learning/

Discourse - CLASSROOM DISCOURSE, COGNITIVE PERSPECTIVE - Students, Teacher, Questions, and Comprehension - StateUniversity.com

http://urn.kb.se/resolve?urn=urn:nbn:se:umu:diva-212870

https://ik-ptz.ru/ka/diktanty-po-russkomu-yazyku--5-klass/v-tom-chto-lozh-kotoraya-vidy-lzhi-chto-takoe-lozh.html

https://maiakhositashvili.wordpress.com/2020/04/01/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/

https://on.ge/story/40194-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

https://polygraph.ua/ru/x-vajnrih-lingvistika-brehni/

https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/109294-%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%A1/126/

https://nchschant.com/15864/long-range-investigative-journalism/students-lie-to-teachers-and-teachers-lie-to-students/

Do You Have To Lie To Be A Good Teacher? Smart Classroom Management

How To Handle Students Who Lie And Deny Smart Classroom Management

Do Schools Really Lie To Parents? | M. Ball (edlaw4students.com)

https://www.edweek.org/teaching-learning/opinion-fantasy-is-a-valuable-educational-tool-just-look-at-barbie/2023/10

https://liammartinwriter.medium.com/the-importance-of-magic-18b1e927e70e

დანართი

მასწავლებლის მიერ ნათქვამი ტყუილი მოსწავლის მიმართ:

ქართული (22)	ინგლისური (10)
1.ყველას ჰქონდეს გადაშლილი ლექსიკონები, ყველაფერს ვხედავ (მასწავლებელი ასახელებს რამდენიმე მოსწავლის სახელს. სინამდვილეში მასწავლებელი ვერაფერს ვერ ხედავს, დაფაზე წერს) 2. ბავშვებო! ხვალ გექნებათ ტესტირება, ძალიან რთული საკითხებია, კარგად მოემზადეთ ! 3.ნუ საუბრობთ, (მასწავლებელი ამოწმებს დავალებას) ყველაფერი მესმის და ვხედავ, ვინ როგორ იქცევა. 4.ხვალ, უკლებლივ ყველა გამოცხადდეს ფორმით! ძალიან მკაცრად შეამოწმებენ და აუცილებლად მიიღებთ საყვედურს! (მასწავლებელი მკაცრი სახით და ხმამაღალი ტონით ამბობს ტყუილს) 5. ისევ არ გაქვს დავალება? დღეს აუცილებლად დავურეკავ მშობელს და ყველაფერს მოვახსენებ! 6.კვლავ მოუმზადებელი გამოცხადდი? დღეს კი აუცილებლად დავწერ ჟურნალში კომენტარს. 7.ორშაბათს, ყველას ჰქონდეს რვეულები მოწესრიგებული, ვისაც არ ექნება აუცილებლად მიიღებს შესაბამის ქულას! 8. თუ ისევ მოუმზადებელი და მოუწერსრიგებელი გამოცხადდები, აუცილებლად დავიბარებ მშობელს სკოლაში! 9.თუკი ისევ მიიღებ სხვა მასწავლებლებიდანაც შენიშვნებს, აუცილებლად შევატყობინენ დირექციას. 10.ბავშვებო! მშობელთა კრებაზე აუცილებლად ვეტყვი თქვენს მშობლებს, ვინ როგორ სწავლობს და იქცევა. 11.ბავშვებო! გამოცდაზე ვინც 15 წუთით ადრე არ გამოცხადდება, არ დაიშვება! (ადგილი აქვს გაზვიადებას)	1. - You can't cheat me! I do have eyes in the back of my head. - Oh, that thing on the ceiling? - It's a camera, and the principal is watching the footage right now. 2. All the teachers are saying you're the BEST behaved class in the school. The principal's coming to check it out for herself. 3. You can learn this poem in a minute if you try hard enough!- 4. This exercise is quite easy, don't worry! 5.Learn Maths better. You will need it in future You will use this material in real life! 6. - Is my presentation OK? - Yes, It's perfect 7. You are my favorite student. You are so talented! That's a really creative idea 8. - Teacher, have you graded our tests? - I'll have the tests graded by tomorrow. 9. - Teacher, Mary is your apple of the eye! The other day she didn't know the lesson and You didn't punish her. - Don't blame me, Dave! ***I don't have any favorite students. I love you all.***

12.-მას, გამოცდაზე ერთხელ გადალაპარაკებაც არ შეიძლება? - არა, რა თქმა უნდა! პირველივე შემთხვევაზე გაგიშვებენ გამოცდიდან! 13. -მას, ფინალური ტესტი რთული იქნება? - რთული? რთული კი არა, ურთულესი. (ადგილი აქვს გაზვიადებას) 14. ბავშვებო! შემდეგ შემაჯამებელ წერას ძალიან რთულს გავაკეთებ! ვიმეორებ, ძალიან რთულს! (მასწავლებელი ტონს უწევს) დეტალურად გაიმეორეთ პირველი და მეორე თავები. 15.ტესტის დროს, მხოლოდ ერთხელ გავიმეორებ ინსტრუქციას! მეორედ, აღარ! ამიტომ, ყურადღებით მომისმინეთ! 16. ტესტისთვის 30 წუთი გაქვთ! არცერთი დამატებითი წუთი! ყურადღებით წერეთ! დრო არ გეყოფათ შესასწორებლად! 17.ტესტის გასწორების დროს, არავის ქულას არ დავუმატებ! 18. დღეს თუ არ დამირეკავს მშობელი, მე თავადვე დავურეკავ! გპირდები! (მკაცრი ტონით ამბობს მასწავლებელი) 19. - მას, გპირდებით ხვალ აუცილებლად მოვალ მომზადებული….. - ხვალ ბოლო შანსს გაძლევ 20. შემდეგ ჯერზე, თუ კიდევ მოხვალ მოუმზადებული, პირდაპირ დავწერ ჟურნალში 0 ქულას! 21.თუ კარგად ისწავლით, ყოველთვის გაიმარჯვებთ; ცხოვრების ყველა სფეროში ივარგებთ. ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. არ დაიზაროთ და წარმატება არ დააყოვნებს. დღეს თქვენ დგამთ წარმატებისკენ მავალ ნაბიჯებს! 22.დედაშენსაც ვასწავლიდი, ისიც კარგად წერდა ლექსებს, მაგრამ მაინც ვერ გახდა აღიარებული პოეტი, რადგანაც მას აკლდა ნიჭი... შენ კი ნიჭი უფალმა დაგაბერტყა...	10. - Teacher, you graded me unfairly! I deserved A! - Shame on you, Josh! How you dare talking like this……. You know I grade fairly everyone. More than that, your grade doesn't matter as much as you think.

მასწავლებლის მიერ ნათქვამი ტყუილი მშობლის მიმართ :

ქართული (6)	ინგლისური (3)
1. - როგორ სწავლობს ჩემი შვილი? - იცით, თქვენი შვილი ყოველთვის მოწესრიგებულია, სულ მზად არის, ჩართულია საკლასო აქტიობებში… (გაზვიადებული ქება, სინამდვილეში ყოფილა მოუმზადებელიც) 2. - იცით, უკვე სრულდება პირველი სემესტრი და ერთხელაც კი, ერთხელაც კი (ხმას უწევს მასწავლებელი) არ ყოფილა თქვენი შვილი მზად! მუდმივად მოუმზადებელია! ძალიან დაბალი შეფასება ეყოლება, ვფიქრობ დამაკმაყოფილებელიც არა! (მასწავლებელი აზვიადებს შედეგს, მოსწავლე რამდენჯერმე ყოფილა მზად. ამასთან მასწავლებელი აპირებს დამაკმაყოფილებელი ქულის დაწერას) 3. - როგორ იქცევა ჩემი შვილი? როგორი მდგომარეობაა? - იცით, ცოტათი გვაქვს პროგრესი, მოუკლო ცელქობას. (სინამდვილეში არ არის პროგრესი, იგივე სიტუაციაა) 4. თქვენი შვილი იდეალური მოსწავლეა! (იდეალურობამდე ბევრი აკლია, თუმცა კარგია და მასწავლებელი ზედმეტად აქებს) 5. - ტესტში დაბალი ქულა მიუღია, როგორ ფიქრობთ გამოასწორებს ამ შეფასებას? - აუცილებლად გამოასწორებს, მოინდომებს და შეძლებს! (სინამდვილეში მასწავლებელს არ აქვს იმედი, რომ გამოასწორებს, მშობელს არ უნდა გული ატკინოს) ***6. სხვასთან არ ვიცი როგორ სწავლობს, მაგრამ ჩემს გაკვეთილებს მუდამ ესწრება და აქტიურობს. გაცდენას და მოუმზადებლად მოსვლას უბრალოდ ჩემთან ვერც გაბედავს.*** ალბათ ზოგ პედაგოგთან გაუდის.....	1. Parent: Does my child behave well in class? Teacher: ***He is very enthusiastic and eager to participate.*** 2. Parent: Is my child improving? Teacher: Absolutely, ***He is making great progress. His German is getting better and better.*** 3. Parent: I'm concerned about my daughter Emma. She seems to be struggling in math…. Teacher: Oh, Emma is doing just fine!. We've seen some improvement in her math skills. Don't worry, she's keeping up with the curriculum.

მასწავლებლის მიერ ნათქვამი ტყუილი კოლეგების მიმართ:

ქართული (2)
1. გპირდებით ხვალ ტესტს გამოვგზავნი! მზად მაქვს, უბრალოდ გამოგზავნა დამვიწყებია. 2. დღეს, აუცილებლად გამოვგზავნი ინდივიდუალურ გეგმას! დასასრულებელი მაქვს.

მოსწავლის მიერ ნათქვამი ტყული მოსწავლის მიმართ:

ქართული (3)	ინგლისური (6)
1. - პირველად, თვითონ მითხრა უწმაწური სიტყვა. ამიტომაც ვუპასუხე ასე! (თვალებს ხრის, ხმას უწევს, ნერვიულობს) - არა, ასე არ იყო, პირიქით იყო (მეორე მოსწავლის პასუხი) - აბა, გავიხსენოთ ზუსტად, როგორ იყო, ვაღიაროთ დანაშაული ან ვიდეო თვალში გადავამოწმოთ! (პირველი მოლსწავლე აღიარებს სიმართლეს) 2. - ეს დავალება იმიტომ დავწერე, რომ შენ მითხარი (ხელით უთითებს თანაკლასელს) -მე ასე არ მითქვამს, ერთი კვირა ავად ვიყავი და არ დავდიოდი! (მეორე მოსწავლის პასუხი) (მატყუარა მოსწავლე ჩუმდება,თვალებს ხრის, ხელებს ათამაშებს ნერვულად) 3. ძალიან მომეწონა შენი ნაჩუქარი სათამაშო, ზუსტად ასეთი მინდოდა!	1. -Do you like my brand new outfit? - Yes, very. - It cost me a fortune! 2. I really liked your presentation. It was one of the best I've ever seen. 3. I am so happy you got the lead in the school play 4. - I feel, I am taking your time! - No, ***You're not bothering me at all. It's no trouble at all*** ***5. - Why were you laughing at me?*** ***- I wasn't laughing at you. I loved your story.*** 6.- Is Dave sleeping? I hear him snoring. -Oh, No. He is not asleep. - He is just resting eyes.

მოსწავლის მიერ ნათქვამი ტყუილი მასწავლებლის მიმართ:

ქართული (19)	ინგლისური (6)
1.- რატომ არ შეასრულე დავალება? - დუმილი 2.- გიწერია დავალება? - დიახ…. - წაიკითხე - დუმილი (მოსწავლე ვერ კითხულობს, რადგან არ უწერია, ეგონა, მასწავლებელი არ წააკითხებდა) 3.- შესრულებული გაქვს დავალება? - ვერ გავიგე მასწავლებელო. - რა ვერ გაიგე? მაგალითად? (მოსწავლეს პასუხი არ აქვს, თავს ღუნავს, არ აღიარებს, რომ უბრალოდ არ უწერია) 4. - რატომ იგვიანებ გაკვეთილზე? - დედამ გვიან წამომიყვანა სახლიდან (ამ დროს მოსწავლე ახლოს ცხოვრობს და სკოლაშიც მარტო დადის) 5. - რატო იხედები რვეულში? (ტესტის წერის დროს) - არ ვიხედები, უბრალოდ ტესტი მიდევს და გავასწორე რვეული. (იხედება და არ აღიარებს) 6. - მას,შეგიძლიათ ადგილი შემიცვალოთ? - რატომ? - გიო მაწუხებს. - კარგი,მოდი მასაც ვკითხოთ ასეა თუ არა ..... - არა, არა არ ჰკითხოთ (მოსწავლე იტყუება, უბრალოდ ასე უნდა) 7. - დავალება რამდენს უწერია? აბა, ხელი ავწიოთ….. (ხელს იღებს ყველა). ნამდვილად ყველას გიწერიათ? - დიახხ მას…….	1. Teacher: “I saw you kicking Darren” Student: “That’s not true! I didn’t do anything. Oh my gosh! I wasn’t kicking anyone.” Teacher: “Yes, you were. I saw you with my own eyes from across the room. Now stop lying and take responsibility for your actions.” 2.- Did you hurt anything? - I am fine, nothing. 3. - Who helped you, Josh? - Noone. I painted it myself. 4. It’s so great to see you 5. Teacher, I am not ready for the lesson. ***My computer crashed and I lost all my work.***

- ახლავე ჩამოვივლი და შევამოწმებ. (არ ეგონათ თუ მასწავლებელი შეამოწმებდა და იწყებენ თავის მართლებას) 8. - თხრობით რატომ არ ისწავლე გაკვეთილი? - არ მქონდა ჩანიშნული… - მოდი აბა, შევამოწმოთ დღიურში (მოსწავლეს არ ეგონა თუკი მასწავლებელი დღიურს შეუმოწმებდა) - აბა, ეს რა არის? მოსწავლე თავს ხრის და ხელებს ნერვულად ათამაშებს. 9. - მას, ხელი მატკინეს თამაშის დროს…. - გატკინეს თუ თავად იტკინე? - მატკინეს და უთითებს თანაკლასელზე - .მოდი ვიდეო კამერებში გადავამოწმოთ…. - არა, არა არ გადაამოწმოთ (დანაშაულის სხვაზე გადაბრალება) 10. - კვლავ მოიტანე გაკვეთილისთვის არასაჭირო ნივთი? - არა, მას არაფერი მაქვს (მოსწავლე ხმის ტონს დაბლა წევს) - კარგი, მაშინ შევამოწმოთ ჩანთა..... - კარგით, მას მოგცემთ (მოსწავლე არ ელოდა შემოწმებას) 11. - მას, ძალიან მტკივა თავი, მაციებს, სიცხეც მაქვს მგონი.... - კარგი, ჯერ ექთანთან ჩადი და თუკი საჭირო დარცა სასწრაფოს გამოვიძახებთ.... - არა, არა გამივლის. (სინამდვილეში მოსწავლეს გაკვეთილზე ყოფნა არ უნდა) 12. - რატომ გქონდა კონფლიქტი სხვა კლასის მოსწავლესთან?	

- თვითონ დამცინის, უკვე რამოდენიმე კვირაა, ამიტომ ვეღარ მოვითმინე. - ვიდეო თვალში ყველაფერი ჩანს და თან ინსპექტორმაც ყველაფერი დაინახა. ხომარ ვკითხოთ და ვიდეო თვალიც ერთად ვნახოთ? -არა, არა ასე არ იყო, მე ვარ დამნაშავე. 13. - მას, როგორი ფერი მოგწონთ? -იისფერი. -მეც, მას! ზუსტად ამ ფერზე ვგიჟდები! (სინამდვილეში მოსწავლეს სხვა ფერი მოსწონს და მხოლოდ მასწავლებლის გულის მოგება სურს) 14. - კლასში ეს ნაგავი ვინ დაყარა? -მას, აი მან! (ასახელებს სახელს და უთითებს მასზე. ამ დროს თვითონვე ჭამდა) - ვკითხოთ სხვებს? (დანაშაულის გადაბრალება სხვაზე) 15. მას, რა ლამაზად გამოიყურებით ამ ახალ კაბაში, ეს ვარცხნილობაც გიხდებათ, კაბის ფერიც თქვენს ულამაზეს ცისფერ თვალებს ეხამება. 16. *მთელ სკოლაში არავის ყავს ჩვენისთანა ,,დუშკა" დამრიგებელი, როგორ გაგვიმართლა!* 17. - რა კარგად ხსნით მასწ……ვისთან არ ვემზადებოდი ინგლისურში და ასე კარგად არავის აუხსნია. ტვინში ჩამიდეთ ვნებითი გვარი. არასოდეს დამავიწყდება. 18. მიყვარს თქვენი საგანი თქვენით 19. ***არ გატყუებთ მას. კომპიუტერი გამიფუჭდა და მამამ ხელოსანთან წაიღო. ხვალ დამიბრუნებს და პრეზენტაციასაც ზეგ ჩაგაბარებთ.***	

მოსწავლის მიერ მშობლის მიმართ ნათქვამი ტყუილი

ქართული (2)	ინგლისური (2)
1.რას მივიღებდი, მაგას კითხვა უნდა? ცხრა. როდის იყო ეგ ქალი მაგაზე მეტს იმეტებდა ჩემთვის? 2.- რატომ გაქვს ცუდი ნიშნები ქიმიაში? - რა უნდა ვისწავლო მის გაკვეთილზე, არაფერი მესმის, ჩემი კლასელები ისე ხმაურობენ, სიტყვა არ მესმის. ისიც ჩუმად ხსნის და როცა ხედავს არავინ უსმენს, ჩერდება და ფანჯარას მიაშტერდება. მთელი გაკვეთილი ფანჯარაში იყურება.	1. Mum, I got an A on the test. I scored higher than everyone in the class. 2.- Mum, She verbally abused me in front of the class, threw all of my work on the floor, and made me clean it up in front of everyone

მშობლის მიერ მასწავლებელზე ნათქვამი ტყუილი

ქართული (2)	ინგლისური (4)
1.მასწავლებელი: ვერ დაგიმალავთ, თქვენი შვილი მუდმივად მოუმზადებელი მოდის გაკვეთილზე და გაკვეთილის მსვლელობაშიც ხელს მიშლის. მშობელი: უი, რას ამბობთ, მართლა გამაკვირვეთ. ამას არ ველოდი. რავიცი აბა, როცა სამსახურიდან შინ ვბრუნდები, სულ წიგნს უზის და გაკვეთილებს ამზადებს, ხშირად მამამისი ეხმარება თქვენს საგანში. 2.მასწავლებელი: ქალბატონო თამარ,, ეს რამდენიმე დღეა ბექა წიგნების და რვეულების გარეშე დადის სკოლაში, ხომ არ იცით, რა ხდება? მშობელი: იცით, ზეინაბ მასწავლებელო, სახლში რემონტი და არეულობა გვაქვს. . სად რა გვიდევს არ ვიცით. გპირდებით, დავეხმარები მოძებნაში და ხვალ ჩანთით და სასკოლო ნივთებით მოვა გაკვეთილზე.	1. Teacher: Mrs. X. Sarah does not bring homework in class. Do you know the reason? Parent: Oh, really? That's surprising. Sarah always does her homework at home. Perhaps she forgot it at home. She never forgets her assignments. 2.Teacher: Your son is always unprepared. Is everything Ok at home? Parent: Oh, absolutely! Everything is fine at home. He is a bit tired lately, but he definitely does her homework. I'll make sure to double-check her bag tonight. 3.Teacher: I want to discuss Tom's grades. His test scores are dropping. Are there any issues we should be aware of? Parent: Oh, I am really surprised. Tom is very dedicated to his studies. I help him every night with his work, and he always studies for his tests. I'm sure he's just having a rough week. 4.Teacher: I wanted to talk to you about Timmy. He's been quite disruptive in class.,

	and he doesn't seem to focus on his work. Have you noticed anything unusual at home? Parent: Timmy? No, he's always very well-behaved at home. He never has any problems focusing. He's just energetic, that's all. I'm sure he's fine at school, maybe just a little bit bored. Teacher: I see. He's been interrupting lessons and not following instructions. Have there been any changes in his routine? Parent: No, no changes at all. Maybe there's something going on at school, but at home, he's always focused.

ადმინისტრაციის მიერ ნათქვამი ტყუილის მაგალითები

ინგლისური (8)
1.Parent: I heard there has been a rise in disciplinary issus at school. How is that being managed? Headmaster: No, that's not true. There have been no more behavioral problems than usual. The school is running smoothly with very few disruptions. 2.Parent: Are there highly- qualified here? Headmaster: We have a good team of qualified teachers..... 3.Parent: I heard that the school's performance has been dropping. Can you explain what is going on? Head Teacher: No, that's not true. The school is performing better than ever. We've made significant improvements in all areas. 4.Parent: I'm concerned about my son's safety. I've heard there have been incidents at school. Headmaster: That's exaggerated. Everything is under control and your son is in a safe environment. 5.Parent: I noticed that the school hasn't been sending home any progress reports for my child. I am a bit concerned. Why haven't I received anything? Head teacher: Oh, the reports are coming out soon. There was a delay in the system, but everything is on track. Your child is performing well. Parent: But I haven't heard anything specific about my child's progress. Are you sure everything is okay? Head teacher: Yes, absolutely. Your child's performance is great, and there is no cause for concern. We've just had some delays in paperwork. You 'll get the report soon. 6.Parent: I heard that my son, Lucas, was involved in an incident with another student. Can you tell me what happened?

Head teacher: There was a minor disagreement, but it was quickly resolved. Lucas wasn't involved in anything serious. He is fine.
Parent: But Lucas seemed upset when he came home and mentioned being pushed.
Head teacher: No, no. It was just a small misunderstanding. There were no injuries and everything was handled immediately.
7. Parent: My son is constantly bullied by his classmates.

Headmaster: It's impossible. ***The schoolis free from discrimination. We don't tolerate bulling.***

8. Our school ranks among the top in the district; Every classroom has modern technology. We don't allow overcrowding in classrooms. We offer the best extracurricular activities. The administration is always approachable. We have a strict attendance policy. Our school has the lowest dropout rate